ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - ყვარლის მინიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლელა ფიცხელაური

წევრები:

იზოლდა ჭინჭარაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);

შორენა გაგუა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ნანა მარღანია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

სალომე ასათიანი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ნაია ენდელაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ნანა ნოზაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

მარიამ ჯვარიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

მაია ჩაჩხიანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ედუარდ ნაკაიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ლანა კუჭავა (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	სსიპ
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	241572534

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ყვარელი, სოფელი ჭიკაანი
ფაქტობრივი მისამართი	ყვარელი, სოფელი ჭიკაანი
საფოსტო ინდექსი	4814
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	chikaani@mes.gov.ge

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	**577122311**

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	ბრძანება MES 9 26 0000300797 , 12/03/2026
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 15 და 16 აპრილი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ყვარელი, სოფელი ჭიკაანი; 1 შენობა-ნაგებობა

2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ყვარელი, სოფელი ჭიკაანი; 1 შენობა-ნაგებობა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ყვარელი, სოფელი ჭიკაანი; 1 შენობა-ნაგებობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

მიმდინარე წლის 15 და 16 აპრილს, **სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლა**ში შედგა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში მოხდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.
ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, განხორციელდა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა, შეთანხმდა და დაზუსტდა ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. ადგილზე ვიზიტი განახორციელა ხარისხის ორმა ექსპერტმა , ხოლო იმის გათვალისწინებით , რომ აღნიშნული სკოლა ახორციელებს სამ საფეხურს, საგნობრივი ექსპერტების მიერ შემოწმდა და შეფასდა შემდეგი პროგრამები:
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი -დაწყებითი (I-VI კლასი), საბაზო, საშუალო ;
საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი--დაწყებითი (I-VI კლასი), საბაზო, საშუალო ;
უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი-დაწყებითი (I-VI კლასი), საბაზო, საშუალო ;
ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი- დაწყებითი (I-VI კლასი), საბაზო, საშუალო ;
ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი- დაწყებითი;
სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი--დაწყებითი (I-VI კლასი), საბაზო, საშუალო;
მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი--დაწყებითი (I-VI კლასი), საბაზო, საშუალო ;
სპორტის საგნობრივი ექსპერტი- დაწყებითი (I-VI კლასი), საბაზო, საშუალო ;
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი- I-VI კლასის კურიკულუმის რევიზია სპეციფიკის გათვალისწინებით).

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ სკოლის წარმომადგენელებს-სკოლის დირექტორს, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებს, საგნობრივი ჯგუფის პედაგოგებს, მშობლებს და საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეებს.
ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო გარკვეული მტკიცებულებების წარმოდგენა, ექსპერტების მიერ გაიცა რჩევები, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაეცნო დაწესებულების წარმომადგენლებს ვიზიტის დასასრულს.

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ■ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ■ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	■ შეესაბამება

	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
მოსწავლეთა რაოდენობა:	■	

405	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*ხარვეზი*
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*ხარვეზი*
N **3.4.1.1**	სკოლა უზრუნველყოფს სკოლ ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოებ დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკურ უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფ მექანიზმი, უფლებამოსი ორგანოსთან/პირთან შეთანხმებულ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმ სკოლის მიმართვა უფლებამოსი უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრ უსაფრთხოების მოთხოვნებთ შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილ ორგანოს მიერ გაცემული შენობ	სკოლას არ აქვს <u>მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ .</u> **იხ. ინდიკატორის აღწერა.** სკოლის მიერ ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტი (№ MES 2 26 0000563906, თარიღი: 13/05/2026) ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ იქნა მიჩნეული რელევანტურად შემდეგ გარემოებათა გამო: ოფიციალური კორესპონდენცია მიმართულია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსადმი, რომელიც არ წარმოადგენს „მოქალაქეთა უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონითა და მოქმედი ტექნიკური რეგლამენტებით განსაზღვრულ

	ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახ დასკვნა	სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობაზე უფლებამოსილ ორგანოს (სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური). წარმოდგენილი წერილი ატარებს მატერიალურ-ტექნიკური დახმარების თხოვნის ხასიათს (აღჭურვაში ხელშეწყობა) და მასში არ ფიქსირდება მოთხოვნა უფლებამოსილი უწყების მიერ შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების წესებთან და პირობებთან შესაბამისობის შეფასების/დასკვნის მომზადების თაობაზე.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***ხარვეზი***

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *დაწყებითი, საბაზო საშუალო*	***ხარვეზი***

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
N 1.2.1.1	სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც	სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ვადის ფარგლებში — 2026 წლის 14 სექტემბრამდე — უზრუნველყოს მეთოდოლოგიის დამტკიცების პროცედურის განხორციელება დოკუმენტით განსაზღვრული

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს	მართვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის შესაბამისად.**იხ. ინდიკატორის აღწერა.**
N 1.2.1.2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს	სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ვადის ფარგლებში — 2026 წლის 14 სექტემბრამდე — უზრუნველყოს სტრატეგიული მიზნების, მისიისა და ხედვის დოკუმენტის განხილვა და დამტკიცება შესაბამისი მართვის ორგანოების უფლებამოსილებების დაცვით. **იხ. ინდიკატორის აღწერა.**
N 1.2.1.3	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას	სკოლამ, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ვადის ფარგლებში — 2026 წლის 14 სექტემბრამდე — უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის განხილვისა და დამტკიცების პროცედურების განხორციელება დადგენილი უფლებამოსილებებისა და მართვის წესის შესაბამისად. **იხ. ინდიკატორის აღწერა.**
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
***N* 3.1.2.4**	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს	სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ვადის ფარგლებში — 2026 წლის 14 სექტემბრამდე — უზრუნველყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის მიღება და სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა მოქმედი მოთხოვნების შესაბამისად. **იხ. ინდიკატორის აღწერა.**
***N* 3.4.1.1**	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა	**რეკომენდირებულია:** უზრუნველყოფილ იქნეს „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით“ გათვალისწინებული აქტივობების (საგანგებო გეგმის შეთანხმება და შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნის მოპოვება) დასრულება დადგენილ ვადაში — **2026 წლის 25 დეკემბრამდე.** **ასევე** სკოლის დირექციამ განახორციელოს გეგმის შესრულების შუალედური კონტროლი, რათა თავიდან იქნეს აცილებული რეაგირების

	უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	დაგვიანების რისკი (რომელიც სკოლის მიერ შეფასებულია 15-20%-ად). **იხ. ინდიკატორის აღწერა.**
N **3.5.1.4**	**სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**	სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ვადის ფარგლებში — 2027 წლის 25 დეკემბრამდე — განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები ინკლუზიური გარემოს უზრუნველსაყოფად და ეტლით მოსარგებლე პირებისთვის მნიშვნელოვანი სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობის გასაზრდელად. **იხ. ინდიკატორის აღწერა.**
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *საგაზო-საშუალო საფეხური*	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
N 2.2.2.3.	**კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**	სკოლამ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, 15/01/2027-მდე უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სასწავლო-ლაბორატორიული ინვენტარითა და ტექნიკური საშუალებებით, რათა სრულად იქნას უზრუნველყოფილი საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისთვის საჭირო პრაქტიკული სამუშაოების ჩატარების შესაძლებლობა და დაცული იყოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის შესახებ დადგენილი მოთხოვნები. **იხ.ინდიკატორის აღწერა**

ინდიკატორი N **ინდიკატორი 2.2.2.4.**	**სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**	სკოლამ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ვადის ფარგლებში — 2026 წლის 14 სექტემბრამდე — უზრუნველყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის მიღება და სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა მოქმედი მოთხოვნების შესაბამისად. **იხ. ინდიკატორის აღწერა.**

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	***რჩევა***
***N* 1.2.2.2**	სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს	სასურველია სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში უფრო დეტალურად განიმარტოს მონიტორინგისა და შეფასების პროცედურული ციკლი. კერძოდ, ნათლად განისაზღვროს მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზზე პასუხისმგებელი პირები/ჯგუფები და დაზუსტდეს ანალიზის საფუძველზე რეაგირების მექანიზმი (ე.წ. „უკუკავშირის სისტემა“). ეს უზრუნველყოფს მიღებული შედეგების ეფექტიან გამოყენებას სკოლის შემდგომი საქმიანობისა და სტრატეგიული განვითარების პროცესის უწყვეტი გაუმჯობესებისათვის.
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	***რჩევა***
***N* 3.1.2.2**	სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და	სასურველია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში დამატებით გაიწეროს ჩანაცვლების პროცესის დეტალური პროცედურა (მათ შორის

	ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა	დროებითი შემცვლელის განსაზღვრის წესი და აღრიცხვის ფორმა), რაც კიდევ უფრო გააძლიერებს პროცესის გამჭვირვალობას და ერთგვაროვან პრაქტიკას.
***N* 3.1.2.3**	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით	სასურველია საკონკურსო პროცესში გამოყენებული შეფასების ფორმებში უფრო დეტალურად განისაზღვროს გასაუბრების ეტაპზე ქულების მინიჭების კრიტერიუმები და შეფასების ინდიკატორები, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს პროცესის გამჭვირვალობას და ერთგვაროვან პრაქტიკას. ასევე კანდიდატებისთვის კონკურსის დასრულების შემდეგ დაინერგოს უკუკავშირის მიწოდების პრაქტიკა, რაც ხელს შეუწყობს ინსტიტუციური ნდობის ზრდას და პერსონალის მართვის პროცესის გამჭვირვალობას.
***N* 3.1.2.5**	პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს	<u>სასურველია</u> სკოლამ პერიოდულად განახორციელოს პერსონალის კმაყოფილების ან ორგანიზაციული კლიმატის კვლევა, რაც საშუალებას მისცემს ადმინისტრაციას ობიექტურად შეაფასოს გუნდური მუშაობის ეფექტურობა და საჭიროების შემთხვევაში დაგეგმოს შესაბამისი გაუმჯობესების ღონისძიებები. <u>ასევე სასურველია,</u> კათედრებისა და სამუშაო ჯგუფების ფარგლებში განხორციელებული ერთობლივი აქტივობები და საუკეთესო პრაქტიკა სისტემატურად აისახოს სკოლის ანგარიშებსა და შიდა დოკუმენტაციაში, რაც ხელს შეუწყობს ორგანიზაციული კულტურის შემდგომ განვითარებას.
***N* 3.1.2.6**	სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი	<u>სასურველია,</u> არამატერიალური წახალისების ფორმები (მადლობის წერილი, საჯარო აღიარება, პროფესიული მიღწევების აღნიშვნა) უფრო აქტიურად აისახოს ადმინისტრაციულ აქტებსა და შიდა დოკუმენტაციაში, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს პერსონალის მოტივაციის სისტემას.

N **3.2.1.1**	სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები	<u>მიზანშეწონილია</u> დაინერგოს ინდივიდუალური პროფესიული განვითარების გეგმები, რაც უზრუნველყოფს პერსონალის მხარდაჭერის მიზნობრივ ხასიათს. <u>სასურველია,</u> სკოლამ სისტემატურად განახორციელოს პერსონალის საჭიროებების კვლევა (გამოკითხვა, გასაუბრება, თვითშეფასება) და შეფასების შედეგები აისახოს პროფესიული განვითარების გეგმებში, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს ხარისხის მართვის მექანიზმს.
N **3.2.1.2**	პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად	<u>სასურველია</u> განსაზღვრული იყოს პროფესიული განვითარების გეგმის შესრულების მონიტორინგის მექანიზმი, რათა შეფასდეს განხორციელებული აქტივობების გავლენა სწავლა-სწავლების ხარისხზე და საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს გეგმის კორექტირება.
N **3.2.1.3**	**სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**	<u>**სასურველია**</u> სკოლამ შეიმუშაოს პერსონალის კარიერული განვითარების ხელშეწყობის უფრო დეტალური შიდა მექანიზმები, განსაკუთრებით ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალისათვის, სადაც განისაზღვრება პროფესიული განვითარების, ფუნქციური გაფართოების ან დაწინაურების შესაძლებლობები. <u>**ასევე მიზანშეწონილია,**</u> სკოლამ უფრო აქტიურად გამოიყენოს მაღალი სტატუსის მქონე მასწავლებლების პროფესიული რესურსი კოლეგების მხარდაჭერისა და მენტორობის მიზნით, რაც ხელს შეუწყობს სკოლაში პროფესიული განვითარების უწყვეტ პროცესს.
N **3.2.1.4**	სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან	<u>სასურველია</u> სკოლამ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში უფრო დეტალურად განსაზღვროს ახალი თანამშრომლების მენტორობის ან კოლეგიური მხარდაჭერის მექანიზმი, რომლის ფარგლებში გამოცდილ

		თანამშრომელს დაეკისრება ახალი კადრის დახმარება ადაპტაციის პერიოდში. ასევე რეკომენდებულია ადაპტაციის პერიოდის დასრულების შემდეგ განხორციელდეს თანამშრომელთან გასაუბრება ან მოკლე გამოკითხვა, რათა შეფასდეს ინტეგრაციის ხარისხი და საჭიროების შემთხვევაში განისაზღვროს დამატებითი მხარდაჭერის ღონისძიებები.
N **3.2.1.5**	წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები	**სასურველია** სკოლამ აწარმოოს პერსონალის მიერ ინიცირებული და განხორციელებული პროექტებისა და აქტივობების აღრიცხვა, რაც გაამარტივებს მათი ეფექტიანობის შეფასებას და გამოიყენება თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების პროცესში. **ასევე მიზანშეწონილია,** ბიუჯეტის დაგეგმვისას შესაძლებლობის ფარგლებში განისაზღვროს რესურსი ინოვაციური საგანმანათლებლო ინიციატივების მხარდასაჭერად, რაც კიდევ უფრო წაახალისებს პერსონალის პროფესიულ აქტივობას და ახალი მიდგომების დანერგვას.
N **3.3.1.1**	სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს	**სასურველია** ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მიღებული რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების (მოსწავლეთა შედეგები, დაკვირვების შედეგები, გამოკითხვები და სხვა) სისტემატიზება და მათი პერიოდული განხილვა პედაგოგიურ საბჭოზე, რაც ხელს შეუწყობს გადაწყვეტილებების მიღების პროცესის უფრო მეტად მონაცემებზე დაფუძნებას. სკოლამ გააძლიეროს ინდივიდუალური და კოლეგიური თვითშეფასების პრაქტიკა, რათა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი გახდეს არა მხოლოდ ადმინისტრაციული, არამედ თითოეული თანამშრომლის ყოველდღიური პროფესიული საქმიანობის ნაწილი.

N 3.3.1.3	სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა	<u>სკოლას მიეცა რჩევა:</u> უზრუნველყოს საჩივრების განხილვის პრაქტიკის პერიოდული ანალიზი და მიღებული შედეგების გამოყენება სკოლის მართვის პროცესის გაუმჯობესების მიზნით, ასევე უზრუნველყოს საჩივრების პროცედურების შესახებ ინფორმაციის რეგულარული გაცნობა სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის.
N 3.4.1.4	სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს	სასურველია სკოლამ პერიოდულად განახორციელოს სასკოლო კლიმატის შეფასება ანონიმური გამოკითხვების მეშვეობით და გააძლიეროს ფსიქოლოგიური მომსახურების ხელმისაწვდომობა.
N 3.4.1.6	**სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**	**<u>სკოლას მიეცა რჩევა:</u>** პერიოდულად განახორციელოს პერსონალის გადამზადება პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე და შიდა რეგულაციებში უფრო მკაფიოდ განსაზღვროს მონაცემთა შენახვისა და განადგურების ვადები.
N 3.4.1.7	**სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**	**სკოლას მიეცა რჩევა:** უზრუნველყოს ციფრული უსაფრთხოების დამატებითი გაძლიერება (პაროლების პერიოდული განახლება, ანტივირუსული პროგრამების კონტროლი) და დოკუმენტაციის არქივირების პროცესის სისტემატიზება კანონმდებლობის შესაბამისად.
N 3.5.1.3	**დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**	**სკოლას მიეცა რჩევა:** უზრუნველყოს საერთო სარგებლობის სივრცეებისთვის (ბიბლიოთეკა, ლაბორატორია) სარგებლობის გრაფიკების ფორმალიზება და თვალსაჩინო ადგილას განთავსება, ასევე განიხილოს ელექტრონული წიგნადი ფონდის განვითარების შესაძლებლობა რესურსებზე წვდომის გასაზრდელად.

N 3.5.1.5	სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას	<u>სკოლას მიეცა რჩევა:</u> უზრუნველყოს არსებული სივრცეების მულტიფუნქციური გამოყენების ორგანიზება და სტრატეგიულ/სამოქმედო გეგმებში პრიორიტეტულად ასახოს შიდა სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია ან შესაბამისი სივრცის მოწყობა, რაც გააძლიერებს სკოლის სოციო-კულტურულ ფუნქციას.
N 3.6.1.1	ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას	<u>სკოლას მიეცა რჩევა:</u> უზრუნველყოს ტექნიკური მხარდაჭერის სისტემის გაძლიერება (IT სპეციალისტის ჩართულობა) და ინტერნეტ-ქსელის დაფარვის გაუმჯობესება სკოლის მთელ სივრცეში, რაც კიდევ უფრო გააუმჯობესებს რესურსების ეფექტიან გამოყენებას.
N 3.6.1.2	ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად	სკოლას მიეცა რჩევა, დანერგოს IT რესურსებით სარგებლობის აღრიცხვის მექანიზმი (ჟურნალი) და უზრუნველყოს მშობელთა დამატებითი ინფორმირება ციფრული უსაფრთხოების პოლიტიკის შესახებ, რაც გააძლიერებს რესურსების მართვის ეფექტიანობასა და ნდობას.
3.6.2.2	სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა	**მიზანშეწონილია** სკოლამ პერიოდულად უზრუნველყოს ადმინისტრაციული პერსონალის გადამზადება ელექტრონული სისტემების ახალ ფუნქციონალებთან დაკავშირებით და დანერგოს მნიშვნელოვანი დოკუმენტაციის სარეზერვო ასლების სისტემატური შენახვის პრაქტიკა, რათა კიდევ უფრო გაძლიერდეს ციფრული უსაფრთხოება და მდგრადობა.ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით,
3.6.2.3	სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში	**მიზანშეწონილია** სკოლამ დანერგოს მონაცემთა პერიოდული შიდა გადამოწმების პრაქტიკა და უზრუნველყოს სისტემასთან მომუშავე პერსონალის მუდმივი პროფესიული განვითარება, რათა მაქსიმალურად იქნას გამოყენებული EMIS-ის ფუნქციური შესაძლებლობები.

3.6.2.4	**სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**	**მიზანშეწონილია** სკოლამ გააძლიეროს ანგარიშების პროაქტიული საჯაროობის პრაქტიკა და დანერგოს მარეგულირებელი უწყებებიდან მიღებული რეკომენდაციების შესრულების სისტემური მონიტორინგი, რაც კიდევ უფრო გააუმჯობესებს მართვის პროცესების ეფექტიანობას.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***რჩევა***
N **4.2.2.1**	**კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**	**სასურველია,** სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლამ კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით არსებული პრაქტიკა გააძლიეროს სისტემურობისა და მდგრადობის კუთხით, კერძოდ: გააფორმოს თანამშრომლობის მემორანდუმები პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რაც უზრუნველყოფს აქტივობების რეგულარულობასა და მდგრადობას; დანერგოს მოსწავლეთა კარიერული ინტერესებისა და საჭიროებების სისტემური კვლევის და შედეგების ანალიზის მექანიზმები; განსაზღვროს კარიერული ორიენტაციის ღონისძიებების ეფექტიანობის შეფასების ინდიკატორები, რათა მიღებული შედეგები გამოყენებულ იქნეს შემდგომი დაგეგმვისა და გაუმჯობესებისთვის.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	***რჩევა***
N 2.1.2.1	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**	<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</u>

		სასურველია, IV კლასის კურიკულუმში, თემები შეესაბამებოდეს ბუნებისმეტყველების საგნობრივ სტანდარტში განსაზღვრულ სავარდებულო თემებს. **საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა შეთანხმდეს კურიკულუმის ერთიან ფორმაზე. **უცხოური ენები** კურიკულუმის სრულყოფის მიზნით, სასურველია სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი ცნებები (ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები) დამატებით დაიშალოს ქვეცნებებად, რაც უზრუნველყოფს სასწავლო შინაარსის მეტად დეტალიზებულ და სტრუქტურირებულ წარმოდგენას. **მათემატიკა** სასურველია საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილ სასწავლო თემებს მითითებულ ჰქონდეს დათმობილი საათების რაოდენობა სემესტრის/წლის განმავლობაში. **სპორტი** სასურველი იქნებოდა, რომ სამივე საფეხურზე კურიკულუმში, შეტანილი იყოს თემები თეორიული მიმართულებითაც **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** სასურველია, კერძოდ IV კლასის ბუნების კურიკულუმში არსებული თემები თანხვედრაში მოდიოდეს საგნობრივ სტანდარტში გათვალისწინებულ თემებთან.

		სასურველია სამივე საგნის კურიკულუმებში მითითებული იყოს დათმობილი საათების რაოდენობა.
N 2.1.2.2	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**	**<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u>** მიზანშეწონილია კურიკულუმში უფრო დეტალურად გაიწეროს დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიები, რათა სასწავლო პროცესი კიდევ უფრო მეტად იყოს ორიენტირებული სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეზე. რეკომენდებულია კურიკულუმის განმავითარებელი შეფასების ნაწილში დაზუსტდეს კრიტერიუმები, რომლებიც მასწავლებელს დაეხმარება მოსწავლის მიერ სამიზნე ცნების გააზრების ხარისხის უფრო ზუსტ იდენტიფიცირებაში.
N 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</u>** საბაზო და საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების სტანდარტის მიხედვით, კეთებით სწავლება გულისხმობს რეალურ ლაბორატორიულ სამუშაოებს. მიზანშეწონილია კურიკულუმის ცხრილებში აისახოს კვლევითი დავალებები, რომლებიც რეალურ ლაბორატორიულ გარემოში მუშაობას ითვალისწინებს. სასურველია, დოკუმენტაციას დაემატოს ამ დავალებებისთვის საჭირო სპეციფიკური რესურსები: ექსპერიმენტის ინსტრუქციები, რეაქტივებისა და ხელსაწყოების ნუსხა, მანიპულატივები და სხვა დამხმარე მასალები. **<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u>** სასურველია სკოლამ შეიმუშაოს რესურსების განახლებისა და გამდიდრების მიდგომა საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე. რეკომენდებულია იმ კურიკულუმებში, სადაც მხოლოდ სახელმძღვანელოა მითითებული, დაემატოს კონტექსტური მაგალითები — პირველწყაროები, ისტორიული დოკუმენტები, ასევე ციფრული რესურსები, როგორიცაა

		საგანმანათლებლო პლატფორმები და თემატური ვიდეომასალა, რაც სწავლის პროცესს უფრო დინამიურსა და მოსწავლეზე მორგებულს გახდის. **უცხოური ენები** სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებისა და მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდის მიზნით სასურველია, სკოლამ გააფართოოს სასწავლო რესურსების გამოყენება, ვინაიდან მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსების ინტეგრირება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ენის ოთხივე უნარის გაუმჯობესებას. სასურველია მასწავლებლებმა გამოიყენონ ციფრული საგანმანათლებლო პლატფორმები და თავად შექმნან რესურსები მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობებიდან გამომდინარე. **ესთეტიკური აღზრდა** სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების განახლებულ კურიკულუმებში დავალებების შესაბამისი რესურსები სრულად და სისტემურად უნდა აისახოს შესაბამის სვეტში. **სახელმწიფო ენა** სასურველია, დამხმარე რესურსები აისახოს მე-10 და მე-11 კლასის კურიკულუმებში. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** სასურველია, კერძოს მშობლიური ენის IV კლასის, ასევე მათემატიკის კურიკულუმებში შესაბამის სვეტებში ასახონ ყველა ის დამხმარე რესურსი (ელექტრონული ბმულები, ვიდეორესურსები), რასაც კათედრის მასწავლებლები იყენებენ სასწავლო პროცესში.

N 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	<u>**საზოგადოებრივი მეცნიერებები**</u> სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულ;ებით უფრო მკაფიოდ გაიწეროს დიფერენცირებული სწავლების კონკრეტული სტრატეგიები მაგალითად, დავალებების სირთულის მიხედვით დაყოფა, დამხმარე მინიშნებების გამოყენება რაც მასწავლებელს დაეხმარება პროცესის უკეთ მართვაში. რეკომენდებულია კათედრის ფარგლებში მოხდეს საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება სსსმ და სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის გარემოსა და რესურსების ოპტიმალური მორგების შესახებ. სასურველია, დამხმარე რესურსები აისახოს მე-10 და მე-11 კლასის კურიკულუმებში..
N 2.1.2.5	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	<u>**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**</u> სასურველია, კურიკულუმით გათვალისწინებული თითოეული დავალებისათვის შემუშავდეს სპეციფიკური შეფასების რუბრიკები, რომლებშიც წარმოდგენილი იქნება შეფასების კრიტერიუმების დეტალური აღწერილობა და შესაბამისი ქულები. <u>**საზოგადოებრივი მეცნიერებები**</u> მიზანშეწონილია შეფასების რუბრიკების შემდგომი დახვეწა და მათი მეტი კონკრეტიზაცია სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებით, რათა შეფასების სისტემა ყველა საფეხურზე თანაბრად იყოს გამოყენებადი. სასურველია შეფასების კრიტერიუმები წინასწარ გაეცნოს მოსწავლეებს და მშობლებს, რაც გაზრდის პროცესის გამჭვირვალობას და მოსწავლეთა ჩართულობას საკუთარი პროგრესის გააზრებაში.

		<u>ესთეტიკური აღზრდა</u> სასურველია, ესთეტიკის კათედრაზე მუსიკისა და სახვითი ხელოვნების კურიკულუმში წარმოდგენილი დავალებებისთვის შეფასების რუბრიკების შემდგომი შემუშავება, დახვეწა და მათი უფრო მეტად დაკონკრეტება სამიზნე ცნებების სიღრმისეულ გააზრებასთან მიმართებით, რათა შეფასების სისტემის ვალიდურობა და ობიექტურობა ყველა საფეხურზე თანმიმდევრულად იყოს წარმოდგენილი <u>ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური</u> სასურველია, შფასების სისტემის ვალიდურობისა და ობიექტურობის მიზნით, კურიკულუმებში ასახული შემოქმედებითი დავალებებისთვის შემუშავებული შეფასების რუბრიკებში ჩანდეს უფრო მკაფიო და მიზანმიმართული კავშირი სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებთან.
N **2.2.1.1**	**სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**	<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u> მიზანშეწონილია საზოგადოებრივი მეცნიერებების შეფასების რუბრიკების შემდგომი დახვეწა და მათი მეტი კონკრეტიზაცია სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებით, რათა შეფასების სისტემის ვალიდურობა და ობიექტურობა ყველა საფეხურზე თანაბრად იყოს დოკუმენტირებული და დადასტურებული.
N **2.2.1.3**	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u> მიზანშეწონილია საზოგადოებრივი მეცნიერებების შეფასების რუბრიკების შემდგომი დახვეწა და მათი მეტი კონკრეტიზაცია სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებით, რათა შეფასების სისტემის ვალიდურობა და

		ობიექტურობა ყველა საფეხურზე თანაბრად იყოს დოკუმენტირებული და დადასტურებული.
N 2.2.2.1		<u>**საზოგადოებრივი მეცნიერებები**</u> სასურველია სასწავლო პროცესში სახელმძღვანელოსთან ერთად აქტიურად იქნას გამოყენებული მრავალფეროვანი რესურსი — ადგილობრივი გარემოს შესწავლაზე დაფუძნებული გასვლითი ვიზიტები, თემასთან დაკავშირებული ადგილობრივი სტუმრები-პრაქტიკოსები, რაც საზოგადოებრივი მეცნიერებების სასწავლო შინაარსს მოსწავლეთათვის უფრო ცხოვრებისეულსა და მნიშვნელოვანს გახდის. <u>**უცხოური ენები**</u> აღნიშნული პრაქტიკის მიუხედავად, მიზანშეწონილია რესურსების გამოყენების შემდგომი გამრავალფეროვნება და ინტერაქტიული კომპონენტის გაძლიერება, მათ შორის ციფრული პლატფორმებისა და ავთენტური მასალების უფრო აქტიური ინტეგრირებით. რესურსების მრავალფეროვანი და მიზნობრივი კომბინაცია ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ჩართულობისა და მოტივაციის ზრდას, ასევე კომუნიკაციური უნარების უფრო ეფექტიან განვითარებას. <u>**ესთეტიკური აღზრდა**</u> სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების განახლებულ კურიკულუმებში სასურველია რესურსების სვეტი სისტემურად გადაიხედოს და დაკონკრეტდეს, რათა ყველა დავალებასთან მიმართებით მკაფიოდ იყოს ასახული როგორც ძირითადი, ისე დამატებითი სასწავლო მასალა. <u>**მათემატიკა**</u>

		გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოს მითითებასთან ერთად კურიკულუმის შესაბამის კომპონენტში წამოადგინონ სხადასხვა დამხმარე საგანმანათებლო რესურსები შესაბამისი ბმულების მითითებით; **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური** სასურველია,სამივე საგნის კურიკულუმის რესურსების გრაფაში მითითებული იყოსროგორც ძირითადი ასევე დამხმარე რესურსები, კონკრეტული ელ.რესურსების ბმულები.
N 2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია რესურსების ვალიდაციის პროცესი გახდეს უფრო სისტემური და დოკუმენტირებული, რათა კათედრის ყველა წევრისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი იყოს გადამოწმებული და საგნობრივ სტანდარტთან შესაბამისი მასალების ბაზა.
N 2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** საბაზო და საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების სტანდარტის მიხედვით, კეთებით სწავლება გულისხმობს რეალურ ლაბორატორიულ სამუშაოებს. მიზანშეწონილია კურიკულუმის ცხრილებში აისახოს კვლევითი დავალებები, რომლებიც რეალურ ლაბორატორიულ გარემოში მუშაობას ითვალისწინებს. სასურველია, დოკუმენტაციას დაემატოს ამ დავალებებისთვის საჭირო სპეციფიკური რესურსები: ექსპერიმენტის ინსტრუქციები, რეაქტივებისა და ხელსაწყოების ნუსხა, მანიპულატივები და სხვა დამხმარე მასალები. **საზოგადოებრივი მეცნიერებები**

		სასურველია სკოლამ შეიმუშაოს რესურსების განახლებისა და გამდიდრების მიდგომა საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე. რეკომენდებულია იმ კურიკულუმებში, სადაც მხოლოდ სახელმძღვანელოა მითითებული, დაემატოს კონტექსტური მაგალითები — პირველწყაროები, ისტორიული დოკუმენტები, ასევე ციფრული რესურსები, როგორიცაა საგანმანათლებლო პლატფორმები და თემატური ვიდეომასალა, რაც სწავლის პროცესს უფრო დინამიურსა და მოსწავლეზე მორგებულს გახდის. **უცხოური ენები** სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებისა და მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდის მიზნით სასურველია, სკოლამ გააფართოოს სასწავლო რესურსების გამოყენება, ვინაიდან მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსების ინტეგრირება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ენის ოთხივე უნარის გაუმჯობესებას. სასურველია მასწავლებლებმა გამოიყენონ ციფრული საგანმანათლებლო პლატფორმები და თავად შექმნან რესურსები მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობებიდან გამომდინარე. **ესთეტიკური აღზრდა** სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების განახლებულ კურიკულუმებში დავალებების შესაბამისი რესურსები სრულად და სისტემურად უნდა აისახოს შესაბამის სვეტში. **სახელმწიფო ენა** სასურველია, დამხმარე რესურსები აისახოს მე-10 და მე-11 კლასის კურიკულუმებში. **მათემატიკა**

		სასურველია საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილ სასწავლო თემებს მითითებულ ჰქონდეს დათმობილი საათების რაოდენობა სემესტრის/წლის განმავლობაში. **<u>სპორტი</u>** სასურველი იქნებოდა, რომ სამივე საფეხურზე კურიკულუმში, შეტანილი იყოს თემები თეორიული მიმართულებითაც **<u>ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური</u>** სასურველია, კერძოს მშობლიური ენის IV კლასის, ასევე მათემატიკის კურიკულუმებში შესაბამის სვეტებში ასახონ ყველა ის დამხმარე რესურსი (ელექტრონული ბმულები, ვიდეორესურსები), რასაც კათედრის მასწავლებლები იყენებენ სასწავლო პროცესში.
		<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</u> საბაზო და საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების სტანდარტის მიხედვით, კეთებით სწავლება გულისხმობს რეალურ ლაბორატორიულ სამუშაოებს. მიზანშეწონილია კურიკულუმის ცხრილებში აისახოს კვლევითი დავალებები, რომლებიც რეალურ ლაბორატორიულ გარემოში მუშაობას ითვალისწინებს. სასურველია, დოკუმენტაციას დაემატოს ამ დავალებებისთვის საჭირო სპეციფიკური რესურსები: ექსპერიმენტის ინსტრუქციები, რეაქტივებისა და ხელსაწყოების ნუსხა, მანიპულატივები და სხვა დამხმარე მასალები. **<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u>** სასურველია სკოლამ შეიმუშაოს რესურსების განახლებისა და გამდიდრების მიდგომა საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე. რეკომენდებულია იმ კურიკულუმებში, სადაც მხოლოდ სახელმძღვანელოა

		მითითებული, დაემატოს კონტექსტური მაგალითები — პირველწყაროები, ისტორიული დოკუმენტები, ასევე ციფრული რესურსები, როგორიცაა საგანმანათლებლო პლატფორმები და თემატური ვიდეომასალა, რაც სწავლის პროცესს უფრო დინამიურსა და მოსწავლეზე მორგებულს გახდის. **<u>უცხოური ენები</u>** სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებისა და მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდის მიზნით სასურველია, სკოლამ გააფართოოს სასწავლო რესურსების გამოყენება, ვინაიდან მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსების ინტეგრირება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ენის ოთხივე უნარის გაუმჯობესებას. სასურველია მასწავლებლებმა გამოიყენონ ციფრული საგანმანათლებლო პლატფორმები და თავად შექმნან რესურსები მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობებიდან გამომდინარე. **<u>ესთეტიკური აღზრდა</u>** სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების განახლებულ კურიკულუმებში დავალებების შესაბამისი რესურსები სრულად და სისტემურად უნდა აისახოს შესაბამის სვეტში. **<u>სახელმწიფო ენა</u>** სასურველია, დამხმარე რესურსები აისახოს მე-10 და მე-11 კლასის კურიკულუმებში. **<u>მათემატიკა</u>** სასურველია საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილ სასწავლო თემებს მითითებულ ჰქონდეს დათმობილი საათების რაოდენობა სემესტრის/წლის განმავლობაში.

		<u>სპორტი</u> სასურველი იქნებოდა, რომ სამივე საფეხურზე კურიკულუმში, შეტანილი იყოს თემები თეორიული მიმართულებითაც <u>ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური</u> სასურველია, კერძოს მშობლიური ენის IV კლასის, ასევე მათემატიკის კურიკულუმებში შესაბამის სვეტებში ასახონ ყველა ის დამხმარე რესურსი (ელექტრონული ბმულები, ვიდეორესურსები), რასაც კათედრის მასწავლებლები იყენებენ სასწავლო პროცესში.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, სკოლის ადმინისტრაციასთან, პედაგოგებთან და სხვა თანამშრომლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლის მისია და ხედვა გამომდინარეობს და შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. მასში გაცხადებულია, რომ „სკოლის მისიაა აღზარდოს ტოლერანტი, კრიტიკულად მოაზროვნე, კომუნიკაბელური, კანონმორჩილი, სამოქალაქო ცნობიერების მქონე თაობა, რომელსაც ექნება არა მარტო ხარისხიანი განათლება, არამედ პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრისა და ჯანსაღ კონკურენტუნარიან გარემოში თავის დამკვიდრების უნარი”.

„სკოლა მოსწავლეებსა და თანამშრომლებს სთავაზობს უსაფრთხო, მეგობრულ გარემოს, სადაც სასკოლო საზოგადოების წევრები თავს გრძნობენ დაცულად და მხარში უდგანან ერთმანეთს. მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან თანამშრომლობითი, კონკურენტული გარემოთი, სადაც პატივს სცემენ განსხვავებულ აზრს და ინოვაციურ იდეებს.

მასწავლებლები იყენებენ სწავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდებს და ეფექტური უკუკავშირის საშუალებით საშუალებას აძლევენ მათ, დაინახონ საკუთარი სწავლის პროგრესი.

სკოლა ზრუნავს თითოეული მოსწავლის გონებრივ, ფიზიკურ, ემოციურ და სულიერ განვითარებაზე და ხელს უწყობს მათ ჩამოყალიბებას საზოგადოების სრულფასოვან წევრებად.

სკოლა აღიარებს, რომ ყველა ბავშვს აქვს ინდივიდუალური ნიჭი და შესაძლებლობები და ხელს უწყობს მათ მაქსიმალურად გამოვლენას.

სკოლის ყველა თანამშრომელი აცნობიერებს, რომ სწავლა სწავლება რთული და ხანგრძლივი პროცესია, რადგან ყველა ბავშვი ინდივიდუალურია და თითოეული მათგანი ინფორმაციას სხვადასხვა გზით ითვისებს.

სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეს დაინახოს და გაიაზროს საკუთარი სწავლის პროცესი, რათა მისცეს მას დამოუკიდებლად სწავლისა და განვითარების საშუალება.

სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში მოქალაქეობრივი ღირებულებების განვითარებას და ზრუნავს მათ ტოლერანტ, კრიტიკულად მოაზროვნე გლობალურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებაზე, რათა მომავალში მათ შეძლონ პრობლემის დამოუკიდებლად გადაჭრა და ჯანსაღ კონკურენტუნარიან გარემოში თავის დამკვიდრება". შესაბამისად, **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი როლი, როგორც საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს, რაც გაწერილია სკოლის მისიასა და ხედვაში: "სასკოლო საზოგადოების წევრები თავს გრძნობენ დაცულად და მხარში უდგანან ერთმანეთს. სკოლა აღიარებს, რომ ყველა ბავშვს აქვს ინდივიდუალური ნიჭი და შესაძლებლობები და ხელს უწყობს მათ მაქსიმალურად გამოვლენას. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეს, დაინახოს და გაიაზროს საკუთარი სწავლის პროცესი, რათა მისცეს მას დამოუკიდებლად სწავლისა და განვითარების საშუალება". შესაბამისად, **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, სკოლის ადმინისტრაციასთან, პედაგოგებთან და სხვა თანამშრომლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, რაც დასტურდება სამუშაო ჯგუფის შექმნით, რომელიც დაკომპლექტებულია სასკოლო საზოგადოების წევრთა წარმომადგენლებით.

სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 15 დეკემბრის №2-103 ბრძანებით შექმნილია სამუშაო ჯგუფი სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, რომლის შემადგენლობაში შედიან: დირექტორის მოადგილე, მასწავლებლები, მშობელი, მოსწავლე. მათ სკოლის SWOT ანალიზის საფუძველზე უნდა შეიმუშაონ სკოლის ფილოსოფიის პროექტი 2026 წლის 15 სექტემბრამდე. შემუშავების

პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობისთვის შექმნილია კითხვარი. სამუშაო ჯგუფის 2025 წლის 16 დეკემბრის სხდომის №1 ოქმში იკითხება, რომ მასწავლებლები გაეცნენ და მოიწონეს სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტი. შესაბამისად, **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, სკოლის ადმინისტრაციასთან, პედაგოგებთან და სხვა თანამშრომლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. გაზიარების მექანიზმი აღწერილია სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლის ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დანართ №1-ში (მუხლი 12.). მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე. შესაბამისად, **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის და სკოლის ვიზუალური დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე, ხოლო მისია გამოკრულია სკოლის შესასვლელში თვალსაჩინო ადგილას. შესაბამისად, **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, რომელიც სკოლას მინიჭებული აქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ №448 ბრძანებით. აღნიშნული ბრძანებით სკოლის სახელწოდებაა „სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლა“. შესაბამისად, **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მისია, ხედვა და ღირებულებები,
- ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ,
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი,

- სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (დანართი 1),
- ფილოსოფიის და სტრატეგიული დაგეგმვის კითხვარი,
- მშობელთა კრების ოქმი,
- სკოლის ვებ-გვერდი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლას აქვს დირექტორის 2025 წლის 15 დეკემბრის №2-110 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია სტრატეგიული დაგეგმვის პროცესებთან დაკავშირებული ძირითადი მიდგომები, დაგეგმვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები/პირები, როგორი უნდა იყოს სტატეგიული განვთარების გეგმისა და სამოქმედო გეგმის სტრუქტურა და ძირითადი მოთხოვნები, როგორ უნდა მოხდეს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი/შეფასება და დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცება-შესწორება. თუმცა, დოკუმენტი სრულად ვერ უზრუნველყოფს სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობას. კერძოდ, მეთოდოლოგიაში არ არის განსაზღვრული სასკოლო საზოგადოების და სხვა დაინტერესებული მხარეების (მოსწავლეები,

მშობლები, პედაგოგები) პრიორიტეტებისა და ინტერესების სისტემური იდენტიფიცირების, ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის მექანიზმები, რაც წარმოადგენს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის არსებით კომპონენტს.

ამასთანავე, იკვეთება დამტკიცების პროცედურის შეუსაბამობა — მეთოდოლოგიის მიხედვით დოკუმენტის დამტკიცება განეკუთვნება სამეურვეო საბჭოს უფლებამოსილებას, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტი დამტკიცებულია დირექტორის მიერ, რაც არ შეესაბამება დოკუმენტითვე განსაზღვრულ მართვისა და გადაწყვეტილების მიღების წესს.

სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა მიგნება, დასკვნის პროექტის პასუხად, შეიმუშავა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად, 2026 წლის 14 სექტემბრამდე უზრუნველყოფილი იქნება მეთოდოლოგიის დამტკიცება უფლებამოსილი მართვის ორგანოს — სამეურვეო საბჭოს მიერ, დოკუმენტით განსაზღვრული პროცედურული წესის შესაბამისად.

<u>სკოლას მიეცა რეკომენდაცია,</u> შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ვადის ფარგლებში — 2026 წლის 14 სექტემბრამდე — უზრუნველყოს მეთოდოლოგიის დამტკიცების პროცედურის განხორციელება დოკუმენტით განსაზღვრული მართვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის შესაბამისად. **ინდიკატორი <u>მეტწილად შეესაბამება</u> სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და სასკოლო საზოგადოებასთან (ადმინისტრაცია, პედაგოგები, თანამშრომლები) ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს 2023–2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა. დოკუმენტი ატარებს ციკლურ ხასიათს და სტრუქტურულად ეფუძნება დაწესებულების მისიას, ხედვასა და ღირებულებებს, განსაზღვრავს სტრატეგიულ მიზნებსა და შესაბამის ამოცანებს. თუმცა, ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ სტრატეგიულ მიზნებსა და სკოლის მისიასა და ხედვას შორის კავშირი ნაწილობრივ ზოგადი ხასიათისაა და არ არის საკმარისად დეტალიზებული კონკრეტული ამოცანების დონეზე.

ამასთან, იკვეთება დოკუმენტის დამტკიცების პროცედურასთან დაკავშირებული არსებითი შეუსაბამობა — წარმოდგენილი მასალებით ვერ დასტურდება სტრატეგიული გეგმის სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცების ფაქტი (არ არის წარმოდგენილი შესაბამისი სხდომის ოქმი), რაც არ შეესაბამება მართვის ორგანოთა უფლებამოსილებების განაწილებისა და დოკუმენტის სამართლებრივი ძალის უზრუნველყოფის მოთხოვნებს.

სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა მიგნება, დასკვნის პროექტის პასუხად შეიმუშავა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად, 2026 წლის 14 სექტემბრამდე განხორციელდება სტრატეგიული მიზნების, მისიისა და ხედვის დოკუმენტის განხილვა პედაგოგიურ საბჭოზე და დამტკიცება სამეურვეო საბჭოს მიერ, კანონმდებლობითა და შიდა რეგულაციებით განსაზღვრული პროცედურების დაცვით.

<u>სკოლას მიეცა რეკომენდაცია,</u> შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ვადის ფარგლებში — 2026 წლის 14 სექტემბრამდე — უზრუნველყოს სტრატეგიული მიზნების, მისიისა და ხედვის დოკუმენტის განხილვა და დამტკიცება შესაბამისი მართვის ორგანოების უფლებამოსილებების დაცვით.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, **ინდიკატორი <u>მეტწილად შეესაბამება</u> სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლის ადმინისტრაციასთან, პედაგოგებთან და სხვა თანამშრომლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს ერთწლიანი (2025–2026 სასწავლო წელი) სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება 2023–2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმას, სკოლის მისიასა და სტრატეგიულ მიზნებს. დოკუმენტი მოიცავს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამის აქტივობებს, შესრულების ინდიკატორებს, პასუხისმგებელ პირებს/სტრუქტურულ ერთეულებს, საჭირო რესურსებსა და განხორციელების ვადებს.

დადგენილია, რომ სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია წინა წლის (2024–2025) სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგები, რაც დასტურდება პედაგოგიური საბჭოს 2025 წლის 11 სექტემბრის სხდომის №4 ოქმით, სადაც განხილულია შესრულებული და შეუსრულებელი აქტივობები და გამოკვეთილია შემდგომი დაგეგმვისთვის მნიშვნელოვანი საკითხები.

ამასთან, იკვეთება დოკუმენტის დამტკიცების პროცედურასთან დაკავშირებული არსებითი შეუსაბამობა — წარმოდგენილი მასალებით ვერ დასტურდება 2025–2026 წლის სამოქმედო გეგმის სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცების ფაქტი (არ არის წარმოდგენილი შესაბამისი სხდომის ოქმი), ხოლო 2025 წლის 10 სექტემბრის სამეურვეო საბჭოს სხდომის №2 ოქმი თარიღობრივად წინ უსწრებს პედაგოგიური საბჭოს მიერ გეგმის განხილვას და არ შეიცავს აღნიშნული საკითხის განხილვას დღის წესრიგში. აღნიშნული გარემოება მიუთითებს, რომ არ არის დაცული დოკუმენტის განხილვისა და დამტკიცების პროცედურული თანმიმდევრობა და მართვის ორგანოთა

უფლებამოსილებების განაწილების წესი. ვერ დასტურდება 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცება დადგენილი წესით. კერძოდ, წარმოდგენილი არ არის სამეურვეო საბჭოს მიერ გეგმის დამტკიცების ოქმი, ხოლო არსებული №2 ოქმი (10.09.2025) თარიღობრივად წინ უსწრებს პედაგოგიურ საბჭოზე გეგმის განხილვას (11.09.2025) და მასში არ ფიქსირდება სამოქმედო გეგმის დამტკიცების საკითხი. აღნიშნული წარმოადგენს პროცედურულ დარღვევას, ვინაიდან სამოქმედო გეგმა არ არის მიღებული/დამტკიცებული უფლებამოსილი ორგანოს მიერ შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების დაცვით.

სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა მიგნება, დასკვნის პროექტის პასუხად შეიმუშავა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად, 2026 წლის 14 სექტემბრამდე უზრუნველყოფილი იქნება სამოქმედო გეგმის განხილვისა და დამტკიცების პროცედურული თანმიმდევრობის შესაბამისობაში მოყვანა მოქმედ რეგულაციებთან და მართვის ორგანოთა უფლებამოსილებების განაწილების წესთან.

<u>სკოლას მიეცა რეკომენდაცია,</u> შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ვადის ფარგლებში — 2026 წლის 14 სექტემბრამდე — უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის განხილვისა და დამტკიცების პროცედურების განხორციელება დადგენილი უფლებამოსილებებისა და მართვის წესის შესაბამისად.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, **ინდიკატორი <u>მეტწილად შეესაბამება</u> სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, სკოლის ადმინისტრაციასთან, პედაგოგებთან და სხვა თანამშრომლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. შესაბამისად, **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია,

- შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა,
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა,
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი ერთწლიანი სამოქმედო გეგმის განხილვაზე,
- სამეურვეო საბჭოს ოქმი ერთწლიანი გეგმის დამტკიცებაზე.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლას აქვს დირექტორის 2025 წლის 15 დეკემბრის №2-110 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. მასში გაწერილია, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული მიმართულებების შესრულება ფასდება 3 წელიწადში ერთხელ იმის დასადგენად, თუ რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო სკოლის სტრატეგია. შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლოა განხორციელდეს სტრატეგიული მიზნების გადახედვა და სამოქმედო გეგმის ცვლილება.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიმართულებების შესრულება ფასდება სემესტრისა და სასწავლო წლის ბოლოს, რაც ხორციელდება დაკვირვებით და პასუხისმგებელი პირების/სტრუქტურული ერთეულების ანგარიშების საფუძველზე. შედეგებიდან გამომდინარე კი, შესაძლოა, განხორციელდეს სამოქმედო გეგმის ცვლილება.

რჩევა: სასურველია სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში უფრო დეტალურად განიმარტოს მონიტორინგისა და შეფასების პროცედურული ციკლი. კერძოდ, ნათლად განისაზღვროს მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზზე პასუხისმგებელი პირები/ჯგუფები და დაზუსტდეს ანალიზის საფუძველზე რეაგირების მექანიზმი (ე.წ. „უკუკავშირის სისტემა“). ეს უზრუნველყოფს მიღებული შედეგების ეფექტიან გამოყენებას სკოლის შემდგომი საქმიანობისა და სტრატეგიული განვითარების პროცესის უწყვეტი გაუმჯობესებისათვის. ***ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.***

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, სკოლის ადმინისტრაციასთან, პედაგოგებთან და სხვა თანამშრომლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლა, მეთოდოლოგიის შესაბამისად, გეგმავს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით. პირველადი ავტორიზაციის პირობებში, სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება ჯერ არ მომხდარა. შესაბამისად, **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლის ადმინისტრაციასთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლა გეგმავს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები გასაჯაროებას მისი შეფასების შემდეგ. შესაბამისად, **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლის ადმინისტრაციასთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლა სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგებს გამოიყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისთვის, მას შემდეგ, რაც ის სახეზე იქნება (მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოს 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს და 2026 წელს განხორციელებულ 2023-2030 წლების სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს). შესაბამისად, **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
■ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, სკოლის ადმინისტრაციასთან, პედაგოგებთან და სხვა თანამშრომლებთან ჩატარებული ინტერვიუებისა და ფაქტობრივი მდგომარეობის გაცნობის საფუძველზე დგინდება, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში სტრუქტურული ერთეულებისა და პერსონალის ფუნქციები განსაზღვრულია შიდა სამართლებრივი აქტებით, რაც უზრუნველყოფს მართვის პროცესის ორგანიზებულობას, პასუხისმგებლობების გამიჯვნასა და გადაწყვეტილებების მიღების გამჭვირვალობას.

სკოლაში მოქმედებს დოკუმენტი „სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღწერა“, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 15 დეკემბრის №2-110 ბრძანებით და განსაზღვრავს როგორც კოლეგიური ორგანოების, ისე ინდივიდუალური თანამდებობების უფლებამოსილებებსა და მოვალეობებს. დოკუმენტის ანალიზით დგინდება, რომ განსაზღვრულია დირექციის, ადმინისტრაციული პერსონალის, პედაგოგიური საბჭოს, კათედრების, დისციპლინური კომიტეტის, მოსწავლეთა თვითმმართველობისა და სხვა სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები, რაც უზრუნველყოფს პასუხისმგებლობების განაწილების სიცხადეს.

სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა წარმოდგენილია სქემის სახით, სადაც ასახულია მართვის ყველა ძირითადი დონე და მათ შორის იერარქიული კავშირი. წარმოდგენილი სქემა ადასტურებს, რომ სტრუქტურული ერთეულები განსაზღვრულია და მათი ფუნქციონირება შესაბამისობაშია სკოლის მართვის მოდელთან.

საშტატო ნუსხის შესწავლით დგინდება, რომ სკოლაში განსაზღვრულია საშტატო ერთეულები და თითოეულ პოზიციას შესაბამისი ფუნქციური დატვირთვა აქვს, რაც ადასტურებს ფუნქციების პრაქტიკულ განაწილებას.

ინტერვიუების დროს ადმინისტრაციისა და პედაგოგიური პერსონალის მიერ დადასტურდა, რომ თანამშრომლები იცნობენ საკუთარ ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს და საქმიანობას ახორციელებენ დამტკიცებული ინსტრუქციების შესაბამისად.

ასევე დადგენილია, რომ დირექტორის 2023 წლის 30 ოქტომბრის №2-84 ბრძანებით განსაზღვრულია დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, რაც უზრუნველყოფს მართვის პროცესის უწყვეტობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, სკოლის ადმინისტრაციასთან, პედაგოგებთან და სხვა თანამშრომლებთან ჩატარებული ინტერვიუებისა და ფაქტობრივი მდგომარეობის გაცნობის საფუძველზე დგინდება, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში სტრუქტურულ ერთეულებსა და პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ორგანიზებულია ისე, რომ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას.

დირექტორის **2025 წლის 15 დეკემბრის №2-110 ბრძანებით** დამტკიცებული დოკუმენტი „სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღწერა“ განსაზღვრავს აკადემიური და ადმინისტრაციული მიმართულებების პასუხისმგებლობებს და უზრუნველყოფს ფუნქციათა გამიჯვნას. დოკუმენტის მიხედვით, საგანმანათლებლო საქმიანობის დაგეგმვასა და განხორციელებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება საგნობრივ კათედრებს, რომელთა ფუნქციებში შედის სასწავლო პროგრამების დაგეგმვა, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესრულების ხელშეწყობა, პროფესიული გამოცდილების გაზიარება და სასწავლო რესურსების შერჩევა, რაც პირდაპირ უკავშირდება სწავლების ხარისხის უზრუნველყოფას.

დოკუმენტაციის ანალიზით და ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ პედაგოგიური საბჭოსა და კათედრების ურთიერთკოორდინაცია უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებას კოლეგიალურ საფუძველზე. აღნიშნული სტრუქტურული მოდელი ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების ეფექტურ დანერგვას და სწავლების პროცესის თანმიმდევრულ მართვას.

საშტატო ნუსხის მიხედვით, სკოლაში განსაზღვრულია ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი პოზიციები, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ასისტენტი, ფსიქოლოგი და სხვა დამხმარე პერსონალი, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას და საგანმანათლებლო პროცესში მათ სრულფასოვან ჩართულობას.

ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქციები, მათ შორის ბიბლიოთეკარის, საქმისმწარმოებლისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის მოვალეობები, ორიენტირებულია სასწავლო პროცესის მხარდაჭერაზე, რესურსების დროულ უზრუნველყოფასა და სამუშაო გარემოს ორგანიზებაზე, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებას.

ასევე დადგენილია, რომ დირექტორის **2023 წლის 30 ოქტომბრის №2-84 ბრძანებით** განსაზღვრულია დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, ხოლო ადმინისტრაციული გუნდის ფუნქციებში გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის მონიტორინგი და კოორდინაცია, რაც უზრუნველყოფს მართვის პროცესის უწყვეტობას და სტრატეგიული მიზნების შესრულებას.

ინტერვიუების დროს პედაგოგებმა და ადმინისტრაციულმა პერსონალმა დაადასტურეს, რომ ფუნქციები და პასუხისმგებლობები განაწილებულია ისე, რომ თითოეული სტრუქტურული ერთეული ჩართულია სასწავლო პროცესის მხარდაჭერაში და საკუთარი საქმიანობით ხელს უწყობს საგანმანათლებლო მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები;
- საშტატო განრიგი;
- სკოლის სტრუქტურა;

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, პერსონალის მართვის პროცესი რეგულირდება საქართველოს **შრომის კოდექსის**, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის **2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანების** („მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და

შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“), ასევე სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტების საფუძველზე, რაც ასახულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში.

დადგენილია, რომ სკოლაში შემუშავებულია და დამტკიცებულია **ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა**, რომელიც განსაზღვრავს კადრების შერჩევის, მიღების, პროფესიული განვითარების, ადაპტაციისა და შეფასების ძირითად პრინციპებს. დოკუმენტის მიხედვით, თანამშრომელთა შერჩევა ხორციელდება კონკურსის ან გასაუბრების გზით, კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით, ხოლო სამუშაოდ მიღებულ თითოეულ თანამშრომელთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება და იხსნება პირადი საქმე.

წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულებების ანალიზით დასტურდება, რომ თანამშრომლებთან გაფორმებულია წერილობითი შრომითი ხელშეკრულებები, სადაც განსაზღვრულია მხარეთა უფლება-მოვალეობები, სამუშაო პირობები, ანაზღაურება და შრომითი ურთიერთობის სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რაც შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებს.

სკოლაში მოქმედებს **შინაგანაწესი**, რომელიც ვრცელდება ყველა დასაქმებულზე და წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. შინაგანაწესით განსაზღვრულია სამუშაო დრო, შვებულების წესი, შრომის ანაზღაურების გაცემის პირობები, დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები, წახალისების მექანიზმები და შრომის უსაფრთხოების მოთხოვნები.

შინაგანაწესი ასევე ადგენს, რომ დასაქმებული ვალდებულია გაეცნოს დოკუმენტს ხელმოწერით, ხოლო სკოლა უზრუნველყოფს მის ხელმისაწვდომობას და ცვლილებების გაცნობას კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში, რაც შეესაბამება შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელ ნორმებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში პერსონალის მართვის პროცესი ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, უზრუნველყოფილია შრომითი ურთიერთობების წერილობითი გაფორმება, შიდა მარეგულირებელი აქტების არსებობა და მათი შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, სკოლის ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუებისა და ფაქტობრივი მდგომარეობის გაცნობის საფუძველზე დგინდება, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში პერსონალის მართვა ხორციელდება საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული მექანიზმების გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტობას და სამუშაო პროცესის ეფექტურ ორგანიზებას.

სკოლაში მოქმედი **ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა**, დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს მიერ, განსაზღვრავს კადრების შერჩევის, განვითარებისა და ჩანაცვლების ძირითად პრინციპებს და ეფუძნება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს, მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს და სხვა სამართლებრივ აქტებს. დოკუმენტი ითვალისწინებს თანამშრომელთა საჭიროებების განსაზღვრას, კადრების შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, ადაპტაციის მექანიზმებსა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობას, რაც წარმოადგენს პრევენციული მართვის სისტემის საფუძველს.

წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულებების ანალიზით დგინდება, რომ დასაქმებულთან გაფორმებული ხელშეკრულება განსაზღვრავს მის უფლებებსა და ვალდებულებებს, მათ შორის სამუშაო პროცესის უწყვეტობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობებს. ხელშეკრულების პირობებით, თანამშრომელი ვალდებულია ადმინისტრაციის მოთხოვნის შემთხვევაში შეასრულოს დამატებითი ფუნქცია, მათ შორის ჩაანაცვლოს დროებით არმყოფი თანამშრომელი შესაბამისი ანაზღაურების პირობებში, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ მიმდინარეობას.

სკოლის შინაგანაწესის მიხედვით, დასაქმებული ვალდებულია წინასწარ ან გონივრულ ვადაში აცნობოს ადმინისტრაციას სამსახურში გამოუცხადებლობის შესახებ, რაც საშუალებას აძლევს სკოლას დროულად მოახდინოს რეაგირება და უზრუნველყოს გაკვეთილის ჩატარება სხვა კვალიფიციური პირის მიერ. აღნიშნული პრაქტიკა წარმოადგენს ინტერვენციული მართვის მექანიზმს, რომელიც მიმართულია მოსწავლეთა ინტერესების დაცვისკენ.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ასევე განსაზღვრავს ვაკანსიის შემთხვევაში კონკურსის ჩატარების წესს, რომელიც ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის **2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით** დამტკიცებული წესის შესაბამისად. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ საჭიროების შემთხვევაში სკოლა აცხადებს კონკურსს და უზრუნველყოფს კადრის შერჩევას დადგენილი პროცედურების დაცვით, რაც ადასტურებს ინტერვენციული მართვის პრაქტიკულ განხორციელებას.

დირექტორის **2024 წლის 23 აგვისტოს №2-38 ბრძანებით** გამოცხადებული კონკურსის შესახებ დოკუმენტი ადასტურებს, რომ ვაკანტური პოზიციის შევსება ხორციელდება სამართლებრივი პროცედურების დაცვით და განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

ასევე დადგენილია, რომ სკოლაში მოქმედებს „დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის **2025 წლის 15 დეკემბრის №2-110 ბრძანებით** და განსაზღვრავს თითოეული პოზიციისთვის აუცილებელ განათლებასა და კომპეტენციებს, რაც უზრუნველყოფს, რომ როგორც ახალი კადრის მიღების, ისე დროებითი ჩანაცვლების დროს დაცული იყოს პროფესიული სტანდარტი.

დოკუმენტაციის ანალიზით იკვეთება, რომ სკოლაში მოქმედებს პრევენციული და ინტერვენციული მექანიზმები, თუმცა **მიზანშეწონილია,** ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში დამატებით გაიწეროს ჩანაცვლების პროცესის დეტალური პროცედურა (მათ შორის დროებითი შემცვლელის განსაზღვრის წესი და აღრიცხვის ფორმა), რაც კიდევ უფრო გაამლიერებს პროცესის გამჭვირვალობას და ერთგვაროვან პრაქტიკას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, სკოლის ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუებისა და პერსონალური საქმეების გადამოწმების საფუძველზე დგინდება, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში პერსონალის შერჩევის პროცესი რეგულირდება შიდა სამართლებრივი აქტებით და ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით, რაც უზრუნველყოფს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრების მოზიდვას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების საფუძველზე.

სკოლაში მოქმედი **ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა** განსაზღვრავს კადრების მოზიდვისა და შერჩევის წესს და ითვალისწინებს, რომ მასწავლებლის მიღება ხდება კონკურსის წესით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის **2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით** დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ შესაბამისად. პოლიტიკა ასევე ადგენს, რომ ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში უნდა გამოცხადდეს შიდა ან/და ღია კონკურსი, ხოლო ინფორმაცია ვაკანსიის შესახებ საჯაროდ ქვეყნდება შესაბამის ელექტრონულ პლატფორმაზე (teacherjobs.ge), რაც უზრუნველყოფს პროცესის საჯაროობასა და გამჭვირვალობას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ დირექტორის **2024 წლის 23 აგვისტოს №2-38 ბრძანებით** გამოცხადდა ღია კონკურსი ვაკანტურ პოზიციაზე, სადაც განსაზღვრული იყო საკვალიფიკაციო მოთხოვნები, განაცხადების მიღების ვადები და შერჩევის პროცედურა, რაც ადასტურებს, რომ სკოლა პრაქტიკაში იყენებს დადგენილ საკონკურსო მექანიზმებს.

შერჩევის პროცესში გამოიყენება წინასწარ განსაზღვრული **„დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები“**, დამტკიცებული დირექტორის **2025 წლის 15 დეკემბრის №2-110 ბრძანებით**, სადაც გაწერილია თითოეული პოზიციისთვის აუცილებელი განათლება, პროფესიული კომპეტენცია და სხვა მოთხოვნები. აღნიშნული დოკუმენტი უზრუნველყოფს კანდიდატების შეფასებას ერთიანი კრიტერიუმების მიხედვით და ამცირებს სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების რისკს.

პერსონალური საქმეების გადამოწმებით დგინდება, რომ დასაქმებულებთან ფორმდება წერილობითი შრომითი ხელშეკრულებები, ხოლო პირად საქმეებში ინახება კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაცია, მათ შორის განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები, ნასამართლობის შესახებ ცნობები და სხვა აუცილებელი მასალები, რაც შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს მოსწავლეთა უსაფრთხო გარემოს დაცვას.

ინტერვიუების დროს ადმინისტრაციამ და პედაგოგებმა დაადასტურეს, რომ ვაკანსიის წარმოშობის შემთხვევაში სკოლა აცხადებს კონკურსს, კანდიდატები ფასდებიან წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით და საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება საკონკურსო კომისიის მონაწილეობით, რაც უზრუნველყოფს კოლეგიურობასა და გადაწყვეტილების ობიექტურობას.

დოკუმენტაციის ანალიზით იკვეთება, რომ შერჩევის პროცედურები განსაზღვრულია, თუმცა **მიზანშეწონილია** საკონკურსო პროცესში გამოყენებული შეფასების ფორმებში უფრო დეტალურად განისაზღვროს გასაუბრების ეტაპზე ქულების მინიჭების კრიტერიუმები და შეფასების ინდიკატორები, რაც კიდევ უფრო გაამლიერებს პროცესის გამჭვირვალობას და ერთგვაროვან პრაქტიკას.

ასევე რეკომენდებულია, კანდიდატებისთვის კონკურსის დასრულების შემდეგ დაინერგოს უკუკავშირის მიწოდების პრაქტიკა, რაც ხელს შეუწყობს ინსტიტუციური ნდობის ზრდას და პერსონალის მართვის პროცესის გამჭვირვალობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

წარმოდგენილი დოკუმენტაციის, პერსონალური საქმეების, EMIS-ის ბაზის მონაცემების შესწავლის, ასევე სკოლის ადმინისტრაციასთან და თანამშრომლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

EMIS-ის ბაზის მონაცემებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სკოლაში დასაქმებული მასწავლებლები ფლობენ შესაბამის პროფესიულ სტატუსებს. მასწავლებელთა კორპუსში წარმოდგენილია წამყვანი და უფროსი მასწავლებლები, რაც შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ მოთხოვნებს. წარმოდგენილი მონაცემები ადასტურებს, რომ მასწავლებელთა პროფესიული სტატუსები და საგნობრივი კომპეტენციები შესაბამისობაშია მათ მიერ დაკავებულ პოზიციებთან და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ხარისხიან წარმართვას.

პერსონალის კვალიფიკაცია რეგულირდება დირექტორის **2025 წლის 15 დეკემბრის №2-110 ბრძანებით** დამტკიცებული დოკუმენტით „დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები“, რომელიც განსაზღვრავს თითოეული პოზიციისათვის აუცილებელ განათლებას, გამოცდილებასა და პროფესიულ უნარებს. დოკუმენტის მიხედვით, ბუღალტერს მოეთხოვება შესაბამისი უმაღლესი განათლება ფინანსურ ან ეკონომიკურ მიმართულებაში, მასწავლებლებს — მოქმედი პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული განათლება და კომპეტენცია, ხოლო ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პერსონალს — შესაბამისი ფუნქციის შესრულებისთვის საჭირო ცოდნა და უნარები.

თითოეულ თანამშრომელზე წარმოებულია პირადი საქმე, სადაც დაცულია განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები, კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატები, შრომითი ხელშეკრულებები და სხვა აუცილებელი მასალები, რაც შეესაბამება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ასევე დადგენილია, რომ პერსონალის ფუნქციები და პასუხისმგებლობები განსაზღვრულია შესაბამის დოკუმენტებში და თანხვედრაშია თანამშრომელთა კვალიფიკაციასთან, რაც უზრუნველყოფს ადმინისტრაციული, საგანმანათლებლო და სამეურნეო საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას.

ინტერვიუების დროს ადმინისტრაციამ და პედაგოგებმა დაადასტურეს, რომ კადრების შერჩევისას და დასაქმებისას ყურადღება ექცევა როგორც განათლებას და პროფესიულ სტატუსს, ისე პრაქტიკულ გამოცდილებას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში თანამშრომლებს ეძლევათ პროფესიული განვითარების შესაძლებლობა.

დოკუმენტაციის ანალიზით იკვეთება, რომ პერსონალის კვალიფიკაცია ძირითადად შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს, გარდა ხელოვნების მასწავლებლისა. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრის დეფიციტის გათვალისწინებით აღნიშნულ საგანს შემცირებული აქვს საათობრივი დატვირთვა და ასწავლიან სხვა საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლები.

სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა მიგნება, დასკვნის პროექტის პასუხად შეიმუშავა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად, 2026 წლის 14 სექტემბრამდე უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის შერჩევისა და დასაქმების პროცესი.

<u>სკოლას მიეცა რეკომენდაცია</u>, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ვადის ფარგლებში — 2026 წლის 14 სექტემბრამდე — უზრუნველყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის მიღება და სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა მოქმედი მოთხოვნების შესაბამისად. **ინდიკატორი <u>მეტწილად შეესაბამება სტანდარტის</u> მოთხოვნებს.**

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, სკოლის ადმინისტრაციასთან, პედაგოგებთან და სხვა თანამშრომლებთან ჩატარებული ინტერვიუებისა და ფაქტობრივი მდგომარეობის გაცნობის საფუძველზე დგინდება, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში ჩამოყალიბებულია ორგანიზაციული კულტურა, რომელიც ეფუძნება მონაწილეობითი მართვისა და გუნდური მუშაობის პრინციპებს და ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურ განხორციელებას.

სკოლაში მოქმედი „სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღწერა“, დამტკიცებული დირექტორის **2025 წლის 15 დეკემბრის №2-110 ბრძანებით**, განსაზღვრავს კოლეგიური და ინდივიდუალური მართვის ორგანოების ფუნქციებს და ითვალისწინებს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის ჩართულობას. დოკუმენტის მიხედვით, პედაგოგიური საბჭო წარმოადგენს კოლეგიურ ორგანოს, სადაც განიხილება სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები და გადაწყვეტილებები მიიღება კოლეგიურად, რაც უზრუნველყოფს პერსონალის მონაწილეობას მართვის პროცესში.

სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა მოიცავს საგნობრივ კათედრებს, რომლებიც ფუნქციონირებენ როგორც მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფები და უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესის დაგეგმვას, გამოცდილების გაზიარებას და პროფესიულ თანამშრომლობას. კათედრების საქმიანობა დაკავშირებულია სასწავლო პროგრამების განხორციელებასთან, რესურსების შერჩევასთან და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებასთან, რაც შეესაბამება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით განსაზღვრულ გუნდური მუშაობის პრინციპებს.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში განსაზღვრულია თანამშრომელთა პროფესიული განვითარების, თანამშრომლობისა და ჩართულობის ხელშეწყობა, რაც მოიცავს სამუშაო შეხვედრებს, გამოცდილების გაზიარებას და თანამშრომელთა საჭიროებების გათვალისწინებას. დოკუმენტის მიხედვით, სკოლა ხელს უწყობს თანამშრომელთა მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და უზრუნველყოფს კოლეგიალურ გარემოს, რომელიც ორიენტირებულია საერთო მიზნების მიღწევაზე.

დოკუმენტაციის ანალიზით ასევე იკვეთება, რომ სკოლაში სხვადასხვა საკითხის გადაწყვეტის მიზნით იქმნება დროებითი სამუშაო ჯგუფები და კომისიები, რომელთა შემადგენლობაში შედიან როგორც ადმინისტრაციული, ისე პედაგოგიური და ტექნიკური პერსონალის წარმომადგენლები, რაც უზრუნველყოფს ფუნქციების დელეგირებას და პროცესების გამჭვირვალობას.

ინტერვიუების დროს პედაგოგებმა და ადმინისტრაციულმა პერსონალმა დაადასტურეს, რომ სკოლაში დამკვიდრებულია თანამშრომლობითი გარემო, გადაწყვეტილებების მიღებისას ითვალისწინებენ კოლეგების მოსაზრებებს, ხოლო სამუშაო საკითხები განიხილება საბჭოების, კათედრებისა და სამუშაო შეხვედრების ფარგლებში, რაც ხელს უწყობს გუნდური პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას.

სკოლას მიეცა **რჩევა:** პერიოდულად განახორციელოს პერსონალის კმაყოფილების ან ორგანიზაციული კლიმატის კვლევა, რაც საშუალებას მისცემს ადმინისტრაციას ობიექტურად შეაფასოს გუნდური მუშაობის ეფექტურობა და საჭიროების შემთხვევაში დაგეგმოს შესაბამისი გაუმჯობესების ღონისძიებები.

ასევე სასურველია, კათედრებისა და სამუშაო ჯგუფების ფარგლებში განხორციელებული ერთობლივი აქტივობები და საუკეთესო პრაქტიკა სისტემატურად აისახოს სკოლის ანგარიშებსა და შიდა დოკუმენტაციაში, რაც ხელს შეუწყობს ორგანიზაციული კულტურის შემდგომ განვითარებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, სკოლის ადმინისტრაციასთან, პედაგოგებთან და სხვა თანამშრომლებთან ჩატარებული ინტერვიუებისა და ფაქტობრივი მდგომარეობის გაცნობის საფუძველზე დგინდება, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში დანერგილია პერსონალის წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმები, რომლებიც ხელს უწყობს თანამშრომელთა მოტივაციას, პროფესიულ განვითარებას და პოზიტიური ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბებას.

სკოლაში მოქმედი **ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა** და შინაგანაწესი ითვალისწინებს თანამშრომელთა წახალისების, პროფესიული განვითარების ხელშეწყობისა და მიღწევების აღიარების პრინციპებს. დოკუმენტში განსაზღვრულია, რომ სკოლა ზრუნავს თანამშრომელთა მოტივაციაზე, პროფესიული ზრდის ხელშეწყობასა და წარმატებული საქმიანობის დაფასებაზე, რაც წარმოადგენს აღიარებისა და გაზიარების მექანიზმის სამართლებრივ საფუძველს.

დოკუმენტაციის ანალიზით და ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში წარმატებული პრაქტიკის გაზიარება ხორციელდება როგორც შიდა, ისე გარე კომუნიკაციის გზით. პედაგოგიური საბჭოს, კათედრებისა და სამუშაო შეხვედრების ფარგლებში თანამშრომლები ერთმანეთს უზიარებენ სასწავლო პროცესში მიღებულ გამოცდილებას, იყენებენ კოლეგიალურ განხილვებს და ერთობლივად გეგმავენ სასწავლო აქტივობებს, რაც ხელს უწყობს პროფესიული პრაქტიკის გაუმჯობესებას.

ინტერვიუების დროს ადმინისტრაციამ და პედაგოგებმა დაადასტურეს, რომ სკოლის მიღწევებისა და თანამშრომელთა წარმატებული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება სკოლის ოფიციალურ საკომუნიკაციო არხებში (სოციალური ქსელი, ვებგვერდი და სხვა), ასევე თანამშრომლები მონაწილეობენ რესურსცენტრისა და მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ პროფესიულ შეხვედრებსა და კონფერენციებში, სადაც ხდება გამოცდილების გაზიარება და წარმატებული პრაქტიკის წარმოდგენა.

დადგენილია, რომ სკოლაში გამოიყენება თანამშრომელთა წახალისების სხვადასხვა ფორმა, მათ შორის ადმინისტრაციული აქტით მადლობის გამოცხადება, სიტყვიერი წახალისება, ასევე მატერიალური სტიმულირების შესაძლებლობა მოქმედი წესების ფარგლებში, რაც ხელს უწყობს თანამშრომელთა პროფესიულ მოტივაციას და ზრდის მათ ჩართულობას სკოლის საქმიანობაში.

სასურველია, არამატერიალური წახალისების ფორმები (მადლობის წერილი, საჯარო აღიარება, პროფესიული მიღწევების აღნიშვნა) უფრო აქტიურად აისახოს ადმინისტრაციულ აქტებსა და შიდა დოკუმენტაციაში, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს პერსონალის მოტივაციის სისტემას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თანამშრომელთა შრომითი ხელშეკრულებები;
- შინაგანაწესი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- ბრძანება ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ;
- ემისის ბაზა;
- დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- მასწავლებელთა მადლობის სიგელები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐შეესაბამება
[redacted] მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, სკოლის ადმინისტრაციასთან, პედაგოგებთან და სხვა თანამშრომლებთან ჩატარებული ინტერვიუებისა და ფაქტობრივი მდგომარეობის გაცნობის საფუძველზე დგინდება, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში მოქმედებს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები, რომლებიც მიმართულია თანამშრომელთა პროფესიული კომპეტენციების განვითარებისა და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისკენ.

სკოლაში მოქმედი **ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა** განსაზღვრავს, რომ თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენს სკოლის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას და გულისხმობს დასაქმებულთა საჭიროებების იდენტიფიცირებას, კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობას და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვას. დოკუმენტის მიხედვით, სკოლა უზრუნველყოფს ისეთი გარემოს შექმნას, სადაც თანამშრომლებს აქვთ შესაძლებლობა განავითარონ პროფესიული უნარები და სრულად გამოავლინონ საკუთარი პოტენციალი.

წარმოდგენილი **ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის** მიხედვით, სკოლაში დანერგილია შიდა შეფასების სისტემა, რომელიც მოიცავს მონიტორინგს, გაკვეთილებზე დასწრებას, ურთიერთდასწრებას, სასწავლო პროცესის ანალიზს და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემას. აღნიშნული მექანიზმი მიზნად ისახავს პერსონალის საქმიანობის შეფასებას, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოვლენას და საჭიროების შემთხვევაში პროფესიული განვითარების ღონისძიებების დაგეგმვას.

დოკუმენტაციის ანალიზით და ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ მასწავლებელთა პროფესიულ მხარდაჭერაში მონაწილეობს ხარისხის განვითარების/პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი და საგნობრივი კათედრები, რომლებიც ახორციელებენ ურთიერთდასწრებას, სამუშაო შეხვედრებს, სასწავლო პროცესის განხილვას და რეკომენდაციების გაცემას. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს შეფასების პროცესის განვითარებაზე ორიენტირებულ ხასიათს და ხელს უწყობს პროფესიული საჭიროებების დროულ გამოვლენას.

ინტერვიუებისას ადმინისტრაციისა და თანამშრომლების მიერ აღინიშნა, რომ სკოლა ხელს უწყობს როგორც პედაგოგიური, ისე ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას. წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება თანამშრომელთა მონაწილეობა პროფესიულ ტრენინგებში (მაგალითად, ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ტრენინგკურსები), რაც მიუთითებს, რომ სკოლა პრაქტიკაში იყენებს პროფესიული განვითარების მხარდაჭერის მექანიზმებს.

ასევე დადგინდა, რომ შეფასების შედეგები გამოიყენება პროფესიული განვითარების დაგეგმვისთვის, თუმცა **მიზანშეწონილია** აღნიშნული პროცესი უფრო მეტად დოკუმენტირდეს და საჭიროების შემთხვევაში დაინერგოს ინდივიდუალური პროფესიული განვითარების გეგმები, რაც უზრუნველყოფს პერსონალის მხარდაჭერის უფრო მიზნობრივ ხასიათს.

სასურველია, სკოლამ სისტემატურად განახორციელოს პერსონალის საჭიროებების კვლევა (გამოკითხვა, გასაუბრება, თვითშეფასება) და შეფასების შედეგები აისახოს პროფესიული განვითარების გეგმებში, რაც კიდევ უფრო გაამლიერებს ხარისხის მართვის მექანიზმს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, სკოლის თვითშეფასების ანგარიშის ანალიზის, ასევე ადმინისტრაციასთან, პედაგოგებთან და სხვა თანამშრომლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში პერსონალის პროფესიული განვითარების პროცესი ეფუძნება „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას“, რომელიც განსაზღვრავს თანამშრომელთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერის ზოგად პრინციპებს და ითვალისწინებს დასაქმებულთა საჭიროებების გამოვლენასა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობას.

დოკუმენტაციის ანალიზით დგინდება, რომ სკოლაში მოქმედებს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმი, რომლის ფარგლებში ხორციელდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი, ურთიერთდასწრება, გაკვეთილებზე დაკვირვება და შედეგების ანალიზი, რაც წარმოადგენს პერსონალის პროფესიული საჭიროებების გამოვლენის ერთ-ერთ ინსტრუმენტს. აღნიშნული პროცედურები გაწერილია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმში და მიზნად ისახავს სწავლების ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას.

დოკუმენტებითა და ინტერვიუებით დადასტურდა, რომ სკოლა ახორციელებს პერსონალის პროფესიული განვითარების მხარდამჭერ ცალკეულ აქტივობებს. მაგალითად, ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით თანამშრომლები მონაწილეობენ თემატურ ტრენინგებში, რაც დასტურდება წარმოდგენილი სერტიფიკატებით (მაგ., ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ტრენინგკურსები). აღნიშნული მიუთითებს, რომ დაწესებულება რეაგირებს კონკრეტულ საჭიროებებზე და ხელს უწყობს თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებას.

თუმცა დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში არ არის წარმოდგენილი ერთიანი, სისტემურად ჩამოყალიბებული **პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმა**, რომელიც დაეფუძნებოდა შეფასების, თვითშეფასების, დაკვირვებისა და კვლევის შედეგებს და რომელშიც განსაზღვრული იქნებოდა კონკრეტული საჭიროებები, აქტივობები, ვადები, პასუხისმგებელი

პირები და რესურსები. არსებული პრაქტიკა მიუთითებს, რომ პროფესიული განვითარების ღონისძიებები ხორციელდება ცალკეული საჭიროებების მიხედვით, თუმცა არ ატარებს სრულად დაგეგმილ და სისტემურ ხასიათს.

ასევე ინტერვიუების დროს პერსონალმა დაადასტურა, რომ პროფესიული განვითარების აქტივობები ტარდება, თუმცა მათი დაგეგმვა ყოველთვის არ ეფუძნება წინასწარ გაწერილ ერთიან გეგმას, რაც ამცირებს პროცესის მიზნობრიობასა და შედეგიანობას.

სასურველია განსაზღვრული იყოს პროფესიული განვითარების გეგმის შესრულების მონიტორინგის მექანიზმი, რათა შეფასდეს განხორციელებული აქტივობების გავლენა სწავლა-სწავლების ხარისხზე და საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს გეგმის კორექტირება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, სკოლის თვითშეფასების ანგარიშის ანალიზის, ასევე ადმინისტრაციასთან, პედაგოგებთან და სხვა თანამშრომლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში პერსონალის კარიერული განვითარება განიხილება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად და დაკავშირებულია თანამშრომელთა პროფესიული კომპეტენციების ზრდასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და პროფესიული წინსვლის ხელშეწყობასთან.

სკოლის **ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა** განსაზღვრავს, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს თანამშრომელთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერას, მათი საჭიროებების გამოვლენას და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვას, რაც მიზნად ისახავს მაღალკვალიფიციური კადრების შენარჩუნებას და მათი პროფესიული შესაძლებლობების განვითარებას.

დოკუმენტაციის ანალიზით დგინდება, რომ მასწავლებელთა კარიერული წინსვლა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ მოთხოვნების დაცვით. წარმოდგენილი მონაცემებით, სკოლაში დასაქმებულ მასწავლებელთა უმრავლესობას მინიჭებული აქვს უფროსი და წამყვანი მასწავლებლის სტატუსი, რაც მიუთითებს, რომ პედაგოგები ჩართულნი არიან პროფესიული განვითარების პროცესში და სარგებლობენ კარიერული წინსვლის შესაძლებლობით.

სკოლაში მოქმედი **ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი** ითვალისწინებს მასწავლებელთა პროფესიულ მხარდაჭერას, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებას, ურთიერთდასწრებას, რეკომენდაციების გაცემას და პროფესიული განვითარების საჭიროებების გამოვლენას, რაც ქმნის საფუძველს თანამშრომელთა შემდგომი კარიერული ზრდისთვის. აღნიშნული პროცედურები უზრუნველყოფს შეფასებაზე დაფუძნებულ პროფესიულ მხარდაჭერას და ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიული კომპეტენციების გაუმჯობესებას.

ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ სკოლა ხელს უწყობს არა მხოლოდ პედაგოგიური, არამედ ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიულ განვითარებასაც. წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება თანამშრომელთა მონაწილეობა კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგებსა და კურსებში, რაც მიუთითებს, რომ დაწესებულება რეაგირებს თანამშრომელთა პროფესიულ საჭიროებებზე და მხარს უჭერს მათი კომპეტენციების განვითარებას.

ამასთან, დოკუმენტაციის ანალიზით იკვეთება, რომ კარიერული განვითარების მხარდაჭერა ძირითადად ეფუძნება მოქმედ რეგულაციებსა და ინდივიდუალურ აქტივობებს, ხოლო ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალისათვის კარიერული წინსვლის შესაძლებლობები ნაკლებად არის ფორმალიზებული შიდა დოკუმენტებში. **მიზანშეწონილია,** სკოლამ უფრო დეტალურად განსაზღვროს შიდა კარიერული განვითარების შესაძლებლობები, რაც ხელს შეუწყობს პერსონალის მოტივაციის ზრდასა და ორგანიზაციული სტაბილურობის გაძლიერებას.

სასურველია სკოლამ შეიმუშაოს პერსონალის კარიერული განვითარების ხელშეწყობის უფრო დეტალური შიდა მექანიზმები, განსაკუთრებით ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალისათვის, სადაც განისაზღვრება პროფესიული განვითარების, ფუნქციური გაფართოების ან დაწინაურების შესაძლებლობები.

ასევე მიზანშეწონილია, სკოლამ უფრო აქტიურად გამოიყენოს მაღალი სტატუსის მქონე მასწავლებლების პროფესიული რესურსი კოლეგების მხარდაჭერისა და მენტორობის მიზნით, რაც ხელს შეუწყობს სკოლაში პროფესიული განვითარების უწყვეტ პროცესს.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, სკოლის თვითშეფასების ანგარიშის ანალიზის, ასევე ადმინისტრაციასთან და თანამშრომლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში ახალი თანამშრომლების ინტეგრაციისა და სამუშაო გარემოსთან ადაპტაციის პროცესი დოკუმენტურად არის მოწესრიგებული და მოიცავს როგორც ორგანიზაციულ, ისე პროფესიულ მხარდაჭერას, რაც ხელს უწყობს დასაქმებულთა სწრაფ და ეფექტურ ჩართვას სასკოლო საქმიანობაში.

სკოლის **ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა** განსაზღვრავს ახალი თანამშრომლის ადაპტაციის ეტაპებსა და შესაბამის აქტივობებს. დოკუმენტის მიხედვით, ინტეგრაციის პროცესი მოიცავს სკოლის ორგანიზაციული კულტურის გაცნობას, ფუნქცია-მოვალეობების განმარტებას, შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციის გაცნობას, კოლეგებთან წარდგენას და თანამშრომლის ჩართვას საკომუნიკაციო და ადმინისტრაციულ სისტემებში, რაც მიზნად ისახავს ახალი კადრის ეფექტურ ინტეგრაციას სამუშაო გარემოში.

დოკუმენტაციის ანალიზით დგინდება, რომ თანამშრომელთა ინტეგრაციის პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შინაგანაწესის გაცნობას, რომლის მიხედვითაც დასაქმებული ვალდებულია გაეცნოს შიდა წესებს და დაადასტუროს ეს ხელმოწერით, რაც უზრუნველყოფს ორგანიზაციული წესების ერთგვაროვან შესრულებას და სამუშაო გარემოსთან ადაპტაციას.

ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ სკოლაში პრაქტიკაში ხორციელდება ახალი თანამშრომლისთვის სკოლის ინფრასტრუქტურის გაცნობა, კოლეგებთან წარდგენა, საგნობრივი კათედრების მუშაობაში ჩართვა და საჭირო ტექნიკურ რესურსებზე (ელექტრონული ჟურნალები, ადმინისტრაციული სისტემები და სხვა) წვდომის უზრუნველყოფა, რაც ხელს უწყობს დასაქმებულის სწრაფ პროფესიულ ინტეგრაციას. ასევე აღინიშნა, რომ ახალი თანამშრომლების მხარდაჭერაში ჩართულნი არიან კათედრის ხელმძღვანელები და ადმინისტრაცია, რაც ამარტივებს სამუშაო პროცესში ჩართვას და ხელს უწყობს გუნდურ გარემოს.

დადგენილია, რომ სკოლაში არსებული ინტეგრაციის მექანიზმები უზრუნველყოფს თანამშრომელთა სამუშაო გარემოსთან ადაპტაციას, თუმცა მიზანშეწონილია აღნიშნული პროცესი კიდევ უფრო გაძლიერდეს მენტორობისა და უკუკავშირის სისტემის განვითარებით, რაც ხელს შეუწყობს ახალი თანამშრომლების პროფესიულ და სოციალურ ინტეგრაციას.

სასურველია სკოლამ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში უფრო დეტალურად განსაზღვროს ახალი თანამშრომლების მენტორობის ან კოლეგიური მხარდაჭერის მექანიზმი, რომლის ფარგლებში გამოცდილ თანამშრომელს დაეკისრება ახალი კადრის დახმარება ადაპტაციის პერიოდში.

ასევე რეკომენდებულია ადაპტაციის პერიოდის დასრულების შემდეგ განხორციელდეს თანამშრომელთან გასაუბრება ან მოკლე გამოკითხვა, რათა შეფასდეს ინტეგრაციის ხარისხი და საჭიროების შემთხვევაში განისაზღვროს დამატებითი მხარდაჭერის ღონისძიებები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში შექმნილია გარემო, რომელიც ხელს უწყობს პერსონალის პროფესიულ და შემოქმედებით აქტივობას, ინიციატივების გამოვლენას და მათი განხორციელების მხარდაჭერას.

სკოლის **ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა** ითვალისწინებს თანამშრომელთა პროფესიული აქტივობისა და ინიციატივების მხარდაჭერას, მათ შორის ისეთი ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას, რომლებიც ხელს უწყობს სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებას და სასკოლო ცხოვრების გამრავალფეროვნებას. დოკუმენტის მიხედვით, პერსონალის მიერ წარმოდგენილი წინადადებები განიხილება ადმინისტრაციისა და შესაბამისი კოლეგიური ორგანოების მონაწილეობით, რაც უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში თანამშრომელთა ჩართულობას.

დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ სკოლაში პრაქტიკაში ხორციელდება სხვადასხვა ტიპის ინიციატივების მხარდაჭერა, მათ შორის სასწავლო პროექტების, საგანმანათლებლო ღონისძიებების, ექსკურსიების, თემატური კვირეულების და სხვა აქტივობების ორგანიზება, რომლებიც ინიცირებულია პედაგოგების ან კათედრების მიერ. აღნიშნული ინიციატივები განიხილება პედაგოგიურ საბჭოზე ან ადმინისტრაციის დონეზე და მათი განხორციელება უზრუნველყოფილია სკოლის შესაძლებლობების ფარგლებში.

დადგენილია, რომ სკოლა იყენებს პერსონალის წახალისების როგორც მატერიალურ, ისე არამატერიალურ ფორმებს. წარმოდგენილი ინფორმაციით, წარმატებული საქმიანობის შემთხვევაში თანამშრომლები შეიძლება დაჯილდოვდნენ დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ასევე პრაქტიკაში გამოიყენება მადლობის გამოცხადება, სერტიფიკატების გადაცემა და საჯარო აღიარება, რაც ხელს უწყობს თანამშრომელთა მოტივაციის ზრდას და პროფესიული აქტიურობის გაძლიერებას.

ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ საგნობრივი კათედრები წარმოადგენს ინიციატივების გენერირების ერთ-ერთ ძირითად პლატფორმას, სადაც ხდება იდეების განხილვა და შემდგომი წარდგენა ადმინისტრაციის წინაშე. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს კოლეგიური მართვის პრინციპის რეალიზებას და ხელს უწყობს თანამშრომელთა ჩართულობას სკოლის განვითარებაში.

ამასთან, **მიზანშეწონილია** ინიციატივების მხარდაჭერის პროცესის უფრო მეტად სისტემატიზება, რათა შესაძლებელი იყოს განხორციელებული აქტივობების აღრიცხვა და მათი გავლენის შეფასება სკოლის განვითარების პროცესზე.

სასურველია სკოლამ აწარმოოს პერსონალის მიერ ინიცირებული და განხორციელებული პროექტებისა და აქტივობების აღრიცხვა, რაც გაამარტივებს მათი ეფექტიანობის შეფასებას და გამოიყენება თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების პროცესში.

ასევე მიზანშეწონილია, ბიუჯეტის დაგეგმვისას შესაძლებლობის ფარგლებში განისაზღვროს რესურსი ინოვაციური საგანმანათლებლო ინიციატივების მხარდასაჭერად, რაც კიდევ უფრო წაახალისებს პერსონალის პროფესიულ აქტივობას და ახალი მიდგომების დანერგვას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- ტრენინგის გავლის დამადასტურებელი ცნობები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომას, რომელიც მოიცავს დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების ეტაპებს.

სკოლაში მოქმედებს **ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი**, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და განსაზღვრავს სწავლა-სწავლების, სასწავლო გარემოსა და საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის მართვის წესს. დოკუმენტის მიხედვით, ხარისხის უზრუნველყოფა გულისხმობს დაგეგმილ, თანმიმდევრულ და შეფასებაზე დაფუძნებულ საქმიანობას, რომლის მიზანია საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანობის გაზრდა და მისი მუდმივი გაუმჯობესება.

დადგენილია, რომ სკოლაში დანერგილია ხარისხის მართვის ციკლური მიდგომა (დაგეგმე – განახორციელე – შეამოწმე – განავითარე), რომელიც გამოიყენება როგორც სასწავლო პროცესის დაგეგმვის, ისე მისი შეფასებისა და გაუმჯობესების ეტაპებზე. სასწავლო წლის დაგეგმვის პროცესში კათედრები და ადმინისტრაცია ერთობლივად განსაზღვრავენ სასწავლო პროგრამებს, რესურსებსა და საჭიროებებს,

ხოლო განხორციელების ეტაპზე მიმდინარეობს სასწავლო პროცესის მონიტორინგი, გაკვეთილებზე დაკვირვება, შედეგების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება.

დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ შეფასების შედეგები გამოიყენება შემდგომი განვითარებისთვის. გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით სკოლა ახორციელებს მასწავლებელთა პროფესიულ მხარდაჭერას, სასწავლო პროგრამების კორექტირებას, დამატებითი რესურსების მოძიებას და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას. აღნიშნული მიუთითებს, რომ ხარისხის მართვა არ შემოიფარგლება კონტროლით და მიმართულია განვითარებისკენ.

დადგენილია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში გამოიყენება სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაცია, მათ შორის სასწავლო პროცესის მონიტორინგის შედეგები, თანამშრომელთა მოსაზრებები, კათედრების ანგარიშები და ადმინისტრაციის მიერ ჩატარებული დაკვირვებები, რაც უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების მიღებას მონაცემებზე დაყრდნობით.

ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის საკითხები განიხილება პედაგოგიურ საბჭოზე და სამუშაო შეხვედრებზე, თუმცა მიზანშეწონილია მონაცემთა ანალიზის უფრო სისტემურად წარმოდგენა, რათა პროგრესი და საჭიროებები უფრო თვალსაჩინო გახდეს ყველა მონაწილისთვის.

<u>სასურველია</u> ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მიღებული რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების (მოსწავლეთა შედეგები, დაკვირვების შედეგები, გამოკითხვები და სხვა) სისტემატიზება და მათი პერიოდული განხილვა პედაგოგიურ საბჭოზე, რაც ხელს შეუწყობს გადაწყვეტილებების მიღების პროცესის უფრო მეტად მონაცემებზე დაფუძნებას.

<u>ასევე მიზანშეწონილია</u> სკოლამ გააძლიეროს ინდივიდუალური და კოლეგიური თვითშეფასების პრაქტიკა, რათა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი გახდეს არა მხოლოდ ადმინისტრაციული, არამედ თითოეული თანამშრომლის ყოველდღიური პროფესიული საქმიანობის ნაწილი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში დანერგილია პროცესული მართვის მიდგომა და იდენტიფიცირებულია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული **მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**, რომლებიც აღწერილია შესაბამის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებში.

ძირითადი პროცესები- სკოლის ძირითადი ფუნქცია — სწავლა-სწავლების ორგანიზება და განხორციელება — რეგულირდება ხარისხის უზრუნველყოფისა და სასწავლო პროცესის მართვის დოკუმენტებით. „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის“ მიხედვით, სკოლაში სასწავლო პროცესის მართვა მოიცავს დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და გაუმჯობესების ეტაპებს, რაც ეფუძნება ციკლს *დაგეგმე – განახორციელე – შეამოწმე – განავითარე* და მიმართულია სასწავლო პროგრამების, სწავლების მეთოდებისა და რესურსების მუდმივ გაუმჯობესებაზე.

ამავე დოკუმენტით განსაზღვრულია სასწავლო პროგრამების მონიტორინგი, შედეგების ანალიზი, კათედრებისა და ადმინისტრაციის ანგარიშგება და მიღებული ინფორმაციის გამოყენება სასწავლო პროცესის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, რაც ადასტურებს, რომ ძირითადი პროცესი აღწერილია და ფუნქციონირებს სისტემურად.

მმართველობითი პროცესები-სკოლის სტრატეგიული და ოპერატიული მართვა რეგულირდება სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების დოკუმენტებით. შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა (2023-2030 წლები) განსაზღვრავს სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს, სტრატეგიულ მიზნებსა და განვითარების მიმართულებებს, ასევე მიუთითებს, რომ გეგმის შემუშავება და განხორციელება ხორციელდება სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის ჩართულობით და ეფუძნება გარემოს ანალიზს (SWOT), რესურსების შეფასებასა და შედეგებზე ორიენტირებულ დაგეგმვას.

სტრატეგიული დოკუმენტით განსაზღვრულია განვითარების ძირითადი მიმართულებები, მათ შორის:

- სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;
- ადამიანური რესურსის განვითარება;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
- უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა;
- სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა;
- ორგანიზაციული განვითარება.

აღნიშნული გარემოებები ადასტურებს, რომ მმართველობითი პროცესები იდენტიფიცირებულია, აღწერილია და უკავშირდება სკოლის საქმიანობის ყველა ძირითად მიმართულებას.

დამხმარე პროცესები- სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის მხარდამჭერი პროცესები რეგულირდება სხვადასხვა შიდა დოკუმენტით და მოიცავს:

- ადამიანური რესურსების მართვას;

- უსაფრთხოების უზრუნველყოფას;
- მატერიალური და ფინანსური რესურსების მართვას;
- საქმისწარმოებასა და შიდა კომუნიკაციას;
- ხარისხის შიდა მონიტორინგს.

„ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი“ განსაზღვრავს, რომ სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება დაკავშირებულია ადამიანური რესურსის პროფესიულ განვითარებასთან, მატერიალური რესურსების გაუმჯობესებასთან და ადმინისტრაციული საქმიანობის ეფექტიანობასთან, რაც მიუთითებს ძირითადი და დამხმარე პროცესების ურთიერთკავშირზე.

სტრატეგიული და სამოქმედო დაგეგმვის დოკუმენტებში ასევე იკვეთება, რომ ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რესურსების შეძენა და პერსონალის განვითარება განიხილება როგორც სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლების წინაპირობა, რაც ადასტურებს პროცესებს შორის ფუნქციურ კავშირს.
წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში ძირითადი, მმართველობითი და დამხმარე პროცესები ერთმანეთთან კოორდინირებულია და მიმართულია საერთო მიზნის — მოსწავლის შედეგების გაუმჯობესებისა და სკოლის განვითარების — მიღწევისაკენ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს თანამშრომლების, მოსწავლეების, მშობლებისა და სხვა დაინტერესებული პირების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრებისა და საჩივრების განხილვის სისტემა, რომელიც რეგულირდება შიდა სამართლებრივი აქტებით და უზრუნველყოფს პროცედურების გამჭვირვალობას, მიუკერძოებლობასა და ხელმისაწვდომობას.
სკოლაში მოქმედებს „გასაჩივრების დეტალური პროცედურები“, დამტკიცებული დირექტორის 2025 წლის 15 დეკემბრის №2-110 ბრძანებით, რომელიც განსაზღვრავს საჩივრების წარდგენის, განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესს და ეფუძნება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს.
დოკუმენტის მიხედვით, თითოეულ მოსწავლეს, მშობელს, მასწავლებელსა და სხვა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს გაასაჩივროს სკოლის ადმინისტრაციული აქტი ან სხვა ქმედება, რომელიც გავლენას ახდენს მის კანონიერ ინტერესზე.
საჩივრების პროცედურები საჯაროა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის; ინფორმაცია მათ შესახებ განთავსებულია სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას და ვებ-გვერდზე.

დოკუმენტი ასევე განსაზღვრავს, რომ ფორმალური საჩივრის წარდგენამდე შესაძლებელია საკითხის არაფორმალური გზით მოგვარება, ხოლო ფორმალური საჩივარი უნდა წარდგეს წერილობით და განხილულ იქნეს განსაზღვრულ ვადებში.

საჩივრის მიღებიდან განსაზღვრულია რეაგირების, განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების კონკრეტული ვადები, ხოლო გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და მხარეებს წერილობით ეცნობოთ.
წარმოდგენილი წესის მიხედვით, საჩივრებს განიხილავს სკოლის დირექტორი, სამეურვეო საბჭო ან სააპელაციო კომიტეტი, ხოლო ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში შესაბამისი პირი ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება, რაც უზრუნველყოფს პროცესის მიუკერძოებლობას.
შინაგანაწესით განსაზღვრულია განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, დისციპლინური წარმოების საფუძვლები და უფლებამოსილი ორგანოები, რაც ადასტურებს, რომ საჩივრების განხილვა ხორციელდება დადგენილი პროცედურით.

დოკუმენტაციის მიხედვით, სკოლაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტი, რომელიც მონაწილეობს დისციპლინური საკითხების განხილვაში და დაკომპლექტებულია სხვადასხვა წარმომადგენლით, რაც უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების კოლეგიალურობას და ინტერესთა ბალანსს.
დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმით დასტურდება კომიტეტის ფუნქციონირება და მისი წევრების განსაზღვრა.
წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში არსებობს საჩივრების მიღების, განხილვისა და გასაჩივრების მრავალსაფეხურიანი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს

- უფლებების დაცვას,
- პროცესის გამჭვირვალობას,
- გადაწყვეტილებების გასაჩივრების შესაძლებლობას,
- სამართლიან და მიუკერძოებელ განხილვას.

<u>**სკოლას მიეცა რჩევა:**</u> უზრუნველყოს საჩივრების განხილვის პრაქტიკის პერიოდული ანალიზი და მიღებული შედეგების გამოყენება სკოლის მართვის პროცესის გაუმჯობესების მიზნით, ასევე უზრუნველყოს საჩივრების პროცედურების შესახებ ინფორმაციის რეგულარული გაცნობა სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს სამართლებრივი დაცვის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს პერსონალის, მოსწავლეების, მშობლებისა და სხვა

დაინტერესებული პირების უფლებებისა და ინტერესების დაცვას და რეგულირდება შიდა სამართლებრივი აქტებითა და ინდივიდუალური ხელშეკრულებებით.

სკოლაში დასაქმებულთა უფლებები და ვალდებულებები განსაზღვრულია ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებებით, რომლებიც შეესაბამება საქართველოს შრომის კანონმდებლობას.

ექსპერტმა შეისწავლა პედაგოგთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება №5-12 და ექთანთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება №5-37, რომელთა მიხედვით დასაქმებულს გარანტირებული აქვს:

- შრომის სამართლიანი ანაზღაურება;
- უსაფრთხო და ჯანმრთელობისათვის დაცული სამუშაო გარემო;
- დასვენებისა და შვებულების უფლება;
- შრომითი დავების გადაწყვეტის შესაძლებლობა ურთიერთშეთანხმებით ან სასამართლო წესით;
- შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის პირობების წინასწარი განსაზღვრა.

ხელშეკრულებებში ასევე მითითებულია, რომ დასაქმებულის უფლებები დაცულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ანალოგიური პირობებია განსაზღვრული სამედიცინო პერსონალთან გაფორმებულ ხელშეკრულებაშიც, რაც მიუთითებს, რომ შრომითი ურთიერთობები რეგულირდება ერთიანი სამართლებრივი პრინციპებით.

სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს შრომითი ურთიერთობის მარეგულირებელ ძირითად დოკუმენტს და სავალდებულოა ყველა თანამშრომლისთვის.

შინაგანაწესით განსაზღვრულია თანამშრომელთა უფლებები, ვალდებულებები და პასუხისმგებლობა, ასევე დადგენილია, რომ დაუშვებელია დისკრიმინაცია, შევიწროება ან უარყოფითი მოპყრობა იმ პირის მიმართ, რომელმაც საჩივრით მიმართა შესაბამის ორგანოს.

აღნიშნული რეგულაციები უზრუნველყოფს დასაქმებულთა სამართლებრივ დაცვას და სამართლიანი სამუშაო გარემოს არსებობას.

მოსწავლეთა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების უფლებები განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესით, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტებითა და ხელშეკრულებებით.

დოკუმენტებით დადგენილია, რომ სკოლა ვალდებულია უზრუნველყოს:

- მოსწავლისთვის უსაფრთხო და განვითარებაზე ორიენტირებული გარემო;
- მშობლის ინფორმირებულობა სასწავლო პროცესის შესახებ;
- მშობლის მონაწილეობა სკოლის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებში შესაბამისი წარმომადგენლობითი ორგანოების მეშვეობით.

მშობლებისა და მოსწავლეების ჩართულობა უზრუნველყოფილია სკოლის კოლეგიური ორგანოების საქმიანობაში მონაწილეობით, რაც ხელს უწყობს გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გამჭვირვალობას. სკოლაში მოქმედებს გასაჩივრების პროცედურები, რომლებიც დამტკიცებულია დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და განსაზღვრავს საჩივრის წარდგენის, განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესს. დოკუმენტის მიხედვით, პერსონალს, მოსწავლესა და მშობელს უფლება აქვს გაასაჩივროს სკოლის ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც, მათი აზრით, არღვევს მათ კანონიერ ინტერესებს.

საჩივრების განხილვა ხორციელდება დადგენილი ვადების დაცვით და შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ, რაც უზრუნველყოფს პროცესის სამართლიანობასა და მიუკერძოებლობას. წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში მოქმედებს სამართლებრივი დაცვის მრავალსაფეხურიანი სისტემა, რომელიც მოიცავს

- შრომითი ურთიერთობის რეგულირებას ხელშეკრულებებით;
- შინაგანაწესით განსაზღვრულ უფლებებსა და ვალდებულებებს;
- საჩივრებისა და გასაჩივრების პროცედურებს;
- კოლეგიური ორგანოების მონაწილეობას გადაწყვეტილებების განხილვაში.

აღნიშნული მექანიზმები უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრთა უფლებებისა და ინტერესების დაცვას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- შინაგანაწესი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- გასაჩივრების დეტალური პროცედურები;
- სკოლასა და მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან დადებული ხელშეკრულებები.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში დანერგილია მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების მექანიზმები, რომლებიც რეგულირდება შიდა სამართლებრივი აქტებით და უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების ჩართულობას სკოლის საქმიანობის დაგეგმვასა და შეფასებაში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით დგინდება, რომ სკოლაში ინფორმირების და კომუნიკაციის პროცესი რეგულირდება „საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესით“, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 15 დეკემბრის №2-110 ბრძანებით და განსაზღვრავს საზოგადოებასთან ურთიერთობის პრინციპებს, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის წესს, დაინტერესებული პირების ჩართულობის ფორმებსა და საინფორმაციო შეხვედრების ჩატარების მექანიზმებს. დოკუმენტის მიხედვით, სკოლა ვალდებულია უზრუნველყოს საზოგადოების ინფორმირება სკოლის საქმიანობის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების, მიღებული გადაწყვეტილებებისა და მიმდინარე პროცესების შესახებ, ასევე შექმნას პირობები, რათა სასკოლო საზოგადოების წევრებმა შეძლონ საკუთარი მოსაზრებების, შენიშვნებისა და წინადადებების წარმოდგენა.

დოკუმენტაციით დასტურდება, რომ ინფორმაციის გავრცელებისა და უკუკავშირის ორგანიზების მიზნით სკოლაში განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები. დირექტორის შესაბამისი ბრძანებით საზოგადოებასთან ურთიერთობის წარმართვაზე პასუხისმგებელ პირად დანიშნულია თანამშრომელი, რომელსაც ევალება ინფორმაციის გავრცელება, შეხვედრების ორგანიზება და სასკოლო საზოგადოებისგან მიღებული წინადადებების ადმინისტრაციამდე მიწოდება, ხოლო ცალკე ბრძანებით განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის სისტემურ გავრცელებას და დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობას.

სკოლის მართვის პროცესებში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის ერთ-ერთი მექანიზმია მრჩეველთა საბჭოს ფუნქციონირება, რომელიც შექმნილია დირექტორის ბრძანებით და აერთიანებს ადმინისტრაციის, პედაგოგების, მშობლებისა და სხვა წარმომადგენლებს. საბჭოს მეშვეობით ხდება რეკომენდაციების შემუშავება, მოსაზრებების გაზიარება და სკოლის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე უკუკავშირის მიწოდება, რაც უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების მიღების პროცესის კოლეგიურობას და საზოგადოების მონაწილეობას.

წარმოდგენილი დოკუმენტებისა და პრაქტიკის მიხედვით, სკოლა ინფორმირებისათვის იყენებს სხვადასხვა არხს — ოფიციალურ ვებ-გვერდს, სოციალურ ქსელს, საინფორმაციო დაფებს, მშობელთა კრებებსა და სამუშაო შეხვედრებს. აღნიშნული არხების მეშვეობით

სასკოლო საზოგადოებას მიეწოდება ინფორმაცია მიმდინარე პროცესების შესახებ, ხოლო შეხვედრებისა და კოლეგიური განხილვების დროს უზრუნველყოფილია უკუკავშირის მიღება და საჭიროების შემთხვევაში გადაწყვეტილებების კორექტირება.

დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი მექანიზმები უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას, მათი მოსაზრებების მიღებას და მიღებულ უკუკავშირზე რეაგირებას, რაც ხელს უწყობს მართვის პროცესის გამჭვირვალობას და ეფექტიანობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში დანერგილია მართვის დემოკრატიული პრინციპები, რაც გამოიხატება გადაწყვეტილების მიღების პროცესში მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლებისა და სხვა დაინტერესებული პირების ჩართულობით. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პრაქტიკის ანალიზით დგინდება, რომ სკოლაში ფუნქციონირებს კოლეგიური მართვის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების მონაწილეობას როგორც სტრატეგიული, ისე მიმდინარე საკითხების განხილვაში და შეესაბამება წარმომადგენლობითობის პრინციპს. სკოლის სტრუქტურული მოწყობა და შესაბამისი სამართლებრივი აქტები ადასტურებს, რომ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართულია სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლები. სამეურვეო საბჭო წარმოადგენს სკოლის უმაღლეს კოლეგიურ ორგანოს, რომლის შემადგენლობაშიც შედიან მასწავლებლებისა და მშობლების წარმომადგენლები, რაც უზრუნველყოფს ინტერესთა ბალანსს სკოლის მართვის პროცესში.

დისციპლინური საკითხების განხილვა ხორციელდება დისციპლინური კომიტეტის მიერ, რომლის შემადგენლობა დაკომპლექტებულია პედაგოგების, მშობლებისა და მოსწავლეთა წარმომადგენლებისგან, რაც უზრუნველყოფს საკითხების მრავალმხრივ განხილვას და გადაწყვეტილებების მიუკერძოებლობას. კომიტეტის ფუნქციონირება დასტურდება შესაბამისი ოქმით, სადაც განსაზღვრულია მისი წევრები და უფლებამოსილება.

სასკოლო საზოგადოების ჩართულობის დამატებით მექანიზმს წარმოადგენს მრჩეველთა საბჭო, რომელიც შექმნილია დირექტორის ბრძანებით და აერთიანებს ადმინისტრაციის, პედაგოგების, მშობლებისა და სხვა თანამშრომლების წარმომადგენლებს. აღნიშნული საბჭო უზრუნველყოფს რეკომენდაციების შემუშავებას, ინიციატივების განხილვას და მათი ადმინისტრაციამდე მიწოდებას, რაც ხელს უწყობს კოლეგიური მართვის პრინციპის რეალიზებას.

დოკუმენტაციის მიხედვით, სასკოლო საზოგადოების მონაწილეობა უზრუნველყოფილია ასევე დაგეგმვის პროცესში. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებისას ჩართული იყო სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლები, რაც

ადასტურებს, რომ სკოლის განვითარების დოკუმენტები მზადდება კოლეგიური განხილვის საფუძველზე და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების მოსაზრებებს.

სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ მონაწილეობას სასკოლო ცხოვრებაში მოსწავლეთა თვითმმართველობისა და კლუბური საქმიანობის მეშვეობით. მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა აირჩიონ და იყვნენ არჩეულნი თვითმმართველობის ორგანოებში, მონაწილეობა მიიღონ სასკოლო ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში, ასევე დააინიციირონ სხვადასხვა აქტივობა, რაც ხელს უწყობს მათი პასუხისმგებლობისა და სამოქალაქო უნარების განვითარებას.

საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესის მიხედვით, სკოლა ვალდებულია უზრუნველყოს დაინტერესებული მხარეების ინფორმირება, მათი ინიციატივების განხილვა და უკუკავშირის მიღება, რაც ქმნის საფუძველს თანამშრომლობით ურთიერთობას შორის სკოლასა და საზოგადოებას შორის და აძლიერებს კოლეგიური მართვის პრაქტიკას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი;
- ბრძანება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
- ბრძანება საზოგადოებასთან ურთიერთობის ნაწილში პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
- დისციპლინური კომიტეტის ოქმი;
- ბრძანება მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა რეგულირდება შინაგანაწესით (დამტკიცებულია 2025 წელს) და შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. სკოლაში წესრიგს ზედამხედველობენ მანდატურები და განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი უფლებამოსილი პირები (მორიგე მასწავლებლები).

ფიზიკური უსაფრთხოების კომპონენტების შეფასებისას გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

1. **საგანგებო სიტუაციების მართვა:** ამ ეტაპზე სკოლას არ გააჩნია უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. სკოლის მიერ წარმოდგენილი „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის“ (ინდიკატორი 3.4.1.1) მიხედვით, აღნიშნული დოკუმენტის შემუშავება და შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმება დაგეგმილია **2025 წლის 25 დეკემბრიდან 2026 წლის 25 დეკემბრამდე** პერიოდში.
2. **ტექნიკური აღჭურვილობა:** სკოლის შენობა აღჭურვილია უსაფრთხოების ძირითადი სისტემებით. სკოლის ტერიტორიაზე დამონტაჟებულია ვიდეომეთვალყურეობის (ვიდეოთვალთვალის) სისტემა, რაც უზრუნველყოფს პერიმეტრის მუდმივ კონტროლს. უსაფრთხოების დაცვა დამატებით ხორციელდება სახელმწიფო მანდატურის სამსახურის მიერ.
3. **სახანძრო უსაფრთხოების მდგომარეობა:** სკოლის შენობაში გამოკრულია საევაკუაციო გეგმა და განთავსებულია პირველადი ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი (ცეცხლმაქრები ვადაგასულია, დამუხტვის ვადა 2024 წლამდე აქვს განსაზღვრული). **<u>სკოლას არ აქვს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.</u>**
4. **შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოება:** ამ მომენტისთვის სკოლას არ გააჩნია უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობის ტექნიკური მდგომარეობის (ექსპლუატაციის უსაფრთხოების) შესახებ. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით

დასტურდება, რომ დაგეგმილია ხელშეკრულების გაფორმება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან. „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის“ მიხედვით, აღნიშნული დასკვნის მოპოვება დასრულდება **2026 წლის 23 დეკემბრამდე**. ასევე, სკოლამ 2026 წლის 15 იანვარს (MES 1 26 0000025470) მიმართა რეგიონული განვითარების სამინისტროს ინფრასტრუქტურის შესწავლის მიზნით.

5. **შრომის უსაფრთხოება:** სამუშაო გარემოში რისკების სისტემური მართვის უზრუნველსაყოფად, სკოლაში მატერიალურად პასუხისმგებელ პირებად განსაზღვრული არიან შესაბამისი თანამშრომლები (ბრძანება N 2-12). თუმცა, მიზანშეწონილია შრომის უსაფრთხოების ნაწილში სტანდარტების შემდგომი დახვეწა და რისკების მუდმივი იდენტიფიცირება.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლას შექმნილი აქვს უსაფრთხოების მართვის საბაზისო სისტემა და წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა გამოვლენილი კრიტიკული ხარვეზების ეტაპობრივი აღმოსაფხვრელად. არსებული მდგომარეობა მიუთითებს, რომ სკოლა აცნობიერებს პასუხისმგებლობას და გეგმავს აქტივობებს სტანდარტთან სრული შესაბამისობის მისაღწევად.

რეკომენდაციები: ვინაიდან სკოლას უკვე გაწერილი აქვს ხარვეზების აღმოფხვრის გრაფიკი, რეკომენდირებულია: უზრუნველყოფილ იქნეს „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით“ გათვალისწინებული აქტივობების (საგანგებო გეგმის შეთანხმება და შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნის მოპოვება) დასრულება დადგენილ ვადაში — **2026 წლის 25 დეკემბრამდე.**

ასევე სკოლის დირექციამ განახორციელოს გეგმის შესრულების შუალედური კონტროლი, რათა თავიდან იქნეს აცილებული რეაგირების დაგვიანების რისკი (რომელიც სკოლის მიერ შეფასებულია 15-20%-ად).

თუმცა, სკოლის მიერ დასკვნის პროექტის პასუხად ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტი (№ MES 2 26 0000563906, თარიღი: 13/05/2026) ექსპერტთა ჯგუფის მიერ **არ იქნა მიჩნეული რელევანტურად** შემდეგ გარემოებათა გამო:

ოფიციალური კორესპონდენცია მიმართულია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსადმი, რომელიც არ წარმოადგენს „მოქალაქეთა უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონითა და მოქმედი ტექნიკური რეგლამენტებით განსაზღვრულ სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობაზე უფლებამოსილ ორგანოს (სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური).

წარმოდგენილი წერილი ატარებს მატერიალურ-ტექნიკური დახმარების თხოვნის ხასიათს (აღჭურვაში ხელშეწყობა) და მასში არ ფიქსირდება მოთხოვნა უფლებამოსილი უწყების მიერ შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების წესებთან და პირობებთან შესაბამისობის შეფასების/დასკვნის მომზადების თაობაზე. **ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

დოკუმენტაციის შესწავლისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები ჩამოყალიბებულია და ფუნქციონირებს სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში.

სკოლაში დასაქმებულია შესაბამისი კვალიფიკაციის სამედიცინო პერსონალი — ექთანი, რომლის პირადი საქმისა და შრომითი ხელშეკრულების (№5-37, 15.09.2025) ანალიზით დასტურდება, რომ იგი აკმაყოფილებს სკოლის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციით იკვეთება, რომ ექთანს გააჩნია შესაბამისი განათლება და პროფესიული გამოცდილება, ასევე წარმოდგენილია კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი დოკუმენტაცია, რაც ადასტურებს მისი საქმიანობის შესაბამისობას მოქმედ მოთხოვნებთან.

მატერიალურ-ტექნიკური თვალსაზრისით, სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია პირველადი დახმარების აღმოსაჩენად საჭირო ინვენტარითა და საშუალებებით. ინფრასტრუქტურის დათვალიერებითა და მატერიალური აქტივების დოკუმენტაციის ანალიზით დგინდება, რომ სამედიცინო პუნქტი ორგანიზებულია და უზრუნველყოფს მოსწავლეთა და პერსონალის ჯანმრთელობის უსაფრთხოებას.

სამედიცინო პერსონალის ფუნქციები განსაზღვრულია შესაბამის შიდა დოკუმენტში — სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღწერაში, რომლის მიხედვით ექთანი პასუხისმგებელია პირველადი დახმარების გაწევაზე, მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგზე და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი რეაგირების უზრუნველყოფაზე. აღნიშნული მოიცავს ასევე მოსწავლეთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირებას და შესაბამისი უწყებების ინფორმირებას, რაც მიუთითებს პრევენციულ და რეაგირების კომპონენტების არსებობაზე.

დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს სამედიცინო კაბინეტის საჭირო მედიკამენტებითა და სახარჯი მასალებით პერიოდულ შევსებას, რაც უზრუნველყოფს პირველადი დახმარების უწყვეტ მზადყოფნას.

ზემოაღნიშნული გარემოებების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში დანერგილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, რომლებიც მოიცავს როგორც კვალიფიციურ ადამიანურ რესურსს, ისე შესაბამის ინფრასტრუქტურულ და ფუნქციურ უზრუნველყოფას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმები ჩამოყალიბებულია და ძირითადად შეესაბამება მოქმედ საკანონმდებლო მოთხოვნებს.

სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა რეგულირდება შინაგანაწესით და ეფუძნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. დოკუმენტით დეტალურად არის განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომების სახეები, რეაგირების ფორმები და პასუხისმგებელი პირები, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და სამართლიანობას.

წესრიგის დაცვის პრაქტიკული მექანიზმები მოიცავს მასწავლებელთა მორიგეობის სისტემას, რომლის ფარგლებში პედაგოგები გადანაწილებული არიან სკოლის სივრცეში (სართულები, ეზო), რაც უზრუნველყოფს მუდმივ ზედამხედველობას და პრევენციული კონტროლის განხორციელებას. აღნიშნულ პროცესში აქტიურად არიან ჩართულნი კლასის დამრიგებლები, რომლებიც მოსწავლეებთან ერთად მუშაობენ ქცევის წესების ჩამოყალიბებაზე, რაც ხელს უწყობს პასუხისმგებლობისა და თვითრეგულაციის უნარების განვითარებას.

დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც წარმოადგენს უსაფრთხოებისა და წესრიგის საკითხების განხილვის მნიშვნელოვან პლატფორმას. საბჭოს სხდომებზე განიხილება მოსწავლეთა ქცევასთან დაკავშირებული საკითხები, პრევენციული ღონისძიებები და უსაფრთხოების ნორმები, ხოლო მიღებული რეკომენდაციები მიეწოდება როგორც ადმინისტრაციას, ისე დამრიგებლებსა და მშობლებს, რაც უზრუნველყოფს საკითხების კოლეგიურ განხილვას და რეაგირებას.

სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობა კრიზისულ სიტუაციებში რეაგირების გზების შესახებ — შენობაში განთავსებულია შესაბამისი ცხელი ხაზის ნომრები და საჭირო სერვისების საკონტაქტო ინფორმაცია, რაც ხელს უწყობს ოპერატიულ რეაგირებას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმები მოიცავს როგორც სამართლებრივ, ისე პრევენციულ და კოლეგიურ კომპონენტებს და უზრუნველყოფს უსაფრთხო და ორგანიზებულ სასწავლო გარემოს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმები ჩამოყალიბებულია და ფუნქციონირებს სასკოლო საზოგადოების კეთილდღეობისა და ჯანსაღი სოციალური კლიმატის შენარჩუნების მიმართულებით.

სკოლაში ფსიქო-ემოციური უსაფრთხოების უზრუნველყოფა ეფუძნება მოქმედ შინაგანაწესს, რომელიც კრძალავს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციას, ბულინგს, სექსუალურ შევიწროებასა და ძალადობას და შეესაბამება საქართველოს კანონის „ზოგადი განათლების შესახებ“ მოთხოვნებს, აგრეთვე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესს“. აღნიშნული რეგულაციები ქმნის სამართლებრივ საფუძველს როგორც მოსწავლეების, ისე პერსონალის ღირსებისა და უსაფრთხოების დასაცავად.

დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ სკოლაში ხორციელდება პრევენციული და საგანმანათლებლო აქტივობები, რომლებიც მიზნად ისახავს მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებას და რისკების შემცირებას. მანდატურებისა და დამრიგებლების ჩართულობით ტარდება შეხვედრები მოსწავლეებთან და მშობლებთან სხვადასხვა აქტუალურ თემაზე (კიბერბულინგი, ძალადობის პრევენცია, ჯანსაღი ცხოვრების წესი), რაც შეესაბამება სკოლის მიერ დამტკიცებულ შიდა რეგულაციებს და ემსახურება უსაფრთხო გარემოს შექმნას.

სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო (დირექტორის ბრძანება №2-108), რომელიც წარმოადგენს ფსიქოლოგიური და ქცევითი საკითხების განხილვის ერთ-ერთ პლატფორმას. საბჭოში სხვადასხვა მხარის წარმომადგენლების მონაწილეობა უზრუნველყოფს საკითხების მრავალმხრივ შეფასებას და რეკომენდაციების შემუშავებას. ასევე, საშტატო ნუსხის (№4207-25-09-14779) მიხედვით, სკოლაში გათვალისწინებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ასისტენტის პოზიცია, რაც შეესაბამება ინკლუზიური განათლების პრინციპებს და ხელს უწყობს ემოციურად მხარდამჭერი გარემოს შექმნას.

სკოლის მიერ დანერგილი „გასაჩივრების დეტალური პროცედურები“ (დამტკიცებული დირექტორის 2025 წლის 15 დეკემბრის №2-110 ბრძანებით) უზრუნველყოფს, რომ ფსიქოლოგიური ან ემოციური ზეწოლის ნებისმიერი ფაქტი გახდეს განხილვის საგანი შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით, რაც ზრდის სასკოლო საზოგადოების დაცულობის განცდას.ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი მექანიზმები უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს.

სკოლას მიეცა რჩევა: ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის (მუხლი 16) შესაბამისად, პერიოდულად განახორციელოს სასკოლო კლიმატის შეფასება ანონიმური გამოკითხვების მეშვეობით და გააძლიეროს ფსიქოლოგიური მომსახურების ხელმისაწვდომობა.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმები ჩამოყალიბებულია და ფუნქციონირებს მოქმედი კანონმდებლობისა და დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფა ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესს“, აგრეთვე მოქმედ შიდა მარეგულირებელ აქტებს, რომლებიც არეგულირებს ჰიგიენური ნორმების დაცვასა და პასუხისმგებელი პირების ფუნქციებს.

საშტატო ნუსხის (№4207-25-09-14779) მიხედვით, სკოლაში დასაქმებულია დამხმარე პერსონალი, მათ შორის 2 დამლაგებელი, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან შენობისა და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავებაზე. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე ზედამხედველობას ახორციელებს სკოლის ექთანი, რომლის ფუნქციები განსაზღვრულია დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ „სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღწერაში“ (ბრძანება №2-110) და მოიცავს ჰიგიენური მდგომარეობის მონიტორინგს.

ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით, სკოლა უზრუნველყოფილია წყლის უწყვეტი მიწოდებით, მათ შორის ტექნიკური წყლის რეზერვუარის მეშვეობით, რაც აუცილებელია სველი წერტილებისა და სამედიცინო კაბინეტის ფუნქციონირებისთვის. სველი წერტილები აღჭურვილია ჰიგიენური საშუალებებით და რეგულარულად მიმდინარეობს მათი დასუფთავება და დეზინფექცია, რაც შეესაბამება სანიტარულ მოთხოვნებს.

დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, სკოლაში დანერგილია დასუფთავების სისტემური რეჟიმი: საკლასო ოთახებისა და საერთო სარგებლობის სივრცეების სველი წესით დალაგება ხორციელდება ყოველდღიურად, ხოლო სივრცეების განიავება — რეგულარულად. სკოლა უზრუნველყოფს ჰიგიენური საშუალებების (თხევადი საპონი, ხელსახოცები, ტუალეტის ქაღალდი) მუდმივ ხელმისაწვდომობას, ასევე დერეფნებსა და ადმინისტრაციულ სივრცეებში განთავსებულია სადეზინფექციო საშუალებები.

ნარჩენების მართვა ორგანიზებულია ჰიგიენური ნორმების დაცვით — სკოლაში გამოყენებულია დახურული ტიპის ნაგვის ურნები, რაც ამცირებს გარემოს დაბინძურებისა და ინფექციის გავრცელების რისკებს.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა, რაც ქმნის უსაფრთხო და ჯანმრთელობისთვის შესაბამის გარემოს სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები სისტემურად არის მოწესრიგებული და ძირითადად შეესაბამება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს.

სკოლაში პერსონალურ მონაცემთა დამუშავება რეგულირდება შიდა სამართლებრივი აქტით — პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესითა და მონიტორინგის მექანიზმით, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 15 დეკემბრის №2-110 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და დაცვის წესებს და უზრუნველყოფს მონაცემთა სუბიექტების უფლებების დაცვას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დოკუმენტაციის ანალიზით დგინდება, რომ სკოლაში განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირები და მათი ფუნქციები. „დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ (ბრძანება №2-110) შესაბამისად, პერსონალს, მათ შორის ექთანს, საქმისმწარმოებელსა და ბუღალტერს, ევალებათ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონმდებლობის ცოდნა და მისი დაცვა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. ამასთან, შიდა რეგულაციები ითვალისწინებს მონაცემთა დამუშავების პროცესის პერიოდულ მონიტორინგს, რაც ხელს უწყობს შესაძლო დარღვევების პრევენციას.

ტექნიკური და ორგანიზაციული თვალსაზრისით, სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტაციის უსაფრთხო შენახვას. პერსონალური საქმეები და შრომითი ხელშეკრულებები ინახება დაცულ სივრცეში, ხოლო ელექტრონულ სისტემებზე (მათ შორის eschool.emis.ge და eflow.emis.ge) წვდომა აქვთ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს, რაც შეესაბამება მონაცემთა დაცვის პრინციპებს. ვიდეომეთვალყურეობის სისტემა ფუნქციონირებს შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსებით, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა დამუშავების გამჭვირვალობას და კანონიერებას.

დოკუმენტაციითა და ინტერვიუებით ასევე დასტურდება, რომ პერსონალი ინფორმირებულია კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულების შესახებ. შრომითი ხელშეკრულებებისა და შინაგანაწესის მიხედვით, დასაქმებულებს ეკისრებათ ვალდებულება, არ გაავრცელონ მათთვის ცნობილი პერსონალური ინფორმაცია, რაც წარმოადგენს მონაცემთა დაცვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარანტიას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლაში ფუნქციონირებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სისტემა, რომელიც მოიცავს როგორც სამართლებრივ, ისე ორგანიზაციულ და ტექნიკურ კომპონენტებს და უზრუნველყოფს მონაცემთა უსაფრთხო დამუშავებას.

<u>სკოლას მიეცა რჩევა:</u> პერიოდულად განახორციელოს პერსონალის გადამზადება პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე და შიდა რეგულაციებში უფრო მკაფიოდ განსაზღვროს მონაცემთა შენახვისა და განადგურების ვადები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში ინფორმაციის დაცვის მექანიზმები სისტემურად არის მოწესრიგებული და უზრუნველყოფს როგორც საჯაროობის, ისე კონფიდენციალურობის პრინციპების დაცვას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სკოლაში ინფორმაციის დაცვა ეფუძნება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს და შიდა სამართლებრივ აქტს — „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესსა და მონიტორინგის მექანიზმს“, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 15 დეკემბრის №2-110 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და დაცვის პროცედურებს და უზრუნველყოფს მონაცემთა სუბიექტების უფლებების დაცვას.

დოკუმენტაციის ანალიზით დგინდება, რომ სკოლა მიჯნავს საჯარო და კონფიდენციალურ ინფორმაციას და უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას კანონმდებლობით დადგენილი წესით. დირექტორის 2025 წლის 15 დეკემბრის №1/კ-10 ბრძანებით განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის სისტემურ მართვასა და გამჭვირვალობას. საჯარო დოკუმენტები ხელმისაწვდომია სკოლის ვებ-გვერდსა და საინფორმაციო სივრცეებში, რაც შეესაბამება საჯაროობის პრინციპებს.

ინფორმაციის დაცვა ხორციელდება როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული მექანიზმებით. პერსონალისა და მოსწავლეთა პირადი საქმეები, შრომითი ხელშეკრულებები და სხვა სენსიტიური დოკუმენტაცია ინახება დაცულ სივრცეში და მათზე წვდომა აქვთ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს. ელექტრონული ინფორმაციის მართვა ხორციელდება სახელმწიფო სისტემების (eschools.emis.ge; eflow.emis.ge) გამოყენებით, სადაც წვდომა რეგულირდება ინდივიდუალური ავტორიზაციის მეშვეობით, რაც ამცირებს მონაცემთა არასანქცირებული გამოყენების რისკს.

შინაგანაწესითა და შრომითი ხელშეკრულებებით განსაზღვრულია თანამშრომელთა ვალდებულება, დაიცვან კონფიდენციალურობა იმ ინფორმაციის მიმართ, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, რაც წარმოადგენს ინფორმაციის დაცვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარანტიას. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული და სამედიცინო პერსონალის საქმიანობაში, რომელთა ფუნქციები გაწერილია დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ შესაბამის დოკუმენტებში (№2-110).

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლაში ინფორმაციის დაცვის სისტემა მოიცავს სამართლებრივ, ორგანიზაციულ და ტექნიკურ კომპონენტებს და უზრუნველყოფს ინფორმაციის უსაფრთხო მართვას, როგორც საჯაროობის, ისე კონფიდენციალურობის პრინციპების დაცვით.

სკოლას მიეცა რჩევა: უზრუნველყოს ციფრული უსაფრთხოების დამატებითი გაძლიერება (პაროლების პერიოდული განახლება, ანტივირუსული პროგრამების კონტროლი) და დოკუმენტაციის არქივირების პროცესის სისტემატიზება კანონმდებლობის შესაბამისად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში დანერგილია უსაფრთხოების სისტემის შეფასების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, თუმცა მისი სრულყოფა დამოკიდებულია შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების სრულად შესრულებაზე.

სკოლაში უსაფრთხოების მექანიზმების შეფასება რეგულირდება სკოლის დირექტორის 2025 წლის 15 დეკემბრის №2-110 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმით“, რომელიც ითვალისწინებს სასწავლო გარემოსა და პროცესების სისტემურ მონიტორინგს. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, შეფასების პროცესში ჩართულია ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომელიც ახორციელებს რისკების იდენტიფიცირებას, არსებული მდგომარეობის ანალიზს და რეკომენდაციების შემუშავებას, რაც მიუთითებს პროცესულ და შეფასებაზე დაფუძნებულ მიდგომაზე.

დოკუმენტაციის ანალიზით დგინდება, რომ სკოლამ განახორციელა უსაფრთხოების მიმართულებით თვითშეფასება, რომლის შედეგად გამოვლინდა მნიშვნელოვანი ხარვეზები, მათ შორის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმისა და შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის არქონა. აღნიშნული შეფასების საფუძველზე შემუშავდა „შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“,

რომელიც განსაზღვრავს კონკრეტულ აქტივობებს, ვადებსა და პასუხისმგებელ პირებს. გეგმის მიხედვით, უსაფრთხოების მექანიზმების სრულყოფა და მათი შესაბამის უწყებებთან შეთანხმება დაგეგმილია 2026 წლის დეკემბრისთვის, რაც მიუთითებს სისტემურ მიდგომაზე და განვითარებისკენ მიმართულ პროცესზე.

უსაფრთხოების პოლიტიკის შეფასებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოებაც. მრჩეველთა საბჭოს (დირექტორის ბრძანება №2-108) საქმიანობა ადასტურებს, რომ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები განიხილება კოლეგიურად. საბჭოს სხდომებზე (მაგ. 2025 წლის 3 ოქტომბრის ოქმი №1) განხილულია მოსწავლეთა ქცევის მართვისა და პრევენციული მექანიზმების გაუმჯობესების საკითხები, რაც უზრუნველყოფს სხვადასხვა მხარის ჩართულობას შეფასებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

დოკუმენტაციით ასევე დასტურდება, რომ შეფასების შედეგები გამოიყენება ინფრასტრუქტურული და ფუნქციური გაუმჯობესების მიზნით. კერძოდ, უსაფრთხო გარემოს შეფასების საფუძველზე იდენტიფიცირებული იქნა ინფრასტრუქტურული საჭიროებები (მათ შორის, ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა), რის შედეგადაც სკოლამ 2026 წლის 15 იანვარს (MES 1 26 0000025470) მიმართა შესაბამის უწყებას, რაც მიუთითებს შეფასებიდან მოქმედებაზე გადასვლის პრაქტიკაზე.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლაში არსებობს უსაფრთხოების სისტემის შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმები, თუმცა მათი სრული ეფექტიანობა დამოკიდებულია შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრული ღონისძიებების დროულ და სრულად განხორციელებაზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება უსაფრთხოებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი;
- შინაგანაწესი;
- სკოლასა და სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს შორის დადებული ხელშეკრულება;
- მიმართვა საგანგებო სიტუაციების სამსახურთან;
- ექთნის ხელშეკრულება და პირადი საქმე;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმი;
- ბრძანება პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
- ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
■ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს, რაც ძირითადად შესაბამისობაშია მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობასთან და მოქმედ რეგულაციებთან.

სკოლის უძრავი ქონების სამართლებრივი სტატუსი დასტურდება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერით (№892023413549), რომლის მიხედვით სკოლას სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს 8738.00 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით. წარმოდგენილი მონაცემებით, ძირითადი შენობის საერთო ფართობი შეადგენს 2218.6 კვ.მ.-ს, ხოლო დამატებითი ნაგებობები — 70.3 კვ.მ. და 24 კვ.მ.-ს. დამატებითი ნაგებობა-სკოლის ეზოში არსებული გარე საპირფარეშოების შენობა, სანიტარული ნორმებისა და უსაფრთხოების გათვალისწინებით საჭიროებს დემონტაჟს. სკოლის ძირითადი შენობა ორსართულიანია და გათვლილია 405 მოსწავლეზე, რაც უზრუნველყოფს არსებული კონტინგენტის განთავსებას და შეესაბამება სანიტარულ-ჰიგიენურ და

საგანმანათლებლო მოთხოვნებს. დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი მდგომარეობის ანალიზით დგინდება, რომ სკოლაში შექმნილია სასწავლო გარემოსთვის საჭირო საბაზისო პირობები. ფუნქციონირებს 12 საკლასო ოთახი, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი სასკოლო ინვენტარით. ბუღალტრული დოკუმენტის („ძირითადი აქტივები 01.01.2026 წლისთვის") მიხედვით, სკოლა ფლობს მნიშვნელოვან მატერიალურ რესურსს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას. მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან სახელმძღვანელოებით, ხოლო პირველკლასელებისთვის ხორციელდება სახელმწიფოს მიერ გათვალისწინებული კომპიუტერული ტექნიკის (ბუკების) გადაცემა, რაც შეესაბამება განათლების სფეროში მოქმედ სახელმწიფო პროგრამებს.

ტექნოლოგიური რესურსების კუთხით სკოლაში მოწყობილია კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებითა და შესაბამისი ტექნიკით, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტეგრირებას. ასევე ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა და რესურსოთახი, რაც დამატებით საგანმანათლებლო მხარდაჭერას უზრუნველყოფს.

ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით, სკოლა აღჭურვილია ცენტრალური გათბობის სისტემით. შენობა ნაწილობრივ ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის —სკოლის შესასვლელში მოწყობილია პანდუსი და შესაბამისი სველი წერტილები. ამასთან, დოკუმენტაციისა და ადგილზე დათვალიერების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში არსებული სპორტული დარბაზი ამ ეტაპზე ვერ გამოიყენება სასწავლო პროცესში ტექნიკური მდგომარეობის გამო. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტურ წარმართვას მოქმედი რეგულაციების შესაბამისად.

სკოლის ინფრასტრუქტურის გამოყენება და რესურსებზე ხელმისაწვდომობა რეგულირდება შიდა სამართლებრივი აქტებით, მათ შორის სკოლის დირექტორის 2025 წლის 15 დეკემბრის №2-110 ბრძანებით დამტკიცებული წესებით (მათ შორის „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი"), რაც უზრუნველყოფს რესურსების სამართლიან და არადისკრიმინაციულ განაწილებას. ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეებისთვის, ისე პერსონალისთვის და უზრუნველყოფს როგორც სასწავლო, ისე დამატებითი ლიტერატურის გამოყენების შესაძლებლობას, რაც შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნებს საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობის შესახებ.

დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი მდგომარეობის ანალიზით დგინდება, რომ სკოლაში არსებული ტექნოლოგიური რესურსები, მათ შორის კომპიუტერული ლაბორატორია, ინტერნეტთან წვდომა, ლეპტოპები და პროექტორები, გამოიყენება სასწავლო პროცესში და ხელმისაწვდომია როგორც მასწავლებლებისთვის, ისე მოსწავლეებისთვის. აღნიშნული ხელს უწყობს თანამედროვე სწავლების მეთოდების დანერგვას და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას, რაც ასახულია სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში.

ინფრასტრუქტურის ფიზიკური ხელმისაწვდომობის მიმართულებით სკოლა უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების პრინციპების დაცვას. შენობა ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის (პანდუსი, ადაპტირებული სველი წერტილები), რაც შეესაბამება მოქმედ მოთხოვნებს ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის კუთხით. ამასთან, სკოლამ 2026 წლის 15 იანვარს (MES 1 26 0000025470) მიმართა შესაბამის უწყებას დამატებითი ინფრასტრუქტურული ადაპტაციის (მეორე სართულზე წვდომის გაუმჯობესება) მიზნით, რაც მიუთითებს განვითარებისკენ მიმართულ მიდგომაზე.

მატერიალური რესურსების მართვა ორგანიზებულია პასუხისმგებელი პირების მიერ (ბრძანება №2-12), რომლებიც უზრუნველყოფენ ინვენტარის გამართულობასა და ხელმისაწვდომობას. მოსწავლეთა სახელმძღვანელოებითა და ტექნიკური საშუალებებით (ბუკები) უზრუნველყოფა ხორციელდება სისტემურად და თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპის დაცვით, რაც გამორიცხავს დისკრიმინაციის რისკს. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის და ხელს უწყობს მათ აკადემიურ და პროფესიულ განვითარებას.

სკოლას მიეცა რჩევა: უზრუნველყოს საერთო სარგებლობის სივრცეებისთვის (ბიბლიოთეკა, ლაბორატორია) სარგებლობის გრაფიკების ფორმალიზება და თვალსაჩინო ადგილას განთავსება, ასევე განიხილოს ელექტრონული წიგნადი ფონდის განვითარების შესაძლებლობა რესურსებზე წვდომის გასაზრდელად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდება სისტემურად არის მოწესრიგებული და უზრუნველყოფს რესურსების ხელმისაწვდომობას სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის მოქმედი რეგულაციების შესაბამისად.

სკოლაში საბიბლიოთეკო მომსახურება ხორციელდება სკოლის დირექტორის 2025 წლის 15 დეკემბრის №2-110 ბრძანებით დამტკიცებული „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის“ საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს ბიბლიოთეკის ფუნქციონირების პრინციპებს, მომხმარებელთა უფლებებსა და მოვალეობებს, აგრეთვე რესურსებით სარგებლობის წესებსა და ვადებს. აღნიშნული

დოკუმენტი უზრუნველყოფს სერვისების თანაბარ ხელმისაწვდომობას და შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობის მიმართულებით.

დოკუმენტაციისა და ინტერვიუების ანალიზით დგინდება, რომ სკოლაში განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი ბიბლიოთეკის მართვაზე. ბიბლიოთეკარი (ბრძანება №2-12, 06.02.2023) უზრუნველყოფს წიგნადი ფონდის აღრიცხვას, გაცემასა და დაბრუნების პროცესის კონტროლს, რაც მიმდინარეობს დადგენილი წესის შესაბამისად. აღნიშნული მიუთითებს სერვისის ორგანიზებულ და კონტროლირებად ფუნქციონირებაზე.

ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი მოიცავს როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ისე მხატვრულ, დამხმარე და მეთოდურ ლიტერატურას. წესის შესაბამისად, თითოეული ერთეული ინვენტარიზებულია და აღრიცხულია, რაც დასტურდება ბუღალტრული დოკუმენტაციით („ძირითადი აქტივები 01.01.2026 წლისთვის“). ფონდის სისტემატური აღრიცხვა და კონტროლი უზრუნველყოფს რესურსების დაცვასა და ხელმისაწვდომობას.

ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით, სკოლაში გამოყოფილია ბიბლიოთეკისთვის შესაბამისი სივრცე, რომელიც აღჭურვილია წიგნების შესანახი ინვენტარითა და სამკითხველო გარემოთი. ბიბლიოთეკა ფუნქციონირებს ჰიგიენური ნორმების დაცვით და ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეებისთვის, ისე პერსონალისთვის, რაც ხელს უწყობს სასწავლო და თვითგანვითარების პროცესს.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლაში საბიბლიოთეკო სერვისები ფუნქციონირებს გამართულად, რეგულირდება შესაბამისი სამართლებრივი აქტებით და უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრთა ინფორმაციულ მხარდაჭერას.

<u>**სკოლას მიეცა რჩევა:**</u> უზრუნველყოს წიგნადი ფონდის ელექტრონული კატალოგის ეტაპობრივი დანერგვა და ბიბლიოთეკის ბაზაზე დამატებითი საგანმანათლებლო აქტივობების (ლიტერატურული კლუბები, დისკუსიები) განვითარება, რაც გააძლიერებს ბიბლიოთეკის ფუნქციას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების, ასევე ფიზიკური გარემოს დათვალიერების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, რაც შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ინკლუზიური განათლების პრინციპებს. შენობის პირველ სართულზე მოწყობილია შესასვლელი პანდუსი და ადაპტირებული სველი წერტილები, რაც უზრუნველყოფს გადაადგილების

შესაძლებლობას პირველ სართულზე. ასევე, პირველ სართულზე განთავსებულია სამედიცინო კაბინეტი, რაც ზრდის მომსახურების ხელმისაწვდომობას.

დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში შექმნილია აკადემიური მხარდაჭერის გარემო — ფუნქციონირებს რესურსოთახი (მეორე სართულზე), რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და გამოიყენება სსსმ მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობისთვის. საშტატო ნუსხის მიხედვით, სკოლას ჰყავს 2 სპეციალური მასწავლებელი, მასწავლებლის ასისტენტი და ფსიქოლოგი, რაც წარმოადგენს ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფის მნიშვნელოვან კომპონენტს.

ამასთან, შეფასების პროცესში გამოვლინდა, რომ სკოლაში არ არის უზრუნველყოფილი მეორე სართულზე ფიზიკური წვდომა ეტლით მოსარგებლე პირებისთვის, სადაც განთავსებულია მნიშვნელოვანი სასწავლო რესურსები (ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, რესურსოთახი). აღნიშნული გარემოება წარმოადგენს ინფრასტრუქტურულ შეზღუდვას სრული ინკლუზიური გარემოს უზრუნველსაყოფად.

დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლამ აღნიშნული საჭიროება იდენტიფიცირა და შესაბამისი რეაგირება განახორციელა — 2026 წლის 15 იანვარს (MES 1 26 0000025470) მიმართა უფლებამოსილ უწყებას ინფრასტრუქტურული ადაპტაციის (მეორე სართულზე წვდომის უზრუნველყოფა) მიზნით.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს ინკლუზიური გარემოს შექმნას ნაწილობრივ და ახორციელებს ქმედით ნაბიჯებს არსებული შეზღუდვების აღმოსაფხვრელად, თუმცა სრული შესაბამისობის მისაღწევად აუცილებელია ფიზიკური მისაწვდომობის სრულყოფა.

სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა მიგნება, დასკვნის პროექტის პასუხად შეიმუშავა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად, 2027 წლის 25 დეკემბრამდე, შესაბამის უწყებებთან კომუნიკაციისა და კოორდინაციის საფუძველზე, დაგეგმილია მეორე სართულზე ეტლით მოსარგებლე პირებისთვის ფიზიკური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიმართულებით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ვადის ფარგლებში — 2027 წლის 25 დეკემბრამდე — განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები ინკლუზიური გარემოს უზრუნველსაყოფად და ეტლით მოსარგებლე პირებისთვის მნიშვნელოვანი სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობის გასაზრდელად. **ინდიკატორი <u>მეტწილად შეესაბამება</u> სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ უზრუნველყოფს მის ფუნქციონირებას, როგორც სოციო-კულტურული ცენტრის, თუმცა სივრცული რესურსების შეზღუდულობა საჭიროებს დამატებით ორგანიზაციულ და ინფრასტრუქტურულ გაუმჯობესებას.

სკოლის ინფრასტრუქტურა მოიცავს როგორც შიდა, ისე გარე სივრცეებს, რომლებიც გამოიყენება სასკოლო საზოგადოების წევრთა სოციალური ინტერაქციისა და კულტურული აქტივობებისთვის. სკოლის ეზოში მოწყობილია მოსასვენებელი სივრცეები, რაც ხელს უწყობს არაფორმალურ კომუნიკაციას მოსწავლეებსა და პერსონალს შორის. ასევე ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, რომლის გამოყენება რეგულირდება სკოლის დირექტორის 2025 წლის 15 დეკემბრის №2-110 ბრძანებით დამტკიცებული წესით და რომელიც გამოიყენება არა მხოლოდ სასწავლო, არამედ კულტურული და საგანმანათლებლო აქტივობებისთვის, რაც შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს სასკოლო გარემოს მრავალფუნქციურობის მიმართულებით.

დოკუმენტაციისა და ინტერვიუების ანალიზით დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს სპორტული და რეკრეაციული აქტივობების განხორციელებას გარე სპორტული მოედნის გამოყენებით (იყენებს სოფლის სტადიონს). მოსწავლეთა თვითმმართველობის ჩართულობა გარემოს მოწესრიგებასა და სოციალური აქტივობების ორგანიზებაში მიუთითებს სკოლის სოციო-კულტურული ფუნქციის რეალიზებაზე და საზოგადოების აქტიურ მონაწილეობაზე.

ამასთან, შეფასების პროცესში გამოვლინდა ინფრასტრუქტურული შეზღუდვები, რომლებიც ზღუდავს სოციო-კულტურული ფუნქციის სრულფასოვან განხორციელებას. კერძოდ, სკოლას არ გააჩნია სააქტო დარბაზი ან შესაბამისი მოცულობის შიდა სივრცე მასშტაბური კულტურული ღონისძიებების ჩასატარებლად. ასევე, არსებული შიდა სპორტული დარბაზი ამ ეტაპზე არ არის ფუნქციონირებადი ტექნიკური მდგომარეობის გამო, რაც განსაკუთრებით ზღუდავს აქტივობების განხორციელებას არახელსაყრელი კლიმატური პირობების დროს.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მიუხედავად აღნიშნული შეზღუდვებისა, დაწესებულება ცდილობს არსებული რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას — სოციო-კულტურული აქტივობები ტარდება ბიბლიოთეკაში, დერეფნებში ან გარე სივრცეებში, ასევე თემთან თანამშრომლობა რეგულირდება „საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესით“ (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით №2-110), რაც უზრუნველყოფს თემის ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს სოციო-კულტურული ფუნქციის განხორციელებას არსებული რესურსების ფარგლებში, თუმცა საჭიროებს ინფრასტრუქტურული შესაძლებლობების გაძლიერებას სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის.

<u>სკოლას მიეცა რჩევა:</u> უზრუნველყოს არსებული სივრცეების მულტიფუნქციური გამოყენების ორგანიზება და სტრატეგიულ/სამოქმედო გეგმებში პრიორიტეტულად ასახოს შიდა სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია ან შესაბამისი სივრცის მოწყობა, რაც გაამლიერებს სკოლის სოციო-კულტურულ ფუნქციას. **ინდიკატორი მშეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ინვენტარის ჩამონათვალი;
- ინფრასტრუქტურის ფოტოები;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ბრძანება მატერიალურად პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ;
- მიმართვა სკოლის მეორე სართულზე ასასვლელი პანდუსის მოწყობაზე

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
■ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) ინფრასტრუქტურა მოწყობილია და უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესების განხორციელებას თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.

სკოლის IT ინფრასტრუქტურა ეყრდნობა შიდა დოკუმენტს — „ციფრული განვითარების გეგმას“ (01.03.2024–31.12.2024), რომელიც განსაზღვრავს ტექნოლოგიური რესურსების განვითარებისა და გამოყენების ძირითად მიმართულებებს და შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს თანამედროვე საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფის კუთხით. დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი მდგომარეობის ანალიზით დგინდება, რომ სკოლა ფლობს ადმინისტრაციული და სასწავლო მიზნებისთვის საჭირო კომპიუტერულ ტექნიკას (კომპიუტერები, ლეპტოპები, პრინტერები), რომელიც განთავსებულია როგორც ადმინისტრაციულ, ისე სასწავლო სივრცეებში.

სკოლის ტექნიკური ბაზა ჩართულია ინტერნეტ ქსელში, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფო საინფორმაციო სისტემების (eschools.emis.ge; eflow.emis.ge; el.ge) გამოყენებას. აღნიშნული პლატფორმები აქტიურად გამოიყენება როგორც ადმინისტრაციული პროცესების მართვისთვის, ისე სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელებისთვის, რაც ადასტურებს ციფრული ინსტრუმენტების ინტეგრაციას სასკოლო საქმიანობაში.

დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ ტექნოლოგიური რესურსები ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის. მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა გამოიყენონ შესაბამისი ტექნიკა სასწავლო პროცესში განსაზღვრულ სამუშაო საათებში, რაც ხელს უწყობს ციფრული უნარების განვითარებას და სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვას.

ციფრული ინფრასტრუქტურის მართვა რეგულირდება შიდა ადმინისტრაციული აქტებით, სადაც განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები ტექნიკის მოვლა-პატრონობასა და გამოყენებაზე. ამასთან, სკოლის „შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმასა“ (2023–2030 წწ.) და „ერთწლიან სამოქმედო გეგმაში“ ასახულია ტექნოლოგიური ბაზის განვითარების პრიორიტეტი, რაც მიუთითებს სისტემურ და გრძელვადიან ხედვაზე.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლაში არსებული IT ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების განხორციელებას და ქმნის შესაბამის პირობებს თანამედროვე საგანმანათლებლო გარემოსთვის.

<u>სკოლას მიეცა რჩევა:</u> უზრუნველყოს ტექნიკური მხარდაჭერის სისტემის გაძლიერება (IT სპეციალისტის ჩართულობა) და ინტერნეტ-ქსელის დაფარვის გაუმჯობესება სკოლის მთელ სივრცეში, რაც კიდევ უფრო გააუმჯობესებს რესურსების ეფექტიან გამოყენებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის და მისი გამოყენება რეგულირდება შიდა სამართლებრივი აქტებისა და დადგენილი პრიორიტეტების შესაბამისად.

სკოლაში IT რესურსებით სარგებლობა ეფუძნება „ციფრული განვითარების გეგმას“ (01.03.2024–31.12.2024), რომელიც განსაზღვრავს ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის გამოყენების წესებს, სამუშაო სივრცეების განაწილებასა და ხელმისაწვდომობის პირობებს. აღნიშნული დოკუმენტი შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს სასწავლო რესურსების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიმართულებით. დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ მოსწავლეებისთვის განკუთვნილი კომპიუტერული სივრცეები ხელმისაწვდომია განსაზღვრულ სამუშაო საათებში, რაც უზრუნველყოფს რესურსის სისტემურ და ეფექტიან გამოყენებას.

ინტერნეტ-რესურსების გამოყენება ორგანიზებულია უსაფრთხოების პრინციპების დაცვით. სკოლის სივრცეში ხელმისაწვდომია უკაბელო ინტერნეტი, რომლის გამოყენებაც ფილტრირებულია და ზღუდავს არასაგანმანათლებლო ან შეუსაბამო შინაარსზე წვდომას. აღნიშნული მიდგომა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით განსაზღვრულ უსაფრთხოების მოთხოვნებს და უზრუნველყოფს ციფრული გარემოს დაცულობას.

დოკუმენტაციის ანალიზით დგინდება, რომ IT ინფრასტრუქტურა აქტიურად გამოიყენება როგორც პედაგოგიური, ისე ადმინისტრაციული საქმიანობისთვის. მასწავლებლებს აქვთ წვდომა ტექნოლოგიურ რესურსებზე, რაც უზრუნველყოფს ელექტრონული ჟურნალის წარმოებას (eschools.emis.ge), სასწავლო მასალების მომზადებასა და თანამედროვე მეთოდების გამოყენებას. კომპიუტერული ლაბორატორია და რესურსოთახი ხელმისაწვდომია პერსონალისთვის, რაც ასახულია სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, როგორც სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლების ერთ-ერთი ინსტრუმენტი.

მოსწავლეთა ჩართულობა ტექნოლოგიური რესურსების გამოყენებაში არ არის შეზღუდული საგაკვეთილო და კლასგარეშე აქტივობების ფარგლებში. ტექნიკით სარგებლობა ხორციელდება ზედამხედველობის პირობებში, რაც უზრუნველყოფს როგორც უსაფრთხოებას, ისე მატერიალური რესურსების დაცვას („ციფრული განვითარების გეგმა“, პუნქტი 1.2.3).

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლაში ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია და მისი გამოყენება რეგულირდება ეფექტურად, რაც ხელს უწყობს თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებას.

სკოლას მიეცა რჩევა, დანერგოს IT რესურსებით სარგებლობის აღრიცხვის მექანიზმი (ჟურნალი) და უზრუნველყოს მშობელთა დამატებითი ინფორმირება ციფრული უსაფრთხოების პოლიტიკის შესახებ, რაც გააძლიერებს რესურსების მართვის ეფექტიანობასა და ნდობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ციფრული განვითარების გეგმა

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

დოკუმენტაციის, წარმოდგენილი შიდა ნორმატიული აქტებისა და ფაქტობრივი მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში საქმისწარმოების სისტემა ორგანიზებულია ერთიანი, სტრუქტურირებული და სამართლებრივად გამართული პრინციპების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს მმართველობითი საქმიანობის დოკუმენტირების სიზუსტეს, გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას.

სკოლაში მოქმედი „საქმისწარმოების წესი“, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 15 დეკემბრის N 2-110 ბრძანებით, განსაზღვრავს დოკუმენტბრუნვის სრულ ციკლს — დოკუმენტის შექმნიდან მის რეგისტრაციამდე, დამუშავებამდე, შესრულებამდე და შემდგომ შენახვა/არქივირებამდე . დოკუმენტი შემუშავებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა

შესაბამისად და ვრცელდება სკოლის ყველა სახის დოკუმენტაციაზე, მათ შორის ელექტრონულ ფორმატზეც, რაც ქმნის ერთიან და სავალდებულო სტანდარტს ყველა თანამშრომლისთვის.

საქმისწარმოების პროცესის განხორციელება უზრუნველყოფილია განსაზღვრული პასუხისმგებლობის მქონე პირის — საქმისმწარმოებლის მიერ, რომელიც ახორციელებს დოკუმენტაციის რეგისტრაციას, მოძრაობის კონტროლს, ოფიციალური კორესპონდენციის დამუშავებასა და არქივის მართვას. დოკუმენტაციის რეგისტრაცია მიმდინარეობს როგორც მატერიალურ ჟურნალებში, ისე ელექტრონული საქმისწარმოების სისტემაში (Eflow), რაც უზრუნველყოფს დოკუმენტბრუნვის ტრასირებადობასა და პროცესის ეფექტიან კონტროლს. ამასთან, eschool.emis.ge სისტემის გამოყენება ადასტურებს მონაცემთა მართვის ციფრულ ორგანიზებას .

დოკუმენტაციის შენახვა, ჩამოწერა და განკარგვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კერძოდ — საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 მარტის №82 დადგენილებით განსაზღვრული წესის საფუძველზე, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი ოფიციალური წერილით საბიბლიოთეკო ფონდის ჩამოწერის შესახებ . აღნიშნული მიუთითებს, რომ სკოლა უზრუნველყოფს აქტივების მართვის კანონიერებასა და დოკუმენტური პროცესების შესაბამისობას სახელმწიფო რეგულაციებთან.

საჯაროობისა და ანგარიშვალდებულების კუთხით, სკოლა მოქმედებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად. წარმოდგენილი 2025 წლის ანგარიში ადასტურებს, რომ საჯარო ინფორმაციის გაცემის პროცედურები სრულად არის დაცული, არ დაფიქსირებულა ინფორმაციის გაცემაზე უარის შემთხვევები და არ გამოვლენილა სამართლებრივი დარღვევები . ამასთან, დირექტორის შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პროცესის ინსტიტუციურ გამართულობას.

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა ცხადყოფს, რომ სკოლაში დანერგილია სისტემური, სტანდარტიზებული და კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში მყოფი საქმისწარმოების მოდელი, რომელიც ეფექტიანად უზრუნველყოფს როგორც დოკუმენტაციის მართვას, ისე ადმინისტრაციული პროცესების გამჭვირვალობას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

დოკუმენტაციის, წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და სკოლის პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში მართვის პროცესები ეფექტიანად არის ინტეგრირებული თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებთან, რაც უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო საქმიანობის ოპერატიულობას, სიზუსტესა და გამჭვირვალობას.

სკოლაში დანერგილია ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა (Eflow), რომლის მეშვეობითაც ხორციელდება დოკუმენტბრუნვის სრული ციკლი — ოფიციალური კორესპონდენციის შექმნა, რეგისტრაცია, გადაგზავნა და კონტროლი. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ ზემდგომ უწყებებთან კომუნიკაცია მიმდინარეობს ელექტრონულ ფორმატში, შესაბამისი რეგისტრაციის ნომრებისა და შტრიხკოდების გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს პროცესის ტრასირებადობასა და ადმინისტრაციული საქმიანობის გამჭვირვალობას. აღნიშნული პრაქტიკა შეესაბამება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნებს დოკუმენტბრუნვის მართვის ნაწილში.

საგანმანათლებლო პროცესის მართვა ხორციელდება eschool.emis.ge პლატფორმის გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მონაცემების მართვას, მობილობის პროცესების ადმინისტრირებასა და ელექტრონული ჟურნალის წარმოებას. სისტემის გამოყენება წარმოადგენს სავალდებულო პრაქტიკას და რეგულირდება სკოლის შიდა ნორმატიული აქტებით, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა ერთიანობასა და ინფორმაციის სიზუსტეს როგორც სკოლის, ისე სამინისტროს დონეზე.

მართვის პროცესებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ციფრულ კომუნიკაციას. სკოლა აქტიურად იყენებს ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტას (email.mes.gov.ge დომენზე), რომელიც წარმოადგენს როგორც შიდა, ისე გარე კომუნიკაციის ძირითად არხს. „საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესის“ (დამტკიცებული დირექტორის 2025 წლის 15 დეკემბრის N 2-110 ბრძანებით) შესაბამისად, აღნიშნული არხები უზრუნველყოფს ინფორმაციის დროულ გავრცელებასა და უკუკავშირის მიღებას სასკოლო საზოგადოების წევრებისგან.

ციფრული მართვის სისტემების ეფექტიან ფუნქციონირებას უზრუნველყოფს შესაბამისი ინფრასტრუქტურული ბაზა. „ციფრული განვითარების გეგმის“ (01.03.2024–31.12.2024) მიხედვით, ადმინისტრაციული პერსონალი სრულად არის უზრუნველყოფილი ინტერნეტში ჩართული კომპიუტერული ტექნიკითა და საოფისე მოწყობილობებით, რაც ქმნის აუცილებელ პირობებს ელექტრონული სისტემების შეუფერხებელი გამოყენებისთვის.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა ცხადყოფს, რომ სკოლაში მართვის პროცესები ეფუძნება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მმართველობითი გადაწყვეტილებების ეფექტიანობასა და პროცესების გამჭვირვალობას.

ამასთან, **მიზანშეწონილია** სკოლამ პერიოდულად უზრუნველყოს ადმინისტრაციული პერსონალის გადამზადება ელექტრონული სისტემების ახალ ფუნქციონალებთან დაკავშირებით და დანერგოს მნიშვნელოვანი დოკუმენტაციის სარეზერვო ასლების სისტემატური შენახვის პრაქტიკა, რათა კიდევ უფრო გაძლიერდეს ციფრული უსაფრთხოება და მდგრადობა.ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

დოკუმენტაციის, წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და სკოლის მიერ განხორციელებული ელექტრონული მართვის პროცესების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) ადმინისტრირება ხორციელდება სისტემურად და უზრუნველყოფს სკოლის პროფილის სრულყოფილობასა და მონაცემთა სიზუსტეს.

სკოლა აქტიურად იყენებს eschool.emis.ge პლატფორმას მოსწავლეთა, მშობელთა და პერსონალის მონაცემების სამართავად. ელექტრონულ ბაზაში სრულყოფილად არის ასახული ინფორმაცია თითოეული მოსწავლის შესახებ, მათ შორის კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები და საკონტაქტო ინფორმაცია, რაც რეგულარულად ახლდება. მონაცემთა მართვის პროცესზე პასუხისმგებელი პირი, რომლის ფუნქციებიც განსაზღვრულია დირექტორის 2025 წლის 15 დეკემბრის N 2-110 ბრძანებით, უზრუნველყოფს ინფორმაციის ვალიდურობასა და შესაბამისობას რეალურ მდგომარეობასთან.

პერსონალის მართვის მიმართულებით, სკოლა უზრუნველყოფს ახლად დასაქმებული თანამშრომლების შესახებ მონაცემების ოპერატიულად ატვირთვას სისტემაში. ელექტრონულ პროფილებში ასახულია განათლების, კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების შესახებ ინფორმაცია, რაც თანხვედრაშია პერსონალის პირად საქმეებთან. აღნიშნული პრაქტიკა ადასტურებს მონაცემთა სინქრონულობას მატერიალურ და ელექტრონულ ბაზებს შორის.

EMIS სისტემა აქტიურად გამოიყენება ასევე აკადემიური პროცესის დაგეგმვისთვის. სკოლა დადგენილ ვადებში ახორციელებს საგნობრივი დატვირთვების, სასწავლო ცხრილებისა და განრიგის სისტემაში ასახვას, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ფორმალურ და ტექნიკურ გამართულობას. აღნიშნული პროცესი მჭიდროდ არის დაკავშირებული კურიკულუმის მართვის შიდა მექანიზმებთან და წარმოადგენს მისი განხორციელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს.

სკოლის პროფილის სრულყოფილებაზე მიუთითებს ასევე „სკოლის ბარათის“ რეგულარული განახლება, სადაც ასახულია ინფრასტრუქტურის, მოსწავლეთა ტევადობისა და სხვა ადმინისტრაციული მონაცემები. სკოლა უზრუნველყოფს აღნიშნული ინფორმაციის პერიოდულ გადამოწმებასა და საჭიროების შემთხვევაში კორექტირებას, რაც ზრდის მონაცემთა სანდოობას და უზრუნველყოფს მართვის პროცესების რეალურ მონაცემებზე დაფუძნებას.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა ცხადყოფს, რომ სკოლაში EMIS-ის გამოყენება არ არის ფორმალური, არამედ წარმოადგენს მართვის პროცესის მნიშვნელოვან და ეფექტიან ინსტრუმენტს, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის სიზუსტეს, ხელმისაწვდომობასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გამჭვირვალობას.

ამასთან, **მიზანშეწონილია** სკოლამ დანერგოს მონაცემთა პერიოდული შიდა გადამოწმების პრაქტიკა და უზრუნველყოს სისტემასთან მომუშავე პერსონალის მუდმივი პროფესიული განვითარება, რათა მაქსიმალურად იქნას გამოყენებული EMIS-ის ფუნქციური შესაძლებლობები. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

დოკუმენტაციის, წარმოდგენილი ოფიციალური კორესპონდენციისა და სკოლის ადმინისტრაციული პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლა უზრუნველყოფს მარეგულირებელ უწყებებთან ეფექტიან თანამშრომლობასა და ანგარიშგებას მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით.

სკოლა სისტემურად და დადგენილ ვადებში ახორციელებს საჯარო ანგარიშგებას, რაც დასტურდება 2025 წლის 8 დეკემბრის ანგარიშით (MES 4 25 0001742477), რომელიც წარდგენილია საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის წინაშე. აღნიშნული პრაქტიკა სრულ შესაბამისობაშია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 49-ე მუხლის მოთხოვნებთან და მიუთითებს სკოლის მაღალი ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ხარისხზე.

შიდა მართვის დონეზე სკოლაში დანერგილია ანგარიშვალდებულების მექანიზმები სამეურვეო საბჭოს წინაშე, რაც შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს. დირექტორი სისტემატურად წარუდგენს საბჭოს ინფორმაციას ფინანსური საქმიანობის, ბიუჯეტის შესრულებისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ, რაც უზრუნველყოფს მართვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობასა და გადაწყვეტილებების კოლეგიურობას.

მარეგულირებელ უწყებებთან თანამშრომლობა ხორციელდება სხვადასხვა მიმართულებით. სკოლა აქტიურად ურთიერთობს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, საგანმანათლებლო რესურსცენტრთან და სხვა უფლებამოსილ ორგანოებთან. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სკოლა კანონმდებლობის სრული დაცვით ახორციელებს ადმინისტრაციულ პროცესებს, მათ შორის აქტივების მართვასა და ჩამოწერის პროცედურებს, რაც რეგულირდება საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 მარტის №82 დადგენილებით. აღნიშნული მიუთითებს, რომ სკოლა გადაწყვეტილებებს იღებს შესაბამის უწყებებთან შეთანხმებით და სამართლებრივი ჩარჩოს ფარგლებში.

ინფორმაციული ურთიერთქმედება და ანგარიშგება ხორციელდება ელექტრონული სისტემების გამოყენებით, მათ შორის Eflow პლატფორმის მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს დოკუმენტბრუნვის ოპერატიულობას, რეგისტრაციასა და პროცესების კონტროლს. ეს ქმნის მყარ საფუძველს როგორც ინფორმაციის დროული მიწოდებისთვის, ისე მიღებული რეკომენდაციების შესრულებისათვის.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა ცხადყოფს, რომ სკოლაში ანგარიშგებისა და თანამშრომლობის მექანიზმები არ არის ფორმალური, არამედ წარმოადგენს მმართველობის სისტემის მნიშვნელოვან და ეფექტიან კომპონენტს, რომელიც უზრუნველყოფს სამართლებრივ შესაბამისობას, გამჭვირვალობასა და ინსტიტუციურ სანდოობას.

ამასთან, **მიზანშეწონილია** სკოლამ გააძლიეროს ანგარიშების პროაქტიული საჯაროობის პრაქტიკა და დანერგოს მარეგულირებელი უწყებებიდან მიღებული რეკომენდაციების შესრულების სისტემური მონიტორინგი, რაც კიდევ უფრო გაუმჯობესებს მართვის პროცესების ეფექტიანობას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი;
- ეფლოუსა და ესქულის სქრინი;
- 10 დეკემბრის ანგარიშები;
- წერილი წიგნადი ფონდის ჩამოწერის შესახებ

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

დოკუმენტაციის, წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და სკოლის პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში საზოგადოებასთან კომუნიკაციისა და ინფორმირების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად, არის მრავალარხიანი და უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრთა აქტიურ ჩართულობას.

სკოლაში კომუნიკაციის მართვა რეგულირდება დირექტორის 2025 წლის 15 დეკემბრის №2-115 ბრძანებით, რომლის საფუძველზეც საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია შესაბამისი თანამშრომელი, ხოლო ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებასა და ადმინისტრირებაში ჩართულია საქმისმწარმოებელი. აღნიშნული განაწილება უზრუნველყოფს პასუხისმგებლობების მკაფიო დიფერენცირებას და კომუნიკაციის პროცესის ორგანიზებულ მართვას.

სკოლა ეფექტიანად იყენებს ციფრულ საკომუნიკაციო არხებს. ფუნქციონირებს სკოლის ოფიციალური პორტალი და სოციალური ქსელი, სადაც რეგულარულად ქვეყნდება ინფორმაცია სასწავლო და არასასწავლო აქტივობების შესახებ. დამატებით, ოპერატიული კომუნიკაციისთვის გამოიყენება კლასების საკომუნიკაციო ჯგუფები, რაც უზრუნველყოფს მშობლების დროულ ინფორმირებულობას და პროცესებში ჩართულობას. აღნიშნული პრაქტიკა შეესაბამება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრინციპებს და განისაზღვრება „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“.

სასწავლო პროცესის გამჭვირვალობას მნიშვნელოვნად აძლიერებს ელექტრონული ჟურნალის ფუნქციონირება (eschool.emis.ge), რომლის მეშვეობითაც მშობლებს აქვთ შესაძლებლობა რეალურ დროში გაეცნონ მოსწავლის აკადემიურ მოსწრებასა და დასწრებას. ეს მექანიზმი უზრუნველყოფს უკუკავშირის უწყვეტობას და მშობლის, როგორც საგანმანათლებლო პროცესის აქტიური მონაწილე მხარის, ჩართულობას.

ამასთანავე, სკოლა ინარჩუნებს პირისპირ კომუნიკაციის ეფექტიან პრაქტიკას. მშობელთა კრებების ოქმები ადასტურებს, რომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღება უშუალო კონსულტაციისა და კენჭისყრის საფუძველზე, რაც შეესაბამება მონაწილეობითი მართვის პრინციპებს და აძლიერებს სკოლის მიმართ ნდობას.

ზემოაღნიშნული გარემოებები ცხადყოფს, რომ სკოლაში კომუნიკაციის სისტემა არ შემოიფარგლება ინფორმაციის ერთმხრივი გავრცელებით, არამედ მოიცავს უკუკავშირის მიღებისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მრავალფეროვან მექანიზმებს, რაც ხელს უწყობს ეფექტიან მმართველობასა და პოზიტიური ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

დოკუმენტაციის, წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და სკოლის პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში ინფორმაციის გავრცელების პროცესი ეფუძნება სანდოობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს და უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ობიექტურ და ვალიდურ ინფორმირებას.

სკოლაში ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა დელეგირებულია მართვის დონეზე და კონტროლდება ადმინისტრაციული მექანიზმებით. დირექტორი, როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის პროცესზე პასუხისმგებელი პირი (დირექტორის 2025 წლის 15 დეკემბრის №2-115 ბრძანების შესაბამისად), ახორციელებს გავრცელებული ინფორმაციის წინასწარ გადამოწმებასა და ვალიდაციას, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს არაზუსტი ან გადაუმოწმებელი მონაცემების გავრცელების რისკს.

სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის მტკიცებულებებზე დაფუძნებული. სხვადასხვა საკომუნიკაციო არხში (ვებ-გვერდი, სოციალური ქსელები) განთავსებულ მასალებს თან ერთვის შესაბამისი ფოტომასალა და დოკუმენტური დადასტურება, რაც ზრდის ინფორმაციის სანდოობას და აძლიერებს საზოგადოების ნდობას სკოლის საქმიანობის მიმართ. აღნიშნული მიდგომა ადასტურებს, რომ კომუნიკაცია ეფუძნება რეალურ და გადამოწმებულ ფაქტებს.

საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელება ასევე ხასიათდება სიზუსტითა და გამჭვირვალობით. მშობელთა კრებების ოქმები მიუთითებს, რომ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში დაინტერესებულ მხარეებს მიეწოდებათ არგუმენტირებული, რეალურ რესურსებსა და შესაძლებლობებზე დაფუძნებული ინფორმაცია, რაც უზრუნველყოფს მათი ჩართულობის ხარისხს და გადაწყვეტილებების ლეგიტიმურობას.

ინფორმაციის დროულობასა და ვალიდურობას უზრუნველყოფს ელექტრონული სისტემების გამოყენება, მათ შორის eschool.emis.ge პლატფორმა, რომლის მეშვეობითაც მუდმივად ახლდება მოსწავლეთა აკადემიური მონაცემები. აღნიშნული პრაქტიკა შეესაბამება „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მოთხოვნებს ინფორმაციის სიზუსტისა და ხელმისაწვდომობის ნაწილში.

ზემოაღნიშნული გარემოებები ცხადყოფს, რომ სკოლაში ინფორმაციის გავრცელება არ არის ფორმალური პროცესი, არამედ წარმოადგენს სისტემურად ორგანიზებულ მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს სანდო, გადამოწმებულ და დროულ კომუნიკაციას სასკოლო საზოგადოებასთან. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად

დოკუმენტაციის, წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და სკოლის პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში დანერგილია უკუკავშირის მიღებისა და მისი საგანმანათლებლო პროცესის

გაუმჯობესებისთვის გამოყენების ქმედითი მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს მართვის პროცესების განვითარებაზე ორიენტირებულობას.

სკოლა აქტიურად იყენებს მონაწილეობით მიდგომებს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. წარმოდგენილი მასალები ადასტურებს, რომ მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო საკითხები განიხილება დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის საფუძველზე. კერძოდ, მშობელთა კრებების ოქმები მიუთითებს, რომ გადაწყვეტილებები (მაგალითად, მეორე უცხოური ენის არჩევა) მიღებულია მშობლების ჩართულობით, რესურსების ანალიზისა და მათი უკუკავშირის გათვალისწინებით. აღნიშნული პრაქტიკა შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს სასკოლო საზოგადოების მონაწილეობითი მართვის ნაწილში.

სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციის გამჭვირვალობასა და უკუკავშირის მიღებას მრავალარხიანი კომუნიკაციის საშუალებით. ფუნქციონირებს სკოლის პორტალი (skolebi.emis.ge), სოციალური ქსელები და საკომუნიკაციო ჯგუფები, რაც ქმნის უწყვეტ კავშირს სკოლასა და მშობლებს შორის. ამასთან, ელექტრონული ჟურნალის გამოყენება (eschool.emis.ge) აძლევს მშობლებს შესაძლებლობას მუდმივად აკონტროლონ მოსწავლის აკადემიური მდგომარეობა და საჭიროების შემთხვევაში დაუყოვნებლივ დააფიქსირონ საკუთარი პოზიცია.

უკუკავშირის სისტემური გამოყენება აისახება ხარისხის მართვის პროცესებში. სკოლის დირექტორის 2025 წლის 15 დეკემბრის №2-110 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი“ ითვალისწინებს მიღებული ინფორმაციის ანალიზს და მის გამოყენებას დაგეგმვის ეტაპზე (PDCA ციკლი). მიღებული უკუკავშირი მუშავდება როგორც პასუხისმგებელი პირების, ისე ხარისხის განვითარების ჯგუფის მიერ და ინტეგრირდება ერთწლიან სამოქმედო გეგმაში, რაც მიუთითებს, რომ უკუკავშირი რეალურად გამოიყენება სკოლის საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სკოლაში ჩამოყალიბებულია ღია კომუნიკაციის კულტურა, სადაც მშობლებსა და მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა თავისუფლად გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები. კლასების საკომუნიკაციო ჯგუფები და პირისპირ შეხვედრები უზრუნველყოფს სწრაფ რეაგირებას, რაც აძლიერებს ნდობასა და თანამშრომლობით გარემოს.

ზემოაღნიშნული გარემოებები ცხადყოფს, რომ სკოლაში უკუკავშირი წარმოადგენს არა მხოლოდ ინფორმაციის მიღების. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლა იყენებს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ სპეციალურად სკოლებისთვის შექმნილ ვებგვერდს, სადაც განთავსებულია აუცილებელი და მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ვებგვერდი **განახლებადია ყოველდღიურად და მიზნობრივად**, რაც უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის გამჭვირვალობასა და საზოგადოებისთვის დროულად სანდო ინფორმაციის მიწოდებას. ინფორმაციის გავრცელება ხორციელდება ასევე: პირისპირ კომუნიკაციის გზით; წერილობითი კომუნიკაციით; სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ინფორმაციის გამოკვრით; სკოლის ოფიციალური სოციალური ქსელის (Facebook) გვერდის მეშვეობით; **Teams**-ის მიზნობრივი ჯგუფებში გამოქვეყნებით. ყველა ინფორმაცია ხელმისაწვდომია **ქართულ ენაზე**. სკოლის ვებგვერდი რეგისტრირებულია **საგანმანათლებლო დომენით**, რაც ხაზს უსვამს მის ოფიციალურ და საგანმანათლებლო დანიშნულებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ღირებულებები, ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცედურები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია **საჯაროა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის**. ინფორმაცია გამოკრულია სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და სკოლის საზოგადოების ინფორმირებულობას. ვებ გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ, მათ შორის: მისია, ხედვა და ღირებულებები; სტრუქტურა; პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები და მათზე ჩარიცხვის პროცედურები; მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი); სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები; მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები; გასაჩივრების მექანიზმები; ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები; საკონტაქტო ინფორმაცია. მიდგომა ხელს უწყობს სკოლის საქმიანობის გამჭვირვალობასა და საზოგადოების ჩართულობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სამოქმედო გეგმა
- ელექტრონული ჟურნალები
- საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი;
- მშობელთა მესენჯერ-ჯგუფები

- სკოლის საინფორმაციო დაფა
- სკოლის ვებ-გვერდი
- სკოლის FB გვერდი:

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლის ფინანსური დაგეგმარების პროცესის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლის ფინანსური რესურსი ქმნის მყარ საფუძველს საგანმანათლებლო საქმიანობის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების სრულფასოვანი განხორციელებისთვის.

ფინანსური მდგრადობისა და დაგეგმარების კომპონენტების შეფასებისას გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: სკოლის ძირითად შემოსავალს შეადგენს **ვაუჩერული დაფინანსება**, რომელიც სრულად ფარავს ყველა საჭირო ხარჯს.

სკოლაში დანერგილია შესყიდვების დაგეგმვის სისტემური მიდგომა, რაც დასტურდება დირექტორის **2025 წლის 18 ნოემბრის N 2-99 ბრძანებით** დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესით“. სკოლა ახორციელებს ბაზრის კვლევას საორიენტაციო ღირებულების დასადგენად, რაც დასტურდება წარმოდგენილი სამსახურეობრივი ბარათებითა და ინვოისებით (მაგ. ვიდეოკამერების,

საკონსულტაციო მომსახურებისა და საინფორმაციო ფურცლების შესყიდვაზე). 2026 წლის **შესყიდვების გეგმა** მოიცავს 46 პუნქტს, საერთო ჯამური ღირებულებით **43,500 ლარი.**

სკოლა ფინანსურ რესურსებს მიმართავს პრიორიტეტული მიმართულებებისკენ:

- **ინფრასტრუქტურა და უსაფრთხოება:** დაგეგმილია ღობეების მონტაჟი , ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის განახლება და სახურავის ტექნიკური მომსახურება.
- **სასწავლო რესურსები:** გათვალისწინებულია სახსრები წიგნების, რუკების, სპორტული ინვენტარისა და კომპიუტერული ტექნიკისთვის.
- **სოციალური მხარდაჭერა:** 2026 წლის პროექტში სოციალური უზრუნველყოფისთვის გათვალისწინებულია **5.00 ათასი ლარი.**

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება. ინდიკატორი **შეესაბამება** სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

ფინანსური რესურსების მართვის პროცესი ეფუძნება შემდეგ ძირითად კომპონენტებს:

- **დაგეგმვა და ბიუჯეტირება:** სკოლის ბიუჯეტის პროექტი მზადდება წინა წლის ანალიზის, სავარაუდო შემოსავლებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული პრიორიტეტების გათვალისწინებით. ბიუჯეტის პროექტს ამზადებს ბუღალტერი, ახორციელებს დირექტორი, ხოლო საბოლოო დოკუმენტს განიხილავს და ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. ყოველი წლის ნოემბერში ასევე მტკიცდება მომავალი წლის შესყიდვების გეგმა.
- **ფინანსების განკარგვა და შესყიდვები:** სკოლა ფინანსურ რესურსებს (ვაუჩერული დაფინანსება, პროგრამული თანხები, იჯარიდან მიღებული შემოსავალი) განკარგავს მიზნობრივად. შესყიდვების პროცესში სისტემატურად ტარდება ბაზრის კვლევა თითოეულ საქონელზე, რაც უზრუნველყოფს რესურსების ოპტიმალურ ხარჯვას. ხელშეკრულებები კანონმდებლობით დადგენილ ვადებში იტვირთება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე.
- **მონიტორინგი და კონტროლი:** ფინანსური ხარჯების კონტროლი ხორციელდება ყოველთვიურად საბანკო ამონაწერების საფუძველზე, რაც გამორიცხავს არამიზნობრივ ხარჯვას. წლის ბოლოს იქმნება ინვენტარიზაციის კომისია, რომელიც ახდენს ფინანსური აქტივების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეფასებას.
- **გამჭვირვალობა და ანგარიშგება:** „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, დირექტორი ყოველწლიურად, 10 დეკემბრამდე, სამეურვეო საბჭოს წარუდგენს დეტალურ ანგარიშს ფინანსური საქმიანობის შესახებ. 2025 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ანგარიში ადასტურებს, რომ სკოლის შემოსავლები და ხარჯები (სრულად არის აღრიცხული და შესაბამისობაშია დამტკიცებულ ბიუჯეტთან.

- **ფინანსური მდგრადობა:** სკოლა ეფექტურად მართავს ნაშთებსა და დამატებით შემოსავლებს (მაგ. ფართის იჯარიდან მიღებული), მიიმართება ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და სასწავლო რესურსების (მათ შორის STEM პროგრამის) მხარდასაჭერად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ბიუჯეტი
- შესყიდვების გეგმა
- სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცებაზე;
- სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი ფინანსური საქმიანობის ანგარიში;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

■ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებებისა და გარანტიების დაცვა.

მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები დეტალურად არის გაწერილი **სკოლის შინაგანაწესში (2025-2026 სასწავლო წელი)**, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ (ოქმი N2, 10.09.2025) და სავალდებულოა ყველა დაინტერესებული პირისთვის. დოკუმენტი განსაზღვრავს დისკრიმინაციის აკრძალვას (მუხლი 25), სამართლიანი მოპყრობის პრინციპებს, დისციპლინური დევნის პროცედურებსა (მუხლი 12-19) და მოსწავლის ღირსების დაცვის მექანიზმებს, რაც ქმნის უსაფრთხო და სამართლიან გარემოს.

სკოლის დირექტორის **2025 წლის 15 დეკემბრის N2-110 ბრძანებით** დამტკიცებულია „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმი“, რომელიც სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. აღნიშნული მექანიზმი ეფუძნება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის შესაბამის ნორმატიულ აქტებს (მათ შორის, N04/ნ და N06/ნ ბრძანებებს), რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა განათლებასთან დაკავშირებული უფლებების რეალიზებას.

მოსწავლეთა უფლებების დაცვის პროცესში უზრუნველყოფილია მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობაც, რაც დასტურდება სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული **ორმხრივი ხელშეკრულებებით (მაგ: ხელშეკრულება N2-18, 15.09.2025)**. ხელშეკრულებაში მკაფიოდ არის განსაზღვრული მხარეთა უფლება-მოვალეობები, მათ შორის სკოლის ვალდებულება უზრუნველყოს მოსწავლის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემო (მუხლი 3.1.1).

სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომლის ფორმირება მოხდა **სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილებით (ოქმი N2)** განსაზღვრულ თარიღში (10 ოქტომბერი). თვითმმართველობის საქმიანობის ლეგიტიმურობა დასტურდება **საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის სხდომის ოქმით (N1, 13.10.2025)**, რომლითაც აირჩა თავმჯდომარე და წარმომადგენლები სკოლის კოლეგიურ ორგანოებში (სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი).

ამასთან, სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებებით (ოქმი N2) განსაზღვრულია თვითმმართველობის არჩევნების ორგანიზაციული საკითხები, რაც დამატებით უზრუნველყოფს მოსწავლეთა მონაწილეობითი მმართველობის პრინციპის რეალიზებას. მოსწავლეთა ინტერესების დაცვის კიდევ ერთ მექანიზმს წარმოადგენს სახელმძღვანელოების უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის პროცესი, რაც გაფორმებულია შესაბამისი **ხელშეკრულებებითა და მიღება-ჩაბარების აქტებით (15.09.2025)**.

მოსწავლეთა მობილობისა და სტატუსის მართვის პროცესები რეგულირდება დადგენილი წესით. სკოლაში მოქმედებს ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია, რომელიც ეყრდნობა **საქართველოს მთავრობის N437 დადგენილებას**, რაც უზრუნველყოფს რეფერირების პროცედურების ეფექტურ მუშაობას.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებისა და დოკუმენტური მტკიცებულებების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში შექმნილია სისტემური, სამართლებრივ ნორმებზე დაფუძნებული გარემო, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების დაცვას, მათ მონაწილეობას სასკოლო ცხოვრებაში და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და სრულად გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან.

სკოლა მკაცრად იცავს მოსწავლის კანონიერ უფლებებს, რაც რეგულირდება **სკოლის შინაგანაწესით (2025-2026 სასწავლო წელი)**. შინაგანაწესის პირველი მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, დოკუმენტი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის და განთავსებულია ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას (სკოლის ორივე სართულზე), რაც უზრუნველყოფს პროცესის მაქსიმალურ გამჭვირვალობას.

რეგულაციების გაზიარება სასკოლო საზოგადოებისთვის ხორციელდება სისტემურად. შინაგანაწესის პირველი მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტების თანახმად, დამრიგებლები ვალდებულნი არიან სასწავლო წლის დასწყისშივე გააცნონ დოკუმენტი მოსწავლეებსა და მშობლებს, რაც ასევე დასტურდება მშობელთან გაფორმებული **ხელშეკრულების (მაგ: ხელშეკრულება N2-18, 15.09.2025)** მე-11 მუხლით, სადაც მშობელი ხელმოწერით ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს.

პერსონალის ნაწილში, გამჭვირვალობის პრინციპი დაცულია დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობის დაწყებისთანავე. შინაგანაწესი წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მისი გაცნობა ხდება ხელშეკრულების დადებამდე, რაც დასტურდება სპეციალური **„შინაგანაწესის გაცნობის აღრიცხვის ფურცლით“**.

გარდა ამისა, სკოლაში მოქმედი პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკა, რომელიც ასახულია მოსწავლის მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულების მე-10 მუხლში, ხაზს უსვამს, რომ მონაცემთა დამუშავების წესები და პირობები ხელმისაწვდომია სკოლის

კანცელარიაში, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს სკოლის მზაობას, იყოს ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე სასკოლო საზოგადოების წინაშე.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში არსებული საინფორმაციო და სამართლებრივი გარემო უზრუნველყოფს რეგულაციების საყოველთაო ხელმისაწვდომობას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა უფლებების დაცვის მაღალ სტანდარტს და სასკოლო საზოგადოების წევრთა ინფორმირებულობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულებები.

სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო მომსახურების სამართლებრივ მოწესრიგებას **„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის** საფუძველზე. წარმოდგენილი **ხელშეკრულებით (მაგ: ხელშეკრულება N2-18, 15.09.2025)** ნათლად არის განსაზღვრული ხელშეკრულების საგანი (მუხლი 1) და სკოლის საქმიანობის სამართლებრივი სტატუსი (მუხლი 2). დოკუმენტი მკაფიოდ მიუთითებს, რომ სკოლა უზრუნველყოფს ზოგადი განათლების მიღებას დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.

ხელშეკრულებაში დეტალურად და გასაგებად არის გაწერილი თითოეული მხარის უფლება-მოვალეობები (მუხლი 3). კერძოდ, სკოლის ვალდებულება უზრუნველყოს უსაფრთხო გარემო და აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, ასევე მშობლის ვალდებულება — ითანამშრომლოს სკოლასთან და დაიცვას შინაგანაწესი. ხელშეკრულება ასევე მოიცავს მნიშვნელოვან დათქმებს პერსონალური მონაცემების დამუშავებისა (მუხლი 10) და ფორსმაჟორული გარემოებების შესახებ (მუხლი 8), რაც ზრდის პროცესის გამჭვირვალობას.

გარდა ძირითადი საგანმანათლებლო ხელშეკრულებისა, სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებულია **„ხელშეკრულება სახელმძღვანელოების უსასყიდლოდ დროებით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე“ (15.09.2025)**. აღნიშნულ დოკუმენტში მკაფიოდ არის გაწერილი პირობები, მოქმედების ვადა, სახელმძღვანელოების მოვლა-პატრონობის წესები და მხარეთა პასუხისმგებლობა ზიანის მიყენების შემთხვევაში. ხელშეკრულებას თან ერთვის **„მიღება-ჩაბარების აქტი“**, სადაც ფიქსირდება თითოეული წიგნის მდგომარეობა ქულების მიხედვით, რაც გამორიცხავს გაუგებრობას მხარეებს შორის.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებისა და დოკუმენტური მასალის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სახელშეკრულებო სისტემა არის სრულყოფილი, ეფუძნება ურთიერთპატივისცემის პრინციპს და სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, რაც საიმედოდ იცავს მოსწავლისა და მისი კანონიერი წარმომადგენლის ინტერესებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი მოსწავლეთა თვითმმართველობის თარიღის განსაზღვრაზე;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის საარჩევნო კომისიის ოქმი;
- მშობელსა და სკოლას შორის დადებული ხელშეკრულებები;
- ხელშეკრულებები სახელმძღვანელოების გადაცემის შესახებ.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე, მკაფიო და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები.

სკოლაში მოქმედებს დირექტორის **2025 წლის 15 დეკემბრის N2-110 ბრძანებით** დამტკიცებული „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმი“. დოკუმენტი დეტალურად აღწერს პირველ კლასში ჩარიცხვის ოთხეტაპიან პროცედურას, რეგისტრაციის ვადებსა და აუცილებელი დოკუმენტაციის ნუსხას. მექანიზმში განსაკუთრებული ყურადღება

ეთმობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეთა რეგისტრაციასა და მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე მათ ჩარიცხვას, რაც სრულად შეესაბამება ინკლუზიური განათლების პრინციპებს.

საფეხურის დაძლევის ნაწილში, მექანიზმი მკაფიოდ განსაზღვრავს აკადემიურ ბარიერს: დაწყებითი და საბაზო საფეხურები დაძლეულად ითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის საერთო ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის **5.0 ან მეტი**, რაც აძლევს მას სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელების უფლებას.

მოსწავლის სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის პროცედურები რეგულირდება გამჭვირვალე კრიტერიუმებით. მექანიზმი ითვალისწინებს სტატუსის შეჩერებას 45-დღიანი ზედიზედ გაცდენის, საზღვარგარეთ გამგზავრების ან მშობლის განცხადების საფუძველზე. აღსანიშნავია სკოლის პრევენციული როლი: ზედიზედ მე-10 და მე-20 სასწავლო დღის გაცდენის შემთხვევაში, დამრიგებელი ვალდებულია მოამზადოს წერილობითი ანგარიში და პროცესში ჩართოს სოციალური მუშაკი, რაც მოსწავლის განათლების უფლების დაცვის დამატებითი გარანტიაა.

მობილობისა და სტატუსის შეწყვეტის საკითხები ასევე მოწესრიგებულია მოქმედი კანონმდებლობის (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N04/ნ ბრძანება) შესაბამისად. სკოლა უზრუნველყოფს ყველა ადმინისტრაციული აქტის დროულ ასახვას **ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (EMIS)**, რაც ადასტურებს პროცესის ადმინისტრაციულ გამართულობასა და საჯაროობას.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში არსებული მექანიზმები არის სამართლებრივად გამართული, ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოებისთვის და უზრუნველყოფს მოსწავლის სტატუსთან დაკავშირებული ყველა პროცედურის ობიექტურ და გამჭვირვალე წარმართვას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლა პრაქტიკაში ეფექტურად უზრუნველყოფს მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმების კანონმდებლობასთან შესაბამის განხორციელებას.

მოსწავლეთა მიღებისა და სტატუსის მართვის პროცესები ხორციელდება სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების საფუძველზე და ეფუძნება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს, ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის შესაბამის კანონქვემდებარე აქტებს, მათ შორის №04/ნ ბრძანებით დადგენილ წესს.

ფაქტობრივი გარემოებების ანალიზით დგინდება, რომ სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის დაგეგმვა ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული პარამეტრების შესაბამისად: სკოლის დირექტორის 2025 წლის თებერვლის №2-15 ბრძანებით განსაზღვრულია 2025-2026 სასწავლო წლისთვის პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა (50 მოსწავლე), მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ლიმიტი (5 მოსწავლე), რაც შეესაბამება მოქმედ რეგულაციას.

მოსწავლეთა ჩარიცხვის პროცედურები პრაქტიკაში ხორციელდება მშობლის განცხადებისა და კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების საფუძველზე. აღნიშნულის მაგალითად წარმოდგენილია 2025 წლის 10 ოქტომბრის №2-87 ბრძანება, რომლის საფუძველზეც განხორციელდა მოსწავლის ჩარიცხვა V კლასში შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის შედეგად.

მოსწავლეთა მობილობისა და სტატუსის შეწყვეტის პროცესებიც მიმდინარეობს გამჭვირვალედ და რეგულაციების სრული დაცვით. კერძოდ, 2025 წლის 12 ნოემბრის №2-96 ბრძანებით განხორციელდა მოსწავლის ამორიცხვა IV კლასიდან სხვა სკოლიდან მიღებული მოთხოვნის/მშობლის მიმართვის საფუძველზე, რაც ადასტურებს ადმინისტრაციული პროცედურების კანონიერ და თანმიმდევრულ შესრულებას.

ამასთან, სკოლის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები შეიცავს გასაჩივრების წესსა და ვადებზე მითითებას (მათ შორის გურჯაანის რაიონულ სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას), რაც უზრუნველყოფს მოსწავლისა და მისი კანონიერი წარმომადგენლის უფლებების სამართლებრივ გარანტიებს.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით დგინდება, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა კონტინგენტის მართვის პროცესების კანონიერებას, გამჭვირვალობასა და ადმინისტრაციულ გამართულობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლა უზრუნველყოფს სკოლის მიერ შეთავაზებული მომსახურების სახეების, საგანმანათლებლო პროგრამების, შიდა პოლიტიკისა და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაციის საჯარო ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული მხარისათვის.

სკოლაში დანერგილია ინფორმაციის გავრცელების მრავალარხიანი სისტემა, რომელიც მოიცავს როგორც ფიზიკურ, ასევე ციფრულ სივრცეს და უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობას. სკოლის მიერ შეთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სერვისების შესახებ ინფორმაცია სრულად არის ასახული 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოს მიერ (ოქმი №2, 10.09.2025) და განთავსებულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილას, რაც უზრუნველყოფს მის ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის.

ამასთან, სკოლა აქტიურად იყენებს ციფრულ საკომუნიკაციო არხებს, მათ შორის ოფიციალურ ვებგვერდსა და სოციალურ ქსელებს, სადაც სისტემატურად ახლდება ინფორმაცია სკოლის საქმიანობის, სერვისებისა და მიმდინარე სიახლეების შესახებ, რაც უზრუნველყოფს მშობლებისა და თემის დისტანციურ ინფორმირებულობას.

მოსწავლის ქცევის წესები და ეთიკური ნორმები, რომლებიც განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესით (2025-2026 სასწავლო წელი), საჯაროდ ხელმისაწვდომია და თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი საკლასო ოთახებსა და სკოლის სივრცეში, რაც ხელს უწყობს მოსწავლეების მიერ ქცევითი მოლოდინების მკაფიო გააზრებასა და დაცვას.

ფინანსური გამჭვირვალობის კუთხით დგინდება, რომ სკოლა, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ახორციელებს სახელმწიფო ვაუჩერულ დაფინანსებაზე დაფუძნებულ საგანმანათლებლო მომსახურებას. მიუხედავად იმისა, რომ დამატებითი ფასიანი მომსახურება არ არის წარმოდგენილი, ფინანსური საქმიანობის შესახებ ინფორმაცია წარდგენილია სამეურვეო საბჭოს წინაშე, რაც ასახულია საბჭოს სამუშაო დოკუმენტაციაში (ოქმი №2, საკითხი №1) და უზრუნველყოფს ანგარიშვალდებულების პრინციპის დაცვას.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით დგინდება, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში შექმნილია ღია და გამჭვირვალე საინფორმაციო გარემო, რომელიც უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული პირისთვის დროულ, სრულ და ხელმისაწვდომ ინფორმაციას სკოლის საქმიანობის ყველა მნიშვნელოვან მიმართულებაზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლა უზრუნველყოფს მის მიერ გავრცელებული ინფორმაციის კანონმდებლობასთან შესაბამისობას, გამჭვირვალობას, განახლებადობასა და არადისკრიმინაციულ ხასიათს.

სკოლის მიერ პროგრამების, სერვისების, აქტივობებისა და რესურსების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია ეფუძნება 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმას, რომელიც შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოს მიერ (ოქმი №2, 10.09.2025), და წარმოადგენს ინფორმაციის სანდოობისა და კანონიერების ძირითად საფუძველს. აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომია როგორც სკოლის სივრცეში განთავსებული საინფორმაციო საშუალებებით, ასევე ციფრული პლატფორმების — ოფიციალური პორტალისა და სოციალური ქსელების მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს მისი ფართო გავრცელებას.

ინფორმაციის გავრცელების პროცესში დაცულია თანასწორობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპი. სკოლის შინაგანაწესი (2025-2026 სასწავლო წელი) განსაზღვრავს დისკრიმინაციის აკრძალვას და ადგენს, რომ ნებისმიერი სახის ინფორმაცია უნდა იყოს ნეიტრალური და თანაბრად ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის, რაც უზრუნველყოფს სამართლიან გარემოს როგორც მოსწავლეებისთვის, ისე მშობლებისა და საზოგადოებისათვის.

სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციის სისტემურ განახლებას. შინაგანაწესის პირველი მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, რეგულაციებში განხორციელებული ცვლილებები სასკოლო საზოგადოებას უნდა ეცნობოს არაუგვიანეს 14 კალენდარული დღის ვადაში, ხოლო სამეურვეო საბჭოს საქმიანობა (ოქმი №2) უზრუნველყოფს მიმდინარე საკითხების პერიოდულ განხილვასა და შესაბამისი ინფორმაციის დროულ გასაჯაროებას.

ამასთან, ინფორმაციის გავრცელებისას დაცულია პერსონალური მონაცემების დაცვის მოთხოვნები. მოსწავლესთან გაფორმებული ხელშეკრულება (15.09.2025) ითვალისწინებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვას, რაც უზრუნველყოფს კონფიდენციალური და სენსიტიური ინფორმაციის სათანადო დაცვას.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით დგინდება, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში ჩამოყალიბებულია სამართლებრივად გამართული და ეთიკურად სწორად ორგანიზებული საკომუნიკაციო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების ობიექტურ, სრულ და არამიკერძოებულ ინფორმირებულობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის გვერდი სკოლების პორტალსა და სოციალურ ქსელში;
- შინაგანაწესი;

- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმი;
- ბრძანება პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვრის შესახებ;
- მობილობის ამსახველი დოკუმენტაცია

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში დანერგილია მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის სისტემური და ეფექტიანი მექანიზმი.

სკოლაში მოქმედებს დირექტორის 2025 წლის 15 დეკემბრის №2-110 ბრძანებით დამტკიცებული „მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი“, რომელიც მოიცავს როგორც პირველკლასელთა, ისე სხვა სკოლიდან მობილობით გადმოსული მოსწავლეების მხარდაჭერის პროცესს და განსაზღვრავს ადაპტაციის ეტაპობრივ, მიზანმიმართულ ღონისძიებებს.

მექანიზმის ფარგლებში პირველკლასელთა ადაპტაცია ხორციელდება წინასწარ დაგეგმილი კომპლექსური აქტივობებით, რომლებიც მოიცავს როგორც სასწავლო პროცესის დაწყებამდე, ისე საწყის პერიოდში განხორციელებულ ღონისძიებებს. სკოლა უზრუნველყოფს

წინასასკოლო ეტაპზე მოსწავლეთა და მშობლების ინფორმირებასა და გარემოსთან გაცნობას (ღია კარის დღეები, სკოლის დათვალიერება, ერთობლივი აქტივობები), ხოლო სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე ხდება მოსწავლეთა ეტაპობრივი ჩართვა სასკოლო ცხოვრებაში, ინფრასტრუქტურის გაცნობა და დამოუკიდებლობის წახალისება. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ კეთილდღეობას — საწყის ეტაპზე არ გამოიყენება დამატებითი დატვირთვა (საშინაო დავალებები), ხოლო სასწავლო გარემო ორგანიზებულია ისე, რომ მოსწავლემ შეძლოს საკუთარი ემოციების გამოხატვა და უსაფრთხო სივრცეში ადაპტაცია.

სხვა სკოლიდან მობილობით გადმოსული მოსწავლეებისათვის განსაზღვრულია ადაპტაციის მხარდაჭერის მიზნობრივი ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს მათ სწრაფ სოციალურ და სასწავლო ინტეგრაციას. დამრიგებელი და პედაგოგები უზრუნველყოფენ მოსწავლის ჩართვას კლასში, კომუნიკაციას თანატოლებთან, საჭიროების შემთხვევაში კი ახორციელებენ დაკვირვებასა და უკუკავშირის შეგროვებას, მათ შორის მოსწავლის კმაყოფილების შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით. სასწავლო პროცესში გამოიყენება მხარდამჭერი პედაგოგიური მიდგომები, რომლებიც გამორიცხავს ნეგატიურ შეფასებას ადაპტაციის საწყის ეტაპზე და ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში.

მოსწავლის ადაპტაციის პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მშობელთა ჩართულობას. სკოლას შემუშავებული აქვს რეკომენდაციები მშობლებისთვის, რაც მოიცავს ბავშვის მხარდაჭერის, დღის რეჟიმის ორგანიზებისა და ფიზიკური აქტივობის მნიშვნელობის საკითხებს. ამასთან, წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს მშობლების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც აისახება მშობელთა კრებების ოქმებში (მაგალითად, ოქმი №6, 19.06.2025), სადაც განხილულია საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები, მათ შორის მეორე უცხო ენის არჩევა მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე დგინდება, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში შექმნილია მოსწავლეზე ორიენტირებული, მზრუნველი და მხარდამჭერი გარემო, სადაც ადაპტაციის პროცესები არის წინასწარ დაგეგმილი, სისტემური და უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის სასწავლო გარემოში ეფექტიან და უმტკივნეულო ინტეგრაციას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან უზრუნველყოფს მოსწავლეთა სასწავლო გარემოსთან ეფექტიან ადაპტაციას, რაც დასტურდება როგორც მოქმედი რეგულაციებით, ისე პრაქტიკაში განხორციელებული ღონისძიებებით.

სკოლაში დანერგილია ადაპტაციის ხელშემწყობი სისტემური მიდგომა, რომელიც მოიცავს მოსწავლის როგორც ემოციურ, ისე სოციალურ და სასწავლო ინტეგრაციას. სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე პირველკლასელებისთვის იქმნება პოზიტიური და კეთილგანწყობილი გარემო, სადაც დამრიგებლები უზრუნველყოფენ მოსწავლეთა მხარდამჭერ სივრცეს, საკლასო ოთახების თემატურ მოწყობასა და ინტერაქციული აქტივობების გამოყენებას, რაც ხელს უწყობს სკოლისადმი დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას.

ადაპტაციის საწყის ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სასკოლო სივრცის გაცნობას. პირველივე კვირაში მოსწავლეები ეცნობიან სკოლის ინფრასტრუქტურას, მათ შორის სამედიცინო კაბინეტის, ბიბლიოთეკის, კომპიუტერული ლაბორატორიისა და სხვა მნიშვნელოვანი სივრცეების განლაგებას, რაც ზრდის მათ ორიენტაციის უნარს და აძლიერებს უსაფრთხოების განცდას.

მოსწავლეთა სოციალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, დამრიგებლები მოსწავლეებთან ერთად მონაწილეობითი პრინციპით განსაზღვრავენ საკლასო ქცევის წესებს, რომლებიც თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი სასწავლო სივრცეში. ამასთან, მოსწავლეები ადრეულ ეტაპზევე ერთვებიან საგნის მასწავლებლებთან კომუნიკაციაში, რაც ამარტივებს მათ ადაპტაციას ახალ სასწავლო გარემოსა და რეჟიმთან.

სკოლა უზრუნველყოფს მობილობით გადმოსული მოსწავლეების მხარდაჭერასაც. დამრიგებლები და პედაგოგები ხელს უწყობენ მათ ინტეგრაციას როგორც საკლასო, ისე არაფორმალურ გარემოში, უზრუნველყოფენ ჩართვას ციფრულ საკომუნიკაციო არხებში, აცნობენ სკოლის შიდა რეგულაციებს და აქტიურად რთავენ სხვადასხვა აქტივობაში, რაც ამცირებს სოციალური ადაპტაციის სირთულეებს და აჩქარებს ახალი გარემოსთან შეგუების პროცესს.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით დგინდება, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში შექმნილია მოსწავლეზე ორიენტირებული, მხარდამჭერი და უსაფრთხო სასწავლო გარემო, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ფსიქო-სოციალური ადაპტაციის ეფექტიანობას და მათ აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში დანერგილია მოსწავლეთა აკადემიური მხარდაჭერისა და კონსულტირების ეფექტიანი მექანიზმები, რომლებიც ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის აკადემიური პროგრესის უზრუნველყოფასა და სწავლის შედეგების გაუმჯობესებაზე.

აკადემიური მხარდაჭერის სისტემა ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობასა და 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმას და მოიცავს მოსწავლის საჭიროებებზე მორგებულ მრავალმხრივ ღონისძიებებს. სკოლა უზრუნველყოფს სემესტრული შეფასების ამაღლების

შესაძლებლობას დადგენილი წესისა და ვადების შესაბამისად, რაც რეგულირდება გამჭვირვალე კრიტერიუმებით და მოსწავლეს აძლევს დამატებით შესაძლებლობას საკუთარი ცოდნის წარმოჩენისა და შედეგების გაუმჯობესებისთვის.

სკოლაში ჩამოყალიბებულია მოსწავლის ინდივიდუალური მხარდაჭერის პრაქტიკა, რომელიც მოიცავს კონსულტირებასა და საგნობრივი სირთულეების დაძლევის ხელშეწყობას. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ აქვს საშემოდგომო გამოცდების ჩატარების უახლოესი გამოცდილება, მოსწავლეთა მიერ საგნების დაძლევის მაღალი მაჩვენებლის გამო, დირექცია და პედაგოგიური პერსონალი გამოხატავენ მზადყოფნას საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყონ დამატებითი ინდივიდუალური კონსულტაციები და მიზნობრივი მხარდაჭერა.

აკადემიური პროცესის გამჭვირვალობასა და ეფექტიან მართვას უზრუნველყოფს ინფორმაციული მხარდაჭერის მექანიზმებიც. სამეურვეო საბჭოს სამუშაო გეგმის მიხედვით (ოქმი №2, 10.09.2025), სკოლა სისტემატურად ახორციელებს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ანალიზსა და რეფლექსიას, ხოლო მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებით (15.09.2025, მუხლი 3.1.3) სკოლა იღებს ვალდებულებას, რეგულარულად მიაწოდოს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური პროგრესის შესახებ, რაც უზრუნველყოფს მშობლის, მოსწავლისა და სკოლის კოორდინირებულ თანამშრომლობას.

სკოლა ასევე უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა მხარდაჭერას ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებისა და განხორციელების გზით, რაც ასახულია სამეურვეო საბჭოს სამუშაო პროცესში (III სხდომა) და მიუთითებს ინკლუზიური განათლების პრინციპების დაცვაზე.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით დგინდება, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში შექმნილია მოსწავლეზე ორიენტირებული აკადემიური მხარდაჭერის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში ჩართულობის გაძლიერებას, შედეგების გაუმჯობესებასა და აკადემიური ჩამორჩენის პრევენციას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლა მოსწავლეს უზრუნველყოფს გონივრულ ვადებში ეფექტიანი ადმინისტრაციული მხარდაჭერით, რაც მიმართულია მისი უფლებების რეალიზებისა და სასწავლო პროცესში სრულფასოვანი ჩართულობის უზრუნველყოფისკენ.

სკოლაში ადმინისტრაციული მხარდაჭერის მექანიზმები ეფუძნება როგორც შიდა რეგულაციებს, ისე პრაქტიკაში დანერგილ პროცესებს. ადმინისტრაცია და პედაგოგიური პერსონალი აქტიურად უზრუნველყოფენ მოსწავლეთა ინფორმაციულ და ტექნიკურ მხარდაჭერას სხვადასხვა საგანმანათლებლო და შემოქმედებით აქტივობაში ჩართვის პროცესში. კერძოდ, კლასის დამრიგებლები უწევენ კონსულტაციას მოსწავლეებს საგანმანათლებლო პროექტებში, ოლიმპიადებსა და სხვა აქტივობებში მონაწილეობისათვის, რაც ხელს უწყობს მათი შესაძლებლობების განვითარებასა და თვითრეალიზაციას.

ადმინისტრაციული სერვისების ოპერატიულობა დასტურდება საქმისწარმოების პრაქტიკით. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლის სტატუსთან დაკავშირებული დოკუმენტაციის დროულ გაცემას და რეაგირებს მშობელთა განცხადებებზე შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემით (მაგალითად, №2-87; №2-96 ბრძანებები), რაც ასახულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (EMIS) და მიუთითებს პროცესების ორგანიზებულობასა და სამართლებრივ სისწორეზე.

მოსწავლის უფლებების რეალიზების ხელშეწყობა უზრუნველყოფილია შიდა ნორმატიული აქტებით. სკოლის შინაგანაწესი და დირექტორის 2025 წლის 15 დეკემბრის №2-110 ბრძანებით დამტკიცებული მექანიზმები ქმნის სამართლებრივ საფუძველს მოსწავლის ადმინისტრაციული მხარდაჭერისთვის და განსაზღვრავს შესაბამის პროცედურებს. აღნიშნული დოკუმენტები უზრუნველყოფს მოსწავლის ინფორმირებულობას საკუთარი უფლებების შესახებ და მის წვდომას სკოლის რესურსებზე, მათ შორის ბიბლიოთეკასა და კომპიუტერულ ინფრასტრუქტურაზე, სასწავლო მიზნებისთვის.

ადმინისტრაციული მხარდაჭერის მნიშვნელოვანი კომპონენტია კომუნიკაციის გამჭვირვალობა. მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებით (15.09.2025, მუხლი 3.1.3) სკოლა იღებს ვალდებულებას, სისტემატურად მიაწოდოს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და დასწრების შესახებ, რაც უზრუნველყოფს მშობლის ჩართულობას და ხელს უწყობს მოსწავლის ინტერესების დაცვას.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით დგინდება, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში ადმინისტრაციული მხარდაჭერის მექანიზმები არის გამართული, ოპერატიული და მოსწავლეზე ორიენტირებული, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების ეფექტიან რეალიზებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლა უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას კანონმდებლობით დადგენილი წესისა და შიდა რეგულაციების შესაბამისად.

სკოლაში აღნიშნული მიმართულება უზრუნველყოფილია როგორც სამართლებრივი, ისე პრაქტიკული მექანიზმებით. დირექტორის 2025 წლის 15 დეკემბრის №2-110 ბრძანებით დამტკიცებული მექანიზმები ქმნის საფუძველს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერისთვის და უზრუნველყოფს არაფორმალური განათლებისა და შემოქმედებითი აქტივობების სისტემურ ორგანიზებას.

მოსწავლეთა ინიციატივების რეალიზებაში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება მოსწავლეთა თვითმმართველობას, რომელიც ფუნქციონირებს აქტიურად და უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინტერესების წარმოდგენასა და სხვადასხვა აქტივობის ინიცირებას. წარმოდგენილი ოქმის (№1, 13.10.2025) მიხედვით, თვითმმართველობა კოორდინაციას უწევს მოსწავლეთა მიერ შექმნილი კლუბების საქმიანობას, რაც ქმნის პლატფორმას მოსწავლეთა ინტერესებზე დაფუძნებული არაფორმალური აქტივობების განვითარებისთვის.

არაფორმალური აქტივობების განხორციელებაში აქტიურად არიან ჩართული პედაგოგები და სკოლის პერსონალი, რომლებიც თავიანთი პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა საგანმანათლებლო და შემოქმედებით ღონისძიებებს. მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმის (დამტკიცებული 2025 წლის №2-110 ბრძანებით) ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები, როგორიცაა სპორტული და შემოქმედებითი ღონისძიებები, ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას, სოციალური უნარების განვითარებასა და ინიციატივების მხარდაჭერას.

სკოლა უზრუნველყოფს მშობელთა ჩართულობას არაფორმალურ აქტივობებში. მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებით (15.09.2025, მუხლი 3.2.5) განსაზღვრულია მშობლის მონაწილეობა სკოლის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში, რაც აძლიერებს სასკოლო საზოგადოების ერთიანობას და ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტივობების მხარდაჭერას.

ამასთან, სკოლის შინაგანაწესი (2025-2026 სასწავლო წელი) განსაზღვრავს მოსწავლეთა წახალისების ფორმებს, მათ შორის მადლობის გამოცხადებას, სიგელით ან ფასიანი საჩუქრით დაჯილდოებას, რაც დამატებით სტიმულს ქმნის მოსწავლეთა აქტიური ჩართულობისა და ინიციატივების გამოვლენისთვის.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით დგინდება, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში შექმნილია მოსწავლეზე ორიენტირებული, მხარდამჭერი გარემო, სადაც უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ინიციატივების წახალისება, არაფორმალური აქტივობების განვითარება და მათი რეალიზება კვალიფიციური პედაგოგიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის პირობებში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში ჩამოყალიბებულია მოსწავლეთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის მიღებისა და მისი საგანმანათლებლო მომსახურების გაუმჯობესებისთვის გამოყენების სამართლებრივი და პროცედურული საფუძვლები.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლა იმყოფება პირველადი ავტორიზაციის რეჟიმში, წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს სკოლის მზაობას, მართოს სასწავლო პროცესი დაინტერესებულ მხარეთა ინტერესების გათვალისწინებით და უზრუნველყოს უკუკავშირის სისტემური გამოყენება.

სკოლაში განსაზღვრულია უკუკავშირის მიღების კონკრეტული ინსტრუმენტები. დირექტორის 2025 წლის 15 დეკემბრის №2-110 ბრძანებით დამტკიცებული „მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმის“ დანართი №1 მოიცავს მოსწავლეთა კმაყოფილების შეფასების კითხვარს, რომელიც იძლევა შესაძლებლობას შეფასდეს მოსწავლეთა დამოკიდებულება სასწავლო გარემოს, პედაგოგიური პროცესისა და თანატოლებთან ურთიერთობის მიმართ და წარმოადგენს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების საფუძველს.

უკუკავშირის გამოყენება გადაწყვეტილების მიღების პროცესში დასტურდება პრაქტიკული მაგალითებით. კერძოდ, მე-4 კლასის მშობელთა კრების ოქმი (№6, 19.06.2025) მიუთითებს, რომ სკოლამ მეორე უცხოური ენის არჩევის პროცესში გაითვალისწინა მშობელთა და მოსწავლეთა ინტერესები და მიღებული გადაწყვეტილება ინტეგრირდა სასწავლო პროცესში, რაც ასახავს უკუკავშირზე დაფუძნებულ მართვის მიდგომას.

უკუკავშირის მიღების ოფიციალური არხები განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესით (2025-2026 სასწავლო წელი), რომლის 22-ე მუხლი არეგულირებს განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესს და უზრუნველყოფს დაინტერესებულ პირთა შესაძლებლობას, მიმართონ სკოლას და მიიღონ შესაბამისი რეაგირება.

ამასთან, სამეურვეო საბჭოს საქმიანობა (ოქმი №2, 10.09.2025) მოიცავს სასწავლო წლის ბოლოს სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასებას, რაც გულისხმობს მიღებული გამოცდილებისა და უკუკავშირის ანალიზს და ქმნის საფუძველს შემდგომი გაუმჯობესებისთვის.

სკოლის მართვაში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა მონაწილეობაც. მოსწავლეთა თვითმმართველობის ჩართულობა, მათ შორის დისციპლინურ კომიტეტსა და სამეურვეო საბჭოსთან თანამშრომლობა (ოქმი №1, 13.10.2025), ქმნის დამატებით მექანიზმს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებისთვის და აძლიერებს მონაწილეობის პრინციპს.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით დგინდება, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში ჩამოყალიბებულია უკუკავშირის მიღებისა და მისი გამოყენების სისტემური მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის განვითარებას და სასკოლო საზოგადოების ინტერესებზე ორიენტირებულ მართვას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი;
- მშობელთა კრების ოქმი მეორე უცხო ენის არჩევაზე

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება, რომელიც ხორციელდება როგორც სასწავლო პროცესში ინტეგრირებული, ისე პრაქტიკულ აქტივობებზე დაფუძნებული მიდგომით.

კარიერული ორიენტაციის მიმართულება სკოლაში სისტემურად არის ჩართული სადამრიგებლო საქმიანობაში. შინაგანაწესის (2025-2026 სასწავლო წელი) შესაბამისად, დამრიგებლები გეგმავენ და ახორციელებენ მიზნობრივ აქტივობებს, რომლებიც მოსწავლეებს აცნობს სხვადასხვა პროფესიის სპეციფიკასა და შრომით გარემოს. აღნიშნულის მაგალითია საგანმანათლებლო ვიზიტები, მათ შორის სოფლის ბიბლიოთეკაში განხორციელებული აქტივობა, სადაც მოსწავლეები პრაქტიკულად ეცნობიან პროფესიულ საქმიანობას და მონაწილეობენ შესაბამის შემეცნებით პროცესებში.

სკოლა უზრუნველყოფს პროფესიული განათლების პოპულარიზაციასაც. პროფორიენტაციის მომსახურების ფარგლებში განხორციელებული ვიზიტები პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მათ შორის კაჭრეთის პროფესიულ კოლეჯში,

მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას გაეცნონ სხვადასხვა პროფესიულ პროგრამას, ინფრასტრუქტურასა და სწავლის პირობებს. მიუხედავად იმისა, რომ კოლეჯთან ოფიციალური მემორანდუმი არ არის გაფორმებული, სკოლა აქტიურად უწყობს ხელს მოსწავლეთა პროფესიულ განათლებაში ჩართვას, რაც დასტურდება კურსდამთავრებულთა აღნიშნულ მიმართულებაზე გადასვლის პრაქტიკით.

მოსწავლეთა ინფორმირებულობა უზრუნველყოფილია სკოლის პერსონალის აქტიური ჩართულობით. დამრიგებლები და საგნის მასწავლებლები სისტემატურად აწვდიან მოსწავლეებს ინფორმაციას შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და საგანმანათლებლო შესაძლებლობების შესახებ, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის მათი შემდგომი საგანმანათლებლო არჩევანის პროცესში.

ამასთან, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინდივიდუალურ კონსულტირებას საგანმანათლებლო ტრაექტორიის დაგეგმვის პროცესში. დირექტორის 2025 წლის 15 დეკემბრის №2-110 ბრძანებით დამტკიცებული „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმი“ ითვალისწინებს მოსწავლეთა მხარდაჭერას შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებისას და ქმნის საფუძველს მათ ინფორმირებულ არჩევანზე ორიენტირებული განვითარებისათვის.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით დგინდება, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლა საკუთარი რესურსების ფარგლებში უზრუნველყოფს მოსწავლეთა კარიერული ორიენტაციისა და პროფესიული განვითარების მხარდაჭერას, რაც ხელს უწყობს მათი ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამის საგანმანათლებლო გზის შერჩევას.

სასურველია, სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლამ კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით არსებული პრაქტიკა გააძლიეროს სისტემურობისა და მდგრადობის კუთხით, კერძოდ: გააფორმოს თანამშრომლობის მემორანდუმები პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რაც უზრუნველყოფს აქტივობების რეგულარულობასა და მდგრადობას; დანერგოს მოსწავლეთა კარიერული ინტერესებისა და საჭიროებების სისტემური კვლევის და შედეგების ანალიზის მექანიზმები; განსაზღვროს კარიერული ორიენტაციის ღონისძიებების ეფექტიანობის შეფასების ინდიკატორები, რათა მიღებული შედეგები გამოყენებულ იქნეს შემდგომი დაგეგმვისა და გაუმჯობესებისთვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით

სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა და მათი კანონიერი წარმომადგენლების სისტემურ, სანდო და განახლებულ ინფორმირებას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

სკოლაში საინფორმაციო-საკონსულტაციო მხარდაჭერა ხორციელდება მრავალმხრივი და მიზნობრივი აქტივობების საშუალებით. წარმოდგენილი მასალები ადასტურებს, რომ სკოლა აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებასთან და ორგანიზაციასთან მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობის მიზნით. აღნიშნულის მაგალითია პროექტ „ჩვენი ჯარის“ ფარგლებში განხორციელებული საინფორმაციო შეხვედრა, რომლის დროსაც მოსწავლეებმა მიიღეს ამომწურავი ინფორმაცია სამხედრო კარიერის შესაძლებლობებისა და შესაბამის საგანმანათლებლო გზების შესახებ, რაც ხელს უწყობს მათ პროფესიულ თვითგამორკვევას.

მოსწავლეთა და მშობელთა ინფორმირება სისტემურად ხორციელდება საგანმანათლებლო საფეხურების დასრულების ეტაპზე. სკოლის ადმინისტრაცია და დამრიგებლები უზრუნველყოფენ ინფორმაციის მიწოდებას როგორც უმაღლესი, ისე პროფესიული განათლების შესაძლებლობების შესახებ. ამ პროცესს საფუძვლად უდევს დირექტორის 2025 წლის 15 დეკემბრის №2-110 ბრძანებით დამტკიცებული „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმი“, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა კონსულტირებას მათი საგანმანათლებლო ტრაექტორიის დაგეგმვის პროცესში.

ინფორმაციის მიწოდება ხორციელდება როგორც ინდივიდუალური კონსულტაციების, ისე ჯგუფური კომუნიკაციის ფორმატში — მშობელთა კრებებისა და ციფრული პლატფორმების მეშვეობით. მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულების (15.09.2025, მუხლი 3.1.6) შესაბამისად, სკოლა იღებს ვალდებულებას ხელი შეუწყოს მოსწავლის მოქალაქეობრივი ცნობიერების განვითარებას, რაც მოიცავს მისი მომავალი პროფესიული არჩევანის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდას.

ამასთან, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინფორმირებას პრაქტიკული გამოცდილების გზით. პროფესიული სასწავლებლების მონახულება (მათ შორის კაჭრეთის პროფესიული კოლეჯი) საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, მიიღონ რეალისტური წარმოდგენა სხვადასხვა პროფესიის სპეციფიკასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია მათი შემდგომი არჩევანის პროცესში.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით დგინდება, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში ჩამოყალიბებულია ეფექტიანი საინფორმაციო-საკონსულტაციო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა და მათი კანონიერი წარმომადგენლების დროულ, ობიექტურ და მრავალმხრივ ინფორმირებულობას და ხელს უწყობს გააზრებული კარიერული გადაწყვეტილებების მიღებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში ჩამოყალიბებულია მომსახურების ხარისხის მართვისა და მისი უწყვეტი გაუმჯობესებისკენ მიმართული შიდა მექანიზმები.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლა იმყოფება პირველადი ავტორიზაციის პროცესში და ჯერ არ გააჩნია მრავალწლიანი შეფასების პრაქტიკა, წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის კომპონენტები ინტეგრირებულია როგორც შიდა რეგულაციებში, ისე მართვის პროცესებში.

სკოლაში განსაზღვრულია მომსახურების შეფასების ინსტრუმენტები. დირექტორის 2025 წლის 15 დეკემბრის №2-110 ბრძანებით დამტკიცებული „მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმის“ დანართი №1 წარმოადგენს მოსწავლეთა კმაყოფილების კვლევის სტრუქტურირებულ კითხვარს, რომლის გამოყენება უზრუნველყოფს მოსწავლეთა დამოკიდებულების შეფასებას სასწავლო გარემოსა და მომსახურების ხარისხის მიმართ და ქმნის საფუძველს შემდგომი გაუმჯობესებისთვის.

ხარისხის გაუმჯობესების ციკლი ასახულია სკოლის მმართველი ორგანოების საქმიანობაში. სამეურვეო საბჭოს სამუშაო გეგმა (ოქმი №2, 10.09.2025) ითვალისწინებს სასწავლო წლის ბოლოს სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების რეფლექსიას, რაც გულისხმობს მიღწეული შედეგების ანალიზს და შემდგომი დაგეგმვის პროცესში მათი გამოყენებას.

ამასთან, სკოლის მიერ სასწავლო გეგმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია შეფასების შედეგები. სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმის (№2, საკითხი №2) მიხედვით, 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის შემუშავებისას გამოყენებული იქნა წინა გამოცდილება და ეფექტიანობის შეფასების შედეგად გამოკვეთილი საკითხები, რაც მიუთითებს მონაცემებზე დაფუძნებული დაგეგმვის პრაქტიკის არსებობაზე.

მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების პროცესში სკოლა ითვალისწინებს დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირსაც. წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მათ შორის მე-4 კლასის მშობელთა კრების ოქმი (№6, 19.06.2025), ადასტურებს, რომ საგანმანათლებლო შეთავაზებების დაგეგმვა (მეორე უცხოური ენის არჩევა) განხორციელდა მშობელთა ინტერესებისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით დგინდება, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში დანერგილია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების შედეგებზე დაფუძნებულ დაგეგმვას და ქმნის საფუძველს მომსახურების ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესებისთვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კითხვარები;
- დამრიგებლის საქაღალდე.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში ჩამოყალიბებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეებთან მუშაობის სისტემური და მრავალკომპონენტიანი მექანიზმი.

სკოლაში აღნიშნული მიმართულება რეგულირდება დირექტორის 2025 წლის 15 დეკემბრის №2-110 ბრძანებით დამტკიცებული „სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციით“, რომელიც განსაზღვრავს სსსმ მოსწავლეთა იდენტიფიცირების, მხარდაჭერის, შეფასებისა და მონიტორინგის ეტაპობრივ პროცესს.

სსსმ მოსწავლეთა სტატუსის განსაზღვრა ხორციელდება როგორც ჩარიცხვის ეტაპზე, ისე სწავლების პროცესში გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე. პირველ კლასში ჩარიცხვისას მშობლის მიერ მითითებული ინფორმაციის საფუძველზე სკოლა მიმართავს შესაბამის მულტიდისციპლინურ გუნდს, ხოლო სწავლის პროცესში სირთულეების გამოვლენის შემთხვევაში ინიციატივა მოდის პედაგოგიური პერსონალისგან და მშობლის თანხმობით იწყება შეფასების პროცედურა. ამასთან, მოსწავლის პროგრესის საფუძველზე შესაძლებელია სტატუსის გადახედვაც, რაც მიუთითებს სისტემის მოქნილობასა და მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომაზე.

სკოლაში თითოეული სსსმ მოსწავლისთვის იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (ისგ), რომლის შემუშავება უზრუნველყოფილია განსაზღვრულ ვადაში — სწავლის დაწყებიდან ორი კვირის განმავლობაში. ისგ ჯგუფში ჩართულია ყველა შესაბამისი მხარე, მათ შორის მშობელი, სპეციალური მასწავლებელი, დამრიგებელი და საგნის მასწავლებლები, რაც უზრუნველყოფს მრავალმხრივ შეფასებასა და გადაწყვეტილებების კოლეგიურ მიღებას. ინდივიდუალური გეგმები მოიცავს მოსწავლის ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების დეტალურ ანალიზს, საგნობრივ მიზნებს, სწავლების სტრატეგიებსა და შესაბამის რესურსებს.

სწავლა-სწავლების პროცესში სკოლა იყენებს მრავალფეროვან მხარდაჭერის მექანიზმებსა და აკომოდაციებს, რომლებიც მოიცავს როგორც სასწავლო პროცესის ადაპტაციას (ინსტრუქციის მრავალმხრივი მიწოდება, ვიზუალური და აუდიო მასალების გამოყენება), ისე გარემო

პირობების მორგებასა და დროის მართვის ინდივიდუალიზაციას. საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეები სარგებლობენ დამატებითი სერვისებით, მათ შორის რესურს ოთახში ინდივიდუალური მუშაობითა და პირადი ასისტენტის მხარდაჭერით.

სსსმ მოსწავლეთა პროგრესის მონიტორინგი ხორციელდება სისტემურად. ისგ ჯგუფი სემესტრში მინიმუმ ორჯერ აფასებს გეგმის შესრულებას, ხოლო სკოლაში მოქმედი მონიტორინგის მექანიზმი უზრუნველყოფს წლიური შედეგების ანალიზს. ამასთან, სკოლა უზრუნველყოფს მშობლის რეგულარულ ინფორმირებას (არანაკლებ სამ თვეში ერთხელ), რაც ხელს უწყობს ოჯახისა და სკოლის კოორდინირებულ თანამშრომლობას.

კონფიდენციალობის დაცვის მიზნით, სსსმ მოსწავლეთა შესახებ ინფორმაცია მუშავდება შეზღუდული წვდომის პირობებში — პედაგოგიურ საბჭოზე მოსწავლე იდენტიფიცირდება მხოლოდ ინიციალებით, ხოლო დოკუმენტებზე წვდომა აქვთ მხოლოდ უშუალოდ პროცესში ჩართულ პირებსა და ადმინისტრაციას, რაც სრულად შეესაბამება პერსონალური მონაცემების დაცვის პრინციპებს.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით დგინდება, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში დანერგილია სსსმ მოსწავლეთა მხარდაჭერის კომპლექსური და ეფექტიანი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების პრინციპების რეალიზებას და თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ საგანმანათლებლო მომსახურებას.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობასა და მჭიდრო თანამშრომლობას.

სკოლაში ინკლუზიური განათლების მხარდაჭერის პროცესი ხორციელდება მულტიდისციპლინური მიდგომით. თითოეული სსსმ მოსწავლისთვის შექმნილია ინდივიდუალური სამუშაო ჯგუფი (ისგ ჯგუფი), რომლის შემადგენლობაში შედიან კლასის დამრიგებელი, სპეციალური მასწავლებელი, საგნის მასწავლებლები და მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი. წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მათ შორის ისგ ჯგუფის სხდომის ოქმები (მაგალითად, ოქმი №1, 10.10.2025), ადასტურებს ჯგუფის ფუნქციონირებასა და კოლეგიურ მუშაობას.

მოსწავლის განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება ინდივიდუალურ დაგეგმვასა და სისტემურ რეფლექსიას. ისგ ჯგუფის ფარგლებში ხორციელდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება, მათი პერიოდული გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში

ცვლილებების შეტანა. შეხვედრების წინასწარ განსაზღვრული გრაფიკი (სემესტრში მინიმუმ ორჯერ) უზრუნველყოფს მოსწავლის პროგრესის უწყვეტ მონიტორინგს და მიღებული შედეგების შეფასებას.

სწავლა-სწავლების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინტერვენციის ეფექტიანობას. სპეციალური მასწავლებლების მიერ შემუშავებული ინდივიდუალური ინტერვენციის გეგმები მოიცავს მოკლევადიან მიზნებს, სწავლების სტრატეგიებსა და აქტივობებს, რომლებიც მორგებულია მოსწავლის ძლიერ მხარეებსა და საჭიროებებზე. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს მიზნობრივ და შედეგზე ორიენტირებულ მხარდაჭერას.

ინკლუზიური განათლების პროცესს აქვს ინსტიტუციური მხარდაჭერაც. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა განიხილება როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი, მისი განხილვა ხდება სამეურვეო საბჭოზე (ოქმი №2, 10.09.2025), ხოლო დამტკიცება — პედაგოგიური საბჭოს მიერ, რაც მიუთითებს პროცესის ინტეგრირებაზე სკოლის მართვის სისტემაში.

მშობელთა ჩართულობა წარმოადგენს აღნიშნული პროცესის მნიშვნელოვან კომპონენტს. მშობელი არის ისგ ჯგუფის სრულუფლებიანი წევრი, მონაწილეობს გადაწყვეტილებების მიღებაში და ინფორმირებულია მოსწავლის პროგრესის შესახებ, რაც უზრუნველყოფს ოჯახისა და სკოლის კოორდინირებულ თანამშრომლობას.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით დგინდება, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში ჩამოყალიბებულია სსსმ მოსწავლეთა მხარდაჭერის თანამშრომლობითი და ეფექტიანი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ განვითარებასა და პროგრესს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსსმ პირთათვის საგანმანათლებო სერვისების მიწოდების რეგულაცია;
- ისგ ჯგუფის სხდომის ოქმები;
- სამეურვეოსა და პედსაბჭოს ოქმები ინდ. გეგმების შეთანხმება/დამტკიცებაზე;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- ინტერვენციის გეგმები

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლაში არ ხორციელდება დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა). **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლაში არ ხორციელდება დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლაში არ ხორციელდება დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

  - ■ შეესაბამება
  - ☐ მეტწილად შეესაბამება
  - ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
  - ☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხური	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხური	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებებისა და პრიორიტეტების სისტემურ გათვალისწინებას და ეფუძნება მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მიდგომას.

სკოლაში კურიკულუმის განვითარების პროცესი რეგულირდება დირექტორის 2025 წლის 15 დეკემბრის №2-110 ბრძანებით დამტკიცებული მეთოდოლოგიით, რომელიც განსაზღვრავს კურიკულუმის არსს, მის ფუნქციებს, პროცესებზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებსა და ჩართულ მხარეებს. დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმი წარმოადგენს სასწავლო პროცესის ძირითად ინსტრუმენტს, რომელიც ერთდროულად ასახავს სკოლის პრიორიტეტებს და უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების შეთანხმებას საერთო მიზნებზე.

კურიკულუმის განვითარების პროცესი ხორციელდება სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით. მეთოდოლოგიის შესაბამისად, პროცესში მონაწილეობენ მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები და დირექცია, ხოლო მათი ჩართულობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ინფორმირებით — იგი გულისხმობს თანამშრომლობას, უკუკავშირის გაზიარებასა და გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობას. ინფორმაციის გაცვლა და კომუნიკაცია ხორციელდება როგორც ციფრული არხებით (სკოლის საიტი, ელექტრონული ჟურნალი), ისე უშუალო კომუნიკაციის ფორმებით.

კურიკულუმის განვითარება წარმოადგენს უწყვეტ, ციკლურ პროცესს, რომელიც ეფუძნება წინა წლის გამოცდილებისა და მონაცემების ანალიზს. მეთოდოლოგია განსაზღვრავს განვითარების ეტაპებს — შემუშავება, დანერგვა, მონიტორინგი, შეფასება და რევიზია — რაც უზრუნველყოფს პროცესის სისტემურობასა და შედეგზე ორიენტირებულობას.

პროცესში მკაფიოდ არის განსაზღვრული პასუხისმგებლობები. კურიკულუმის დაგეგმვა ხორციელდება კათედრების დონეზე კოლეგიურად, ხოლო კათედრის თავმჯდომარეები და დირექტორის მოადგილე უზრუნველყოფენ მონაცემთა შეგროვებას, ანალიზს, სამუშაო შეხვედრების ორგანიზებასა და ხარისხის მართვას. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების მიღებას რეალურ მონაცემებზე დაყრდნობით და პროცესის ეფექტიან კოორდინაციას.

ამასთან, კურიკულუმის განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული სკოლის სხვა პროცესებთან, მათ შორის სტრატეგიულ დაგეგმვასთან, ხარისხის მართვის სისტემასთან, პერსონალის პროფესიულ განვითარებასთან და რესურსების მართვასთან. გადაწყვეტილებები ინფრასტრუქტურისა და ფინანსური რესურსების განაწილების შესახებ მიიღება სასწავლო პროცესის საჭიროებების ანალიზის საფუძველზე, რაც მიუთითებს კურიკულუმის ცენტრალურ როლზე სკოლის მართვის სისტემაში.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით დგინდება, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში კურიკულუმის განვითარების პროცესი არის ფორმალიზებული, სისტემური და მონაცემებზე დაფუძნებული, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების სრულფასოვან გათვალისწინებას და სრულად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის კურიკულუმი ასახავს სასკოლო საზოგადოების — მოსწავლეების, მშობლებისა და მასწავლებლების — ინტერესებს, პრიორიტეტებსა და საჭიროებებს და უზრუნველყოფს მათ ინტეგრირებას სასწავლო პროცესში.

კურიკულუმი აგებულია საფეხურების სპეციფიკის გათვალისწინებით და ორიენტირებულია მოსწავლეთა უნარების თანმიმდევრულ განვითარებაზე. დაწყებით საფეხურზე აქცენტი კეთდება წიგნიერების განვითარებასა და პოზიტიური აკადემიური თვითკონცეფციის ჩამოყალიბებაზე; საბაზო საფეხურზე — დამოუკიდებელი სწავლის უნარისა და აქტიური მოქალაქის ფორმირებაზე; ხოლო საშუალო საფეხურზე — სისტემური აკადემიური ცოდნის კონსტრუირებასა და პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობაზე. აღნიშნული სტრუქტურა მიუთითებს კურიკულუმის ლოგიკურ თანმიმდევრულობასა და მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომაზე.

კურიკულუმში გათვალისწინებულია დამატებითი და არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობებიც, რომლებიც შერჩეულია სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ მეორე უცხოური ენის არჩევა (რუსული ენა) განხორციელდა მშობელთა ინტერესების საფუძველზე, ხოლო არაფორმალური აქტივობები — ოლიმპიადები, ინტელექტუალური თამაშები, კულტურული და სპორტული ღონისძიებები — უზრუნველყოფს მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას და მათი ინტერესების რეალიზებას.

სასწავლო პროცესში დანერგილია მოსწავლეზე ორიენტირებული შეფასების სისტემა, რომელიც ითვალისწინებს როგორც განმავითარებელ, ისე დიაგნოსტიკურ შეფასებას. დაწყებით საფეხურზე გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება, რაც ხელს უწყობს მოსწავლის პროგრესის მხარდაჭერას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ფუნქციონირებს რემედიაციის მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს სასწავლო სირთულეების დროულ იდენტიფიცირებასა და დაძლევას.

კურიკულუმი უზრუნველყოფს ინკლუზიური და უსაფრთხო გარემოს შექმნას. სსსმ მოსწავლეებისთვის შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და გამოყენებულია შესაბამისი პედაგოგიური მიდგომები, ხოლო ფიზიკური და ორგანიზაციული გარემო მორგებულია მათი საჭიროებების შესაბამისად. ამასთან, სკოლაში მოქმედებს უსაფრთხოების პოლიტიკა, რაც ქმნის დაცულ და სტაბილურ სასწავლო გარემოს.

კურიკულუმის მნიშვნელოვანი კომპონენტია კარიერული დაგეგმვა, რომელიც ინტეგრირებულია საბაზო და საშუალო საფეხურებზე და უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინფორმირებას პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შესახებ, რაც ხელს უწყობს მათ გააზრებული არჩევანის გაკეთებას.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით დგინდება, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლის კურიკულუმი არის სისტემურად დაგეგმილი, მოსწავლეზე ორიენტირებული და სრულად ასახავს სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და საჭიროებებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში კურიკულუმის შემუშავების პროცესი წარმოადგენს კოლაბორაციულ, ციკლურ და სისტემურად ორგანიზებულ პროცესს, რომელშიც სასკოლო საზოგადოების თითოეულ რგოლს განსაზღვრული აქვს ფუნქცია და პასუხისმგებლობა.

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის (2025 წ.) შესაბამისად, კურიკულუმის შემუშავება არ განიხილება მხოლოდ ადმინისტრაციულ აქტად, არამედ წარმოადგენს ინტერაქციულ პროცესს, რომელიც ეფუძნება სასკოლო საზოგადოების აქტიურ ჩართულობასა და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს.

კურიკულუმის დაგეგმვაში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება მასწავლებლებსა და კათედრებს, რომლებიც კოლეგიურად აანალიზებენ წინა წლის შედეგებს, თანხმდებიან საგნობრივ თემებზე, კომპლექსურ დავალებებსა და შეფასების ინსტრუმენტებზე. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს კურიკულუმის შინაარსის ერთიანობასა და ხარისხის კონტროლს. ამასთან, პედაგოგები ვალდებულნი არიან, აქტუალური საკითხები განიხილონ მოსწავლეებთან და მშობლებთან, რაც უზრუნველყოფს მათი ინტერესების ასახვას სასწავლო პროცესში.

მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებები წარმოადგენს კურიკულუმის ფორმირების მნიშვნელოვან საფუძველს. მათი მონაწილეობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა არაფორმალური განათლებისა და დამატებითი მომსახურებების დაგეგმვის პროცესში, სადაც გადაწყვეტილებები მიიღება მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით, რაც ზრდის მათ ჩართულობასა და მოტივაციას.

მშობელთა ჩართულობა ხორციელდება კონსულტირების, ინფორმირებისა და კოლეგიური გადაწყვეტილებების მიღების გზით. წარმოდგენილი პრაქტიკა ადასტურებს, რომ მშობელთა შეხედულებები გათვალისწინებულია მნიშვნელოვან საგანმანათლებლო საკითხებში, მათ შორის მეორე უცხოური ენის არჩევის პროცესში, რაც მიუთითებს გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გამჭვირვალობასა და მონაწილეობის პრინციპის დაცვაზე.

კურიკულუმის განვითარების პროცესში საკოორდინაციო და ზედამხედველობის ფუნქცია ეკისრება სკოლის ადმინისტრაციას. დირექტორის მოადგილე და კათედრის თავმჯდომარეები უზრუნველყოფენ პროცესის ორგანიზებას, სამუშაო შეხვედრების ჩატარებასა და მიღებული შედეგების სისტემურ წარმოდგენას, რაც ხელს უწყობს ხარისხის მართვის ეფექტიან განხორციელებას.

კურიკულუმის შემუშავება და დამტკიცება ხორციელდება კოლეგიური მმართველობის პრინციპის საფუძველზე. დოკუმენტის შემუშავებაში მონაწილეობს პედაგოგიური პერსონალი და ადმინისტრაცია, მისი შეთანხმება ხდება სამეურვეო საბჭოსთან, ხოლო საბოლოო დამტკიცება — პედაგოგიური საბჭოს მიერ სასწავლო წლის დაწყებამდე, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმის ლეგიტიმურობასა და სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას.

ამასთან, კურიკულუმი განიხილება როგორც დინამიკური („ცოცხალი“) დოკუმენტი, რომლის გადახედვა და განახლება ხდება ყოველწლიურად, დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების შედეგების საფუძველზე. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს კურიკულუმის ადაპტირებას რეალურ საჭიროებებზე და მის მუდმივ განვითარებას.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით დგინდება, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესი არის კოლაბორაციული, გამჭვირვალე და სისტემურად ორგანიზებული, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების სრულფასოვან გათვალისწინებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში კურიკულუმის გაზიარება და საჯაროობა წარმოადგენს ხარისხის მართვისა და სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელოვან კომპონენტს.

სკოლის მიერ შემუშავებული „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“ და სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალური ნაწილი განსაზღვრავს კურიკულუმის ხელმისაწვდომობისა და გაზიარების მრავალარხიან სისტემას, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის დროულ და სრულ მიწოდებას ყველა დაინტერესებული მხარისათვის.

კურიკულუმის გავრცელება ხორციელდება როგორც ციფრული, ისე ფიზიკური არხების მეშვეობით. დოკუმენტი განთავსებულია სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე და სოციალური ქსელების პლატფორმებზე, რაც უზრუნველყოფს მისი ფართო ხელმისაწვდომობას. ამასთან, მშობლებსა და მოსწავლეებს აქვთ წვდომა სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე ელექტრონული ჟურნალის საშუალებით, ხოლო ბეჭდური და თვალსაჩინო რესურსები (მათ შორის შემეცნებითი დავალების ბარათები) ხელს უწყობს მშობელთა ჩართულობას სასწავლო პროცესში.

სკოლა უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების სისტემურ ინფორმირებასა და კონსულტირებას. სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში, დამრიგებლები აცნობენ მშობლებსა და მოსწავლეებს სასკოლო სასწავლო გეგმას, შეთავაზებულ სერვისებსა და აქტივობებს, რაც ქმნის საფუძველს მათი ინფორმირებული ჩართულობისთვის. ამასთან, კათედრები უზრუნველყოფენ პედაგოგებს შორის გამოცდილების გაზიარებასა და ერთიანი მიდგომების ჩამოყალიბებას.

კურიკულუმის გაზიარების პროცესს საფუძვლად უდევს გამჭვირვალობის პრინციპი, რომლის მიხედვითაც სკოლის საქმიანობა, ხედვები და სასწავლო პრიორიტეტები საჯაროდ ხელმისაწვდომია და წინასწარ ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის, რაც აძლიერებს ნდობასა და პასუხისმგებლობის გაზიარებას.

ამასთან, კურიკულუმის გაზიარება უზრუნველყოფილია კოლეგიური მმართველობის მექანიზმებით. დოკუმენტი თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან, სადაც წარმოდგენილნი არიან მშობლები და მასწავლებლები, ხოლო საბოლოოდ მტკიცდება პედაგოგიური საბჭოს მიერ, რაც უზრუნველყოფს როგორც მისი ლეგიტიმურობას, ისე პედაგოგიური კოლექტივის სრულ ინფორმირებულობას.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით დგინდება, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში კურიკულუმის გაზიარება ხორციელდება სისტემურად, მრავალარხიანად და გამჭვირვალედ, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობასა და აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დაწყებითი კლასების დამრიგებლების სადამრიგებლო პროგრამა

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებისა და კათედრის წევრებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეზე ორიენტირებულად იგეგმება. თითოეული კლასის კურიკულუმში მკაფიოდ არის გაწერილი სავალდებულო თემები და ეროვნულ სასწავლო გეგმასთან თანხვედრაში მყოფი გრძელვადიანი მიზნები. შუალედური მიზნების მისაღწევად გამოყენებული დავალებების იდეები

	მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას, იყოს პროცესის აქტიური მონაწილე და განივითაროს ისეთი საკვანძო კომპეტენციები, როგორიცაა თანამშრომლობითი და შემოქმედებითი უნარები. რჩევა: სასურველია, IV კლასის კურიკულუმში, თემები შეესაბამებოდეს ბუნებისმეტყველების საგნობრივ სტანდარტში განსაზღვრულ სავარდებულო თემებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. სკოლის მიერ წარმოდგენილ თითოეული საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილია სამიზნე ცნებები, შედეგები და შემოქმედებითი დავალებების იდეები, რომლებიც მიმართულია სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევაზე. კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს გამოხატეს მზაობა, გააგრძელონ კურიკულუმების სრულყოფა მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დასაგეგმად. **რჩევა:** სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა შეთანხმდეს კურიკულუმის ერთიან ფორმაზე.
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი თითოეული საფეხურის შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასში მოცემული სამიზნე ცნებები, შუალედური მიზნები და შემოქმედებითი ტიპის აქტივობები მიმართულია აქტიური, ინტერაქციული და თანამშრომლობითი სწავლებისაკენ. ინტერვიუს დროს, კათედრის წევრებმა აღნიშნეს რომ კურიკულუმის დაგეგმვის/გადაგეგმვის დროს ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს. **რჩევა:კურიკულუმის სრულყოფის მიზნით, სასურველია სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი ცნებები (ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები) დამატებით დაიშალოს ქვეცნებებად, რაც უზრუნველყოფს სასწავლო შინაარსის მეტად დეტალიზებულ და სტრუქტურირებულ წარმოდგენას.**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმის ჩარჩოს ანალიზისა და პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე იკვეთება კათედრის წევრების მზაობა, განახორციელონ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება.

	მასწავლებლები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს, რაც ხელს უწყობს კომპეტენციებზე დაფუძნებული და შემოქმედებითი გარემოს ჩამოყალიბებას. მათთვის კურიკულუმი არის „ცოცხალი დოკუმენტი“, რომელიც საჭიროებს მუდმივ განახლებასა და მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებთან ადაპტაციას. ეს დამოკიდებულება დასტურდება იმითაც, რომ ჩვენი კომუნიკაციის საფუძველზე კურიკულუმში მყისიერად შეიტანება შესაბამისი ცვლილებები და კორექტივები. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადეგნილ მოთხოვნებს**
სახელმწიფო ენა	ზოგასდაგანმანათლებლო დაწესებულებამ წარმოადგინა ქართული ენისა და ლიტერატურის სამივე საფეხურის კურიკულუმები. კურიკულუმებში გათვალისწინებულია სწავლების კონტრუქტივისტულ პრინციპები, სავალდებულო თემები, გრძელვადიანი და შუალედური მიზანი. შემოქმედებითი დავალებები უზრუნველყოფს ცოდნის სამი კატეგორიის (დეკლარატიულის, პროცედურულის, პირობისეული) გამოყენებას, მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებასა და გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. გადმოგზავნილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეზე. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებით/საბაზო/საშუალო საფეხურის თითოეული კლასისათვის მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმებში გაწერილია ვალდებულება თუ რა ფორმით აღიწერება მოსწავლის განვითარების „გზა“. თითოეული კურიკულუმი შემუშავებულია მათემატიკის საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით და მიმართულია სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევაზე. კურიკულუმებში გაწერილია შემოქმედებითი დავალებების იდები, რომლებიც შუალედური მიზანზე გასვლით, ემსახურება გრძელვადიანი მიზანზე გასვლას. მიზნები წარმოდგენილია სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით. იგივე მიდგომები დადასტურდა კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს, რომლებმაც გამოხატეს მზაობა, რომ კურიკულუმების შემუშავებას მოთხოვნების შესაბამისად წარმართავენ, რომლებიც მიმართული იქნება მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დასაგეგმად.

	რჩევა: სასურველია საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილ სასწავლო თემებს მითითებულ ჰქონდეს დათმობილი საათების რაოდენობა სემესტრის/წლის განმავლობაში.
სპორტი	შემუშავებული კურიკულუმები (სამივე საფეხურისთვის), დაფუძნებულია მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასა და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებზე. მათში შეტანილი სასწავლო თემები, ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მათ საჭიროებებს და მორგებულია სკოლის შესაძლებლობებზე. წარმოდგენილი კურიკულუმებით სასწავლო პროცესის წარმართვა, ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურად განვითარებასა და მათ გაყვანას საფეხურებრივი სტანდარტის შესაბამის მოსალოდნელ შედეგზე. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა მიიღეს რჩევა, რომელსაც გაითვალისწინებენ სამომავლოდ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** **რჩევა: სამომავლოდ სასურველი იქნებოდა, რომ სამივე საფეხურზე კურიკულუმში, შეტანილი იყოს თემები თეორიული მიმართულებითაც**
ტექნოლოგიები	შემუშავებული კურიკულუმები II-VI კლასში წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები; სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. 2.1.2 **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას და ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები და შესაძლებლობები, რაც კარგად ჩანს მათ მიერ განხორციელებულ შემოქმედებითი ტიპის დავალებებში. ეს ხელს უწყობს მოსწავლეებში შესასწავლი საკითხის მიმართ ინტერესის გაზრდას და აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. ასევე, ყველა მეთოდი, აქტივობა, თუ რესურსი არის მრავალფეროვანი და მორგებულია მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს.

	რჩევა: სასურველია, კერძოდ IV კლასის ბუნების კურიკულუმში არსებული თემები თანხვედრაში მოდიოდეს საგნობრივ სტანდარტში გათვალისწინებულ თემებთან. სასურველია სამივე საგნის კურიკულუმებში მითითებული იყოს დათმობილი საათების რაოდენობა. ***ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.***

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ, სამივე საფეხურზე წარმოდგენილი საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმები ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებზე. სწავლების პროცესში აქცენტი კეთდება დავალებებზე, რრომლებიც მოსწავლეს საშუალებას აძლევს, აქტიურად ჩაერთოს შემეცნებით პროცესში, განავითაროს კრიტიკული აზროვნება და ჯგუფური მუშაობის უნარები. დოკუმენტაციაში წარმოდგენილია როგორც დავალების პირობები და შეფასების რუბრიკები, ისე შესაბამისი რესურსების ჩამონათვალი. კათედრის მასალების (კურიკულუმები, შეფასების რუბრიკები, შემაჯამებლის ნიმუშები, კათედრის ოქმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და სხვ.) გაანალიზების შედეგად დასტურდება, რომ კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებსა და შედეგებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ თითოეული საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ კურიკულუმებში გრძელვადიანი მიზნებზე ორიენტირით წარმოდგენილია სამიზნე ცნებები და შედეგები. კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს დაადასტურეს მზაობა, შემუშავებული

	კურიკულუმები კვლავ მიმართული იყოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნებისაკენ. **რჩევა:** მიზანშეწონილია კურიკულუმში უფრო დეტალურად გაიწეროს დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიები, რათა სასწავლო პროცესი კიდევ უფრო მეტად იყოს ორიენტირებული სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეზე. რეკომენდებულია კურიკულუმის განმავითარებელი შეფასების ნაწილში დაზუსტდეს კრიტერიუმები, რომლებიც მასწავლებელს დაეხმარება მოსწავლის მიერ სამიზნე ცნების გააზრების ხარისხის უფრო ზუსტ იდენტიფიცირებაში.
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები იძლევა შესაძლებლობას მოსწავლემ მიაღწიოს ეროვნულ სასწავლო გეგმაში განსაზღვრულ სასწავლო შედეგებს, მოიცავს იმ შინაარსს, უნარებსა და დამოკიდებულებებს, რომლებიც გაწერილია ეროვნულ სასწავლო გეგმაში. კურიკულუმში ცნებები ჯგუფდება სამ კატეგორიად: ტექსტი, სამეტყველო ქმედება და ენობრივი საშუალებები. აღნიშნული სტრუქტურა უზრუნველყოფს ენობრივი უნარების ინტეგრირებულ განვითარებას და მოიცავს ტექსტის გაგებას, კომუნიკაციური ფუნქციების განხორციელებას და შესაბამისი გრამატიკული და ლექსიკური რესურსების გამოყენებას.
ესთეტიკური აღზრდა	მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნობრივი კურიკულუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. განსაზღვრული სამიზნე ცნებები და შედეგები ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ ცოდნის გააზრებასა და პრაქტიკაში გამოყენებას. ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა გარკვეული გასაუმჯობესებელი საკითხები, რომლებიც მასწავლებლებთან ერთად განიხილეს. ჩვენი კომუნიკაციის საფუძველზე პედაგოგებმა ოპერატიულად განაახლეს კურიკულუმები და ხელახლა წარმოადგინეს, სადაც გათვალისწინებულია რეკომენდაციები. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადეგნილ მოთხოვნებს**
სახელმწიფო ენა	კათედრის მიერ წარმოდგენილი ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. გადმოგზავნილი კურიკულუმებით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, შეფასების რუბრიკებით, დიაგნოსტიკური

	წერის ნიმუშით, მოსწავლეთა ნამუშევრებით (შემაჯამებელი წერის ნიმუშები) დასტურდება რომ, სწავლება იგეგმება და ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმიას გათვალისწინებით. კათედრის წევრებთან გასაუბრებისას ნათელი გახდა, რომ მასწავლებლები იცნობენ და ეყრდნობიან ეროვნულ სასწავლო გეგმას. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილ თითოეული საფეხურის შესაბამის კლასის მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში გრძელვადიანი მიზნებზე ორიენტირით წარმოდგენილია სამიზნე ცნებები და შედეგები. სამიზნე ცნებები, საკითხები იერარქიული კავშირშია ერთმანთთან. საკითხი/საკითხთა კლასტერი, ამუშავებს სამიზნე ცნებებს. შემოქმედებითი დავალების იდეა, უზრუნველყოფს სტანდარტით განსაზღრულ შედეგებზე გასვლას, ხოლო მოსწავლეებში ხელს შეუწყობს მათ შემოქმედებითი, კრიტიკული, ანალიზის, თვითშეფასების უნარების განვითარების ხელშეწყობას, კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს დაადასტურეს და გამოხატეს მზაობა უფრო აქტიურობით გააგრძელებენ ამ მიმართულებით მუშაობას და შემუშავებული კურიკულუმები მიმართული იქნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებისაკენ.**ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმები მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმას. აგებულია საგნის სამიზნე ცნებებსა და საფეხურის ბოლოს მისაღწევ შედეგზე. მასში შეტანილია სასწავლო თემები სტანდარტით შეთავაზებული თემატური ბლოკებიდან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი დოკუმენტაციის შესწავლისას და ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებელს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხების ურთიერთმიმართებები, საგნის სწავლების მიზანი. დავალებები მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს, აღსანიშნავია, რომ მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ ორიგინალური, მათ მიერ მოფიქრებული დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, გარდა ამისა, ინტერვიუების პროცესში და გადმოგზავნილი დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ დავალებებთან ერთად ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირებით სკოლაში ხორციელდება მრავალფეროვანი პროექტები, ინტეგრირებული გაკვეთილები; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმები ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან თანხვედრაშია. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით (თვითშეფასება, კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია) და ინტერვიუთი დასტურდება, რომ დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმების ჩარჩოები ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე, დაწყებითი საფეხურის ფარგლებში, სტანდატებში წარმოდგენილი შედეგების და სამიზნე ცნებების სახით. თემებს ახლავს პრაქტიკული, რეალურ ცხოვრებაზე ორიენტირებული აქტივობები. **ინდიკატორი 2.1.2.2 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები (ბუნებისმეტყველება, ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია), ძირითადი და დამხმარე რესურსები, უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. რესურსების ჩამონათვალში წარმოდგენილია გრიფირებული სახელმძღვანელოები, ვიდეოგაკვეთილები, ვირტუალური ლაბორატორიები, სიმულაციები და შეფასების რუბრიკები. **რჩევა:** საბაზო და საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების სტანდარტის მიხედვით, კეთებით სწავლება გულისხმობს რეალურ ლაბორატორიულ სამუშაოებს. მიზანშეწონილია კურიკულუმის ცხრილებში აისახოს კვლევითი დავალებები, რომლებიც რეალურ ლაბორატორიულ გარემოში მუშაობას ითვალისწინებს. სასურველია, დოკუმენტაციას დაემატოს ამ დავალებისთვის საჭირო სპეციფიკური რესურსები: ექსპერიმენტის ინსტრუქციები, რეაქტივებისა და ხელსაწყოების ნუსხა, მანიპულატივები და სხვა დამხმარე მასალები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება სამიზნე ცნებები და სტანდარტის შედეგები. შედეგების მისაღწევად შერჩეულია შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსები, მათ შორის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო. კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს დაადასტურეს, რომ სასწავლო რესურსების გამოყენებით უზრუნველყოფენ კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. **რჩევა:** სასურველია სკოლამ შეიმუშაოს რესურსების განახლებისა და გამდიდრების მიდგომა საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე. რეკომენდებულია იმ კურიკულუმებში, სადაც მხოლოდ სახელმძღვანელოა მითითებული, დაემატოს კონტექსტური მაგალითები — პირველწყაროები, ისტორიული დოკუმენტები, ასევე ციფრული რესურსები, როგორიცაა საგანმანათლებლო პლატფორმები და თემატური ვიდეომასალა, რაც სწავლის პროცესს უფრო დინამიურსა და მოსწავლეზე მორგებულს გახდის.
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და სასწავლო შედეგებს; **რჩევა:** სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებისა და მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდის მიზნით სასურველია, სკოლამ გააფართოოს სასწავლო რესურსების გამოყენება, ვინაიდან მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსების ინტეგრირება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ენის ოთხივე უნარის გაუმჯობესებას. სასურველია მასწავლებლებმა გამოიყენონ ციფრული საგანმანათლებლო პლატფორმები და თავად შექმნან რესურსები მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობებიდან გამომდინარე.
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრისთვის გათვალისწინებული რესურსები სრულად უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ დაგეგმილი სასწავლო შედეგების მიღწევას. შერჩეული მასალები შეესაბამება საგნობრივ მოთხოვნებს, ხელს უწყობს შემოქმედებითი უნარების განვითარებას და ქმნის პირობებს, რომ მოსწავლეებმა ეფექტურად გამოიყენონ კურიკულუმით განსაზღვრული ცოდნა და უნარები. ამასთან, **რჩევის სახით მინდა აღვნიშნო**, რომ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების განახლებულ კურიკულუმებში, მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველ ვერსიაში დავალებების შესაბამისი

	რესურსები წარმოდგენილი იყო, ნაწილობრივ შეინიშნება მათი გამოტოვება. მიზანშეწონილია, აღნიშნული რესურსები სრულად და სისტემურად აისახოს შესაბამის სვეტში ან, საჭიროების შემთხვევაში, თავიდან იქნეს მოძიებული და დაზუსტებული. **რჩევა:** სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების განახლებულ კურიკულუმებში დავალებების შესაბამისი რესურსები სრულად და სისტემურად უნდა აისახოს შესაბამის სვეტში. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადეგნილ მოთხოვნებს**
სახელმწიფო ენა	ქრთული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმის განხორციელებისას იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, დამხმარე სახელმძღვანელოებსა და ელექტრონულ რესურსებს. გრიფირებულ და დამხმარე სახელმძღვანელოებთან ერთად კურიკულუმებში ჩაშენებულია მრავალფეროვანი ელექტრონული მასალა (ვიდეორგოლები, პერსონაჟის რუკა, საგანმანათლებლო დანიშნულების ვებ-გვერდები), რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის მიერ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სწავლების შედეგების მიღწევას. გსაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ დამხმარე რესურსებს მიზნობრივად იყენებენ ყველა კლასთან მუშაობისას. რჩევა: სასურველია, დამხმარე რესურსები აისახოს მე-10 და მე-11 კლასის კურიკულუმებში. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**ა
მათემატიკა	წარმოდგენილ კურიკულუმებში თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება სამიზნე ცნებები და სტანდარტის ყველა შედეგი. შედეგების წარმატებით მისაღწევად თითოეული თემისა, სამიზნე ცნებებისა და საკითხების დამუშავებისათვის შერჩეულია და გაწერილია კურიკულუმებში სწავლის და სწავლების მიზნის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსები, როგორიცაა გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო და სხვადასხვა დამხმარე რესურსი. ამ რესურსების აქტიური გამოყენებაც დაადასტურეს პედაგოგებმაც გასაუბრების დროს და აღნიშნეს რომ სასწავლო რესურსების გამოყენებით სასწავლო პროცესში უზრუნველყოფენ კურიკულუმით განსაზღრულ შედეგების მიღწევას.
სპორტი	სასწავლო პროცესის დაგეგმვისას პედაგოგები ცდილობენ შეიტანონ ისეთი სასწავლო თემები, რომელთა განხორციელებასაც შეძლებენ სკოლაში არსებული, მატერიალ;ური რესურსით -

	ინფრასტრუქტურითა და სპორტული ინვენტარით.. სასწავლო პროცესში იყენებენ მასწავლებლის დამხმარე გზამკვლევებს სპორტის სხვადსხვა სახეობების მიხედვით, მასწავლებლის წიგნს დაწყებითი საფეხურისათვის. ასევე ციფრულ რესურსად წარმოდგენილია ვიდეორგოლები ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშებით. საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებული**
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების საგანში წარმოდგენილი კურიკულუმებით გათვალისწინებული მატერიალური და ელექტრონული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. (გამარჯობა რუბი, ელ რესურსი https://school.emis.ge/ კურიკულუმებში მოცემულია ძირითადი რესურსები არაგრიფირებული დამხმარე სახელმძღვანელოების სახით, ასევე დამხმარე რესურსები, რომლებიც ეხმარება მასწავლებელს და მოსწავლეს მიზნების მიღწევაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ასევე დაწყებითი კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმების კონცეპტუალურ ჩარჩოებში ასახულია საგანმანათლებლო და სასწავლო რესურსები,რაც უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევა. **რჩევა:** სასურველია, კერძოს მშობლიური ენის IV კლასის, ასევე მათემატიკის კურიკულუმებში შესაბამის სვეტებში ასახონ ყველა ის დამხმარე რესურსი (ელექტრონული ბმულები, ვიდეორესურსები), რასაც კათედრის მასწავლებლები იყენებენ სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილი კურიკულუმები ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი სამივე საფეხურზე არის ინკლუზიური და ორიენტირებულია დიფერენცირებულ მიდგომებზე. მასწავლებელთა გამოცდილება საშუალებას იძლევა, სასწავლო მასალა და რესურსები მორგებული იყოს მოსწავლეთა

	ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და ინტერესებზე, რაც ზრდის მათ ჩართულობას. სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის პრაქტიკა გამყარებულია შესაბამისი დოკუმენტაციით: ინდივიდუალური სასწავლო გეგმებითა და მოდიფიცირებული დავალებებით, რომლებიც სპეციალურად მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით არის შემუშავებული. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომები, შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს მოიყვანეს მაგალითები , ასევე გამოხატეს მზაობა, გააგრძელონ ამ მიმართულებით მუშაობა. **რჩევა:** სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულ;ებით უფრო მკაფიოდ გაიწეროს დიფერენცირებული სწავლების კონკრეტული სტრატეგიები მაგალითად, დავალებების სირთულის მიხედვით დაყოფა, დამხმარე მინიშნებების გამოყენება რაც მასწავლებელს დაეხმარება პროცესის უკეთ მართვაში. რეკომენდებულია კათედრის ფარგლებში მოხდეს საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება სსსმ და სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის გარემოსა და რესურსების ოპტიმალური მორგების შესახებ.
უცხოური ენები	უცხოური ენის კათედრა გეგმავს სასწავლო პროცესს ინკლუზიური განათლების პრინციპების შესაბამისად, რაც გულისხმობს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების, შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებას. ინტერვიუზე კათედრის წევრებმა განაცხადეს, რომ ცდილობენ უზრუნველყონ ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა, რომელიც ხელს უწყობს ყველა მოსწავლის აქტიურ ჩართულობას, უსაფრთხო და მხარდამჭერ ატმოსფეროში სწავლას, შეცდომებისადმი ტოლერანტულ დამოკიდებულებას და პროგრესზე ორიენტირებულ შეფასებას. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლები თანამშრომლობენ როგორც ერთმანეთთან, ისე სპეციალური საჭიროების სპეციალისტებთან, რათა ეფექტიანად დაიგეგმოს და განხორციელდეს ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სასწავლო პროცესი, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების გამოყენებით.

ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომები, ასევე შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს მოიყვანეს შესაბამისი მაგალითები და გამოხატეს მზაობა, გააგრძელონ ამ მიმართულებით მუშაობა. ხელოვნებისა და მუსიკის კურიკულუმებში ჩანს დავალებების კომპლექსური ხასიათი, რაც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, საკუთარი აზრი, ცოდნა და დამოკიდებულება მრავალფეროვანი და მათთვის ეფექტური გზებით გამოხატონ. სასურველია უფრო მკაფიოდ განისაზღვროს დიფერენცირებული სწავლების კონკრეტული სტრატეგიები, მაგალითად, დავალებების სირთულის მიხედვით დიფერენცირება და დამხმარე მინიშნებების გამოყენება, რაც მასწავლებლებს დაეხმარება სასწავლო პროცესის უფრო ეფექტურად მართვაში.**ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადეგნილ მოთხოვნებს**
სახელმწიფო ენა	სკოლაში ირიცხება სსსმ მოსწავლეები. მათი საჭიროებებისა და შესაძლებლობის შესაბამისად იგეგმება სასწავლო პროცესი. მასწავლებლები ქმნიან უსაფრთხო და ინკლუზიურ გარემოს. სსსმ მოსწავლეს მასზე მორგებულ ადაპტირებულ დავალებებს სთავზობენ, რითაც გადიან დასახულ შედეგზე. გასაუბრებისას კთედრის წარმომადგენელმა ისაუბრა ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომების მნიშვნელობაზე და იმაზე, თუ როგორ იყენებს პრაქტიკაში. აქედან გამომდინარე, დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომები. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	კათედრის წევრებთან გასაუბრების დროს დაადასტურეს თუ რა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ პედაგოგები სწავლა-სწავლების პროცესში ინკლუზიურ/დიფერენცირებულ მიდგომების გამოყენებას. ყურადღებას ვაქცევთ და ვითვალისწინებთ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, მათ საჭიროებებსა და ინტერესებს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. დავალებებსაც მათი შესაძლებლობის შესაბამისად მოდიფიცირდება, მათ უნარებზე და შესაძლებლობებზეა გათვლილი დავალებების პირობები. ვთანამშრომლობთ სპეცმასწავლებელთან და ერთობლივად შევიმუშავებთ ისგ-ას, შეფასების რუბრიკებს. მნიშვნელოვანია მოსწავლეებისათვის კონსტრუქციულ უკუკავშირის მიცემა, რომელიც

	მამოტივირებელია თითოეული მოსწავლისათვის. ანალოგიური მეთოდებით და მიდგომებით გავაგრძელებთ მუშაობას, დიფერენცირებული მიდგომების გამოყენებით, აღნიშნეს კათედრის წევრებმა. ზემოთ თქმული დასტურდება კიდეც სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით.
სპორტი	პედაგოგებთან საუბრიდან ნათელია, რომ ისინი ცდილობენ სასწავლო პროცესები მოარგონ მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებს და ფიზიკურ შესძლებლობებს, გაითვალისწინონ ნებისმიერი მოსწავლის ინტერესი. თუმცა, როგორც პედაგოგმა აღნიშნა საუბრისას, სკოლის სსსმ მოსწავლე, შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე არ საჭიროებენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	ინტერვიუს დროს პედაგოგმა აღნიშნა, რომ მათ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვს დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობს დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. აღნიშნეს, რომ ისინი აძლევენ მოსწავლეებს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა - განხორციელებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, იყენებენ მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. ასევე მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებთ სთავაზობენ ალტერნატიულ გზებს კომპლექსური ტიპის დავალების პროდუქტის შესაქმნელად. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში ინტეგრირებულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტები (რუბრიკები). შეფასების კრიტერიუმები ორიენტირებულია როგორც წინარე ცოდნის აქტივაციაზე, ისე უშუალოდ ცოდნის კონსტრუირების პროცესზე, რაც საშუალებას იძლევა გამოიკვეთოს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური მიღწევები თუ გამოწვევები. მნიშვნელოვანია, რომ შეფასების კრიტერიუმები პირდაპირ მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს. **რჩევა:** სასურველია, კურიკულუმით გათვალისწინებული თითოეული დავალებისათვის შემუშავდეს სპეციფიკური შეფასების რუბრიკები, რომლებშიც წარმოდგენილი იქნება შეფასების კრიტერიუმების დეტალური აღწერილობა და შესაბამისი ქულები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ადასტურებს, რომ შეფასება ეყრდნობა საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი სტანდარტის შედეგებს და მიემართება გრძელვადიან მიზნებს. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტები წარმოდგენილია კათედრის მიერ. **რჩევა:** მიზანშეწონილია შეფასების რუბრიკების შემდგომი დახვეწა და მათი მეტი კონკრეტიზაცია სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებით, რათა შეფასების სისტემა ყველა საფეხურზე თანაბრად იყოს გამოყენებადი. სასურველია შეფასების კრიტერიუმები წინასწარ გაეცნოს მოსწავლეებს და მშობლებს, რაც გაზრდის პროცესის გამჭვირვალობას და მოსწავლეთა ჩართულობას საკუთარი პროგრესის გააზრებაში.
უცხოური ენები	უცხოური ენის კათედრის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის შეფასების რუბრიკები განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეესაბამება უცხოური ენის სტანდარტის პრინციპებს. სასწავლო პროცესში დომინირებს განმსაზღვრელი შეფასება, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის პროგრესზე.

ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრის პედაგოგებმა წარმოადგინეს როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ინტერვიუსა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის (შეფასების რუბრიკების) ანალიზი ცხადყოფს, რომ კათედრას გააზრებული აქვს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად მოსწავლეთა შეფასების სისტემის დანერგვის მნიშვნელობა. სასურველია, კურიკულუმით გათვალისწინებული თითოეული დავალებისთვის შემუშავდეს შეფასების რუბრიკები, რომლებშიც დეტალურად იქნება წარმოდგენილი შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი ქულათა განაწილება, ასევე ჩაიშალოს სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. რჩევა: სასურველია, ესთეტიკის კათედრაზე მუსიკისა და სახვითი ხელოვნების კურიკულუმში წარმოდგენილი დავალებებისთვის შეფასების რუბრიკების შემდგომი შემუშავება, დახვეწა და მათი უფრო მეტად დაკონკრეტება სამიზნე ცნებების სიღრმისეულ გააზრებასთან მიმართებით, რათა შეფასების სისტემის ვალიდურობა და ობიექტურობა ყველა საფეხურზე თანმიმდევრულად იყოს წარმოდგენილი. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადეგნილ მოთხოვნებს**
სახელმწიფო ენა	სკოლას წარმოდგენილი აქვს ქართული ენისა და ლიტერატურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სამივე საფეხურზე, რომლებიც მიემართება კონკრეტულ შემოქმედებითი ტიპის დავალებას. ასევე, გადმოგზავნილია ზოგადი სახის შეფასების რუბრიკები, რომლებსაც მასწავლებლები არგებენ სხვადასხვა საკითხს; დიაგნოსტიკური წერის ნიმუშები, შეფასების ვერიფიკაციის მექნიზმი, რომელიც შეფასების სისტემის მხარდამჭერი ინსტრუმენტი იქნება. შეფასების რუბრიკები კორელაციაშია გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებთან. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ადასტურებს, რომ შეფასება ეყრდნობა მათემატიკის საგნობრივი სტანდარტის თემების ფარგლებში მიღწევის ინდიკატორებს და მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებზე. განმავითარებელი კომენტარით აღწერენ

	მოსწავლეთა განვითარების დინამიკას, ხოლო განმსაზღვრელი შეფასებით აფასებენ თითოეული მოსწავლის საგნობრივი სტანდარტის შედეგის მიღწევის დონეს. შეფასება სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის მართვის უმნიშვნელოვანესი პროცესია, არის სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილი,. შეფასების პროცესში მოსწავლეებს ვაძლევთ კონსტრუქციულ უკუკავშირს, სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად აღნიშნეს კათედრის წევრებმა გასაუბრებისას და გამოხატეს მზაობა, მომავალშიც შეფასების სისტემა დაეფუძნება ესგ-ის მოთხოვნებს და შემუშავდება მოსწავლის შეფასების პრინციპების, მიზნების და ამოცანების გათვალისწინებით ესგ-ის შესაბამისად.
სპორტი	სკოლას სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შესაფასებლად, წარმოდგენილი აქვთ განმათარებელი და განმსაზღვრელი ტიპის შეფასების რუბრიკები. ისინი შეესაბამება ესგ-ის მოთხოვნებს და აფასებს თითოეულ სამიზნე ცნებას საგნობრივი სტანდარტის მიხედვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელმა წარადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები; პედაგოგი იყენებს შეფასების ინსტრუმენტებს/რუბრიკებს, რომლებიც ეფუძნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. ინტერვიუს დროს და გადმოგზავნილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე (შეფასების რუბრიკები) გამოიკვეთა, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრას გააზრებული აქვს განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა მოსწავლეთა განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის სრულყოფისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე მტკიცებულების სახით წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები შეფასებას აკეთებენ სამიზნე ცნებების გათვალისწინებით, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებს გაიაზრონ მიღწეული და მისაღწევი შედეგები. **რჩევა:** სასურველია, შფასების სისტემის ვალიდურობისა და ობიექტურობის მიზნით, კურიკულუმებში ასახული შემოქმედებითი დავალებებისთვის შემუშავებული შეფასების

	რუბრიკებში ჩანდეს უფრო მკაფიო და მიზანმიმართული კავშირი სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებთან. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურის მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- შეფასების რუბრიკები;
- დამატებითი დოკუმენტაცია;
- დანართი N26 ისგ, სსსმ-მოსწავლეთათვის-საგანმანათლებლო-სერვისების-მიწოდების-რეგულაცია, ისგ სხდომის ოქმები;
- სამივე საფეხურის, საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმები. შეფასების რუბრიკები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. საბუნებისმეტყველო კათედრის სხდომის ოქმი. შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები. კურიკულუმში მოცემული დავალების ბარათები.
- სახელმწიფო ენის სამივე საფეხურის კურიკულუმები, სახელმწიფო ენის სამივე საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის სხდომის ოქმი, შემაჯამებელი დავალებები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურის კურიკულუმებისა და კათედრის წევრებთან გასაუბრების ანალიზი ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი სკოლაში დოკუმენტაციის შესაბამისად ხორციელდება. კურიკულუმში მოცემული დავალებები და დამხმარე რესურსები ორიენტირებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე, რაც სასწავლო გარემოს უფრო ეფექტურს ხდის. აღსანიშნავია სასწავლო მეთოდების მრავალფეროვნება: მასწავლებლები აქტიურად იყენებენ ვირტუალური ლაბორატორიასა (სხვადასხვა სიმულაციებს) და ვიდეომასალას, სხვა ონლაინ

	რესურსებს, პარალელურად - მოსწავლეებს სთავაზობენ ცოცხალ სადემონსტრაციო მარტივ ცდებს (ეკო მეგობრული პროდუქტების გამოყენებით). ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს და მონაწილეობენ კონკურსებში (ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია - 2026), რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებასა და ჩართულობას.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს დაადასტურეს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ეყრდნობიან კურიკულუმს და გამოხატეს მზაობა, სამომავლოდ კიდევ უფრო გააძლიერონ კურიკულუმის განხორციელების პრაქტიკა. **რჩევა:** კურიკულუმის განხორციელების პროცესში მეტი ყურადღება დაეთმოს შუალედური მონიტორინგის შედეგების დოკუმენტირებასა და რეფლექსიას, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის შემდგომ სრულყოფას მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად.
უცხოური ენები	წარმოდგენილი მასალებისა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ავღნიშნოთ, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებისა და სტრუქტურის შესაბამისად. სასწავლო პროცესში განხორციელებული აქტივობები, თემატური ერთეულები და სწავლების მიზნები თანხვედრაშია კურიკულუმით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის მიზნობრიობასა და სისტემურობას. აღნიშნული მიდგომა ქმნის საფუძველს მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების თანმიმდევრული განვითარებისათვის და ხელს უწყობს კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებისა და წარმოდგენილი მასალების ანალიზი ნათელს ჰყოფს, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულები შემოქმედებით საქმიანობაში. ინტერვიუს პროცესში პედაგოგებმა დეტალურად აღწერეს მათ მიერ განხორციელებული მრავალფეროვანი სასწავლო აქტივობები, რომლებიც მიზანმიმართულად უკავშირდება

	კურიკულუმში განსაზღვრულ შედეგებს. წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ სწავლების დაგეგმვა და განხორციელება თანხვედრაშია სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებთან. პედაგოგთა მიერ შეთავაზებული აქტივობები და შემოქმედებითი პროცესი სისტემურად არის სტრუქტურირებული, ემთხვევა გეგმაში წინასწარ განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებს და უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ, ღრმა და მრავალმხრივ ჩართულობას. ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი სრულად ემყარება და რეალურად ასახავს სასკოლო კურიკულუმის პრინციპებსა და სტრუქტურას. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადეგნილ მოთხოვნებს**
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი კურიკულუმის შესაბამისად იგეგმება, ამოსავალი არის საგნობრივი სტანდარტი. კურიკულუმის განხორციელების მხარდამჭრი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაა, რომელიც უწყვეტი, ციკლური პროცესია. იგი მოიცავს დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებასა და რეფლექსიას. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლების ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით მოსწავლეთა საჭიროებისა და ინტერესების გათვალისწინებით გეგმავენ სასწავლო პროცეს. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება ერვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებზე დაფუძნებით გრძელვადიან მიზნობრივ ორიენტირით შემუშავებულ და დამტკიცებული მათემატიკის კურიკულუმების შესაბამისად. სასწავლო პროცესში მუშავდება სამიზნე ცნება და სტანდარტის შედეგები. შემოქმედებითი დავალებების განხორციელებაც ამ მიზანს ემსახურება. გააზრებული გვაქვს ვალდებულება, რომ სამიზნე ცნებებისა და თემის ფარგლებში შედეგის მიღწევის ინდიკატორების გათვალისწინებით და კურიკულუმის შესაბამისად უნდა წარიმართოს სასწავლო პროცესი აღნიშნეს კათედრის წევრებმა საუბრისას და გამოხატეს მზაობას შემუშავებული კურიკულუმების შესამაბისად წარმართონ სწავლა-სწავლების პროცესი.
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში (სამივე საფეხურისათვის), პედაგოგების მიერ სწორადაა გაწერილი ის სასწავლო თემები და საკითხები, რომელთა განხორციელებასაც შეძლებენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას სკოლის ბაზაზე არსებული ინფრასტრუქტურითა და ინვენტარით. პედაგოგები ცდილობენ სასწავლო პროცესის წახალისებას და კურიკულუმით

	გაწერილი თემების ფარგლებში სასკოლო აქტივობების გარდა (რომელიცაა შიდასასკოლო ფესტივალები და კონფერენციები), სკოლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სკოლის გარე, არაფორმალური განათლების მიმართულებითაც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სწავლება მიმდინარეობს წარმოდგენილი კურიკულუმების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში ხდება დავალების შეცვლა, კომპლექსური დავალებების დაგეგმვა და განხორციელება სამიზნე ცნებებისა და თემის ფარგლებში შედეგის მიღწევის ინდიკატორების გათვალისწინებით არის წარმოდგენილი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილ კურიკულუმებზე, გაკვეთილის გეგმებსა და სხვა დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, აგრეთვე, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კათედრა გეგმავს, გაანალიზების შემდეგ კურიკულუმის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი წინააღმდეგობებისა და მიღწევების შესაბამისად ცვლილებები შეიტანოს კურიკულუმში.**ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესი წარიმართება დამტკიცებული სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად და ხასიათდება მოქნილი, ადაპტირებადი და მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომით.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ ფორსმაჟორულ ვითარებებში სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას. მაგალითად, დირექტორის 2025 წლის 15 სექტემბრის №2-73 ბრძანებით, ბიოლოგიის მასწავლებლის შვებულებაში ყოფნის პერიოდში საგაკვეთილო საათები ოპერატიულად გადანაწილდა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პედაგოგებზე, რაც მიუთითებს პროცესის ეფექტიან ორგანიზებასა და მართვაზე.

სწავლა-სწავლების პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული მიდგომა. მასწავლებელთა პრაქტიკა და წარმოდგენილი ინფორმაცია მიუთითებს, რომ სასწავლო პროცესი არ არის სტატიკური — პედაგოგები მუდმივად აფასებენ გამოყენებული აქტივობების ეფექტურობას და საჭიროების შემთხვევაში ახდენენ მათ მოდიფიცირებას ან ჩანაცვლებას ალტერნატიული მეთოდებით, რაც

ხელს უწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. ამასთან, მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა საკუთარი ცოდნა და მოსაზრებები გამოხატონ მრავალფეროვანი ფორმებით, რაც ზრდის მათ ჩართულობასა და მოტივაციას.

სასწავლო პროცესის პერსონალიზაცია უზრუნველყოფილია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიით, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებსა და ინდივიდუალურ თავისებურებებს, რაც ქმნის საფუძველს ეფექტიანი და მიზნობრივი სწავლებისთვის.

სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესება ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. სკოლა აქტიურად იყენებს მასწავლებელთა პროფესიულ გამოცდილებასა და კათედრების ფარგლებში მიმდინარე დისკუსიებს, რაც ხელს უწყობს პრაქტიკის გაზიარებასა და ინოვაციების დანერგვას. ამასთან, მოსწავლეთა და მშობელთა უკუკავშირი გამოიყენება კურიკულუმის გადახედვისა და რევიზიის პროცესში, რაც უზრუნველყოფს გამოწვევებზე დროულ და ეფექტიან რეაგირებას.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით დგინდება, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლა უზრუნველყოფს კურიკულუმის ეფექტიან განხორციელებას, რომელიც ხასიათდება მოქნილობით, ადაპტირებადობითა და მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები: შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი და ინსტრუმენტები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ობიექტურ მონიტორინგს. წარმოდგენილ რუბრიკებში ასახული კრიტერიუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებსა და გრძელვადიან მიზნებს. შეფასების ინსტრუმენტები ორიენტირებულია უშუალოდ იმ ცოდნის გაზომვაზე, რომელიც კურიკულუმითაა გათვალისწინებული, შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ შეფასების პროცესი პასუხობს ვალიდურობის, სანდოობისა და სამართლიანობის მაღალ სტანდარტებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა ეყრდნობა საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი სტანდარტის შედეგებს. კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს დაადასტურეს, რომ იყენებენ როგორც განმავითარებელ, ისე განმსაზღვრელ შეფასებას და გამოხატეს მზაობა, სამომავლოდ გააუმჯობესონ შეფასების პრაქტიკა. **რჩევა:** მიზანშეწონილია საზოგადოებრივი მეცნიერებების შეფასების რუბრიკების შემდგომი დახვეწა და მათი მეტი კონკრეტიზაცია სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებით, რათა შეფასების სისტემის ვალიდურობა და ობიექტურობა ყველა საფეხურზე თანაბრად იყოს დოკუმენტირებული და დადასტურებული.
უცხოური ენები	სკოლაში დანერგილი მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება შეფასების ძირითად პრინციპებს და ხასიათდება ვალიდურობით, გამჭვირვალობით, სანდოობით, ობიექტურობითა და სამართლიანობით. უცხოური ენების კათედრის მიერ გამოყენებული შეფასების მიდგომები უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიღწევების ადეკვატურ გაზომვას, შეფასების პროცესის სიცხადესა და თანმიმდევრულობას, ასევე თითოეული მოსწავლის მიმართ მიუკერძოებელ და თანაბარ დამოკიდებულებას. აღნიშნული ქმნის საფუძველს სანდო შედეგების მიღებისა და სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვისთვის.
ესთეტიკური აღზრდა	კათედრაზე შემუშავებულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სისტემა, რომელიც სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილია და ცნობილია სკოლის საზოგადოებისთვის, რომლის მთავრი კომპონენტი ობიექტურობის დაცვაა, რაც ხაზგასმით ადასტურებს რომ შეფასება არის სანდო და ვალიდური. ორივე საგანში - სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში გამოიყენება როგორც განმავითარებელ ასევე განმსაზღვრელ შეფასებება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ რომ მასწავლებელი იყენებს მრავალფეროვან ინსტრუმენტს განმავითარებელი შეფასებისთვის და აქვს შედგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ინტერვიუს დროს გამოთქვეს მზაობა დახვეწონ და გაამრავალფეროვნონ შეფასების რუბრიკები თითოეული დავალების შესაბამისად. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადეგნილ მოთხოვნებს .**

სახელმწიფო ენა	ზოგადსაგანმნათლებლო დაწესებულებამ წარმოდგენა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, მასწავლებლის რეფლექსია, შემაჯამებლები და დიაგნოსტიკური წერის ნიმუში. ყოველივე ეს მიუთითებს, რომ შეფასების სისიტემა იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლამ წარმოადგინა შეფასების რუბრიკები. ეს რუბრიკები ვალიდულია, რადგან შესაბამისია საგნობრივ სტანდარტებთან. სანდოა, რადგან გასაზომი კრიტერიუმებია წარმოდგენილი, სამართლიანია, რადგან შეფასება დამოკიდებულია ობიექტურ შეფასების სისტემაზე, ინსტრუმენტებზე. გამჭირვალეა, რადგან მოსწავლეებისათვის წინასწარ ცნობილია კრიტერიუმები. აღნიშნეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს და დასტურდება წარმოდგენილი რუბრიკებითაც.
სპორტი	პედაგოგებს წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები და სკოლაში არსებობს ვერიფიკაციის მექანიზმი. შეფასების რუბრიკები შემუშავებული ესგ ს მოთხოვნების გათვალისწინებით და გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტიდან.. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სწავლა-სწავლების პროცესის დროს გამოყენებული შეფასების რუბრიკები განმსაზღვრელი და განმავიტარებელი შეფასება გამჭვირვალეა რადგან მოსწავლ ნათლად ხედავს საჭირო ინდიკატორებს და კრიტერიუმებს; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. სკოლაში მოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი შეფასების სისტემა. შეფასების სრულყოფილი სისტემა გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმით. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში დანერგილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის სანდოობას, ვალიდურობას, ობიექტურობასა და გამჭვირვალობას.

აღნიშნული მექანიზმი რეგულირდება დირექტორის 2025 წლის 15 დეკემბრის №2-110 ბრძანებით და მოიცავს შეფასების პროცესის სისტემურ კონტროლსა და ხარისხის უზრუნველყოფას.

ვერიფიკაციის პროცესი ხორციელდება მრავალკომპონენტიანი მიდგომით და მოიცავს შეფასების სხვადასხვა ასპექტის გადამოწმებას. კერძოდ, მოწმდება შეფასების ინსტრუმენტების შესაბამისობა სწავლის შედეგებთან, შეფასების პროცესის ორგანიზება (დროის განაწილება, გარემო პირობები, მოსწავლეთა წინასწარი ინფორმირება) და წარმოდგენილი მტკიცებულებების სანდოობა, მათ შორის მოსწავლის მიერ შესრულებული ნამუშევრების რეალური არსებობა და საკმარისობა. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს შეფასების პროცესის სრულყოფილ და ობიექტურ ანალიზს.

ვერიფიკაციის პროცესის განხორციელებაში ჩართულია სკოლის შიდა სტრუქტურული ერთეულები. პროცესს წარმართავენ კათედრის ხელმძღვანელები როტაციის პრინციპით, რაც უზრუნველყოფს მიუკერძოებლობასა და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებას. საჭიროების შემთხვევაში, განსაკუთრებით სემესტრული ან წლიური შეფასებების დროს, დირექტორის ბრძანებით იქმნება სპეციალური კომისია, რაც დამატებით აძლიერებს პროცესის სანდოობას.

ვერიფიკაცია ხორციელდება როგორც გეგმიურად, ისე არაგეგმიურად. გეგმიური შემოწმება ტარდება წელიწადში ერთხელ და მოიცავს თითოეულ საგანში მოსწავლეთა ნამუშევრების შერჩევით (არანაკლებ 20%) გადამოწმებას, ხოლო არაგეგმიური ვერიფიკაცია ხორციელდება დაინტერესებული პირის განცხადების ან ადმინისტრაციის ინიციატივის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს პროცესის მოქნილობასა და რეაგირების ეფექტიანობას.

ვერიფიკაციის შედეგები ფორმდება დადგენილი წესით და განისაზღვრება შესაბამისობის ხარისხით (სრული, ნაწილობრივი ან შეუსაბამო), რაც ქმნის საფუძველს შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვისთვის. ამასთან, სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციისა და მტკიცებულებების შენახვას განსაზღვრული ვადით (არანაკლებ 3 წელი), რაც მნიშვნელოვანია პროცესის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით დგინდება, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი არის სისტემურად ორგანიზებული, მრავალკომპონენტიანი და ეფექტიანი, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის ხარისხს, სამართლიანობასა და სანდოობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში შეფასების სისტემის გამჭვირვალობისა და ვალიდურობის უზრუნველსაყოფად მოქმედებს მტკიცებულებათა აღრიცხვისა და შენახვის სისტემურად ორგანიზებული მექანიზმი.

სკოლის შიდა რეგულაციების, მათ შორის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმისა და სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად, დაწესებულება იღებს ვალდებულებას შეინახოს შეფასებასთან დაკავშირებული ყველა მონაცემი და მტკიცებულება არანაკლებ 3 წლის ვადით, რაც ვრცელდება სწავლების ყველა საფეხურზე და უზრუნველყოფს პროცესის სანდოობასა და უწყვეტობას.

სკოლაში მტკიცებულებათა შენახვა ხორციელდება სისტემატიზებულად. წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ადგილზე დაკვირვება ადასტურებს, რომ მასალა ორგანიზებულია საგნობრივი კათედრების მიხედვით და მოიცავს როგორც მოსწავლეთა მიერ შესრულებულ შემაჯამებელ ნამუშევრებს (ტესტები, პროექტები, წერითი დავალებები), ისე აღრიცხვის დოკუმენტაციას (ელ.ჟურნალი, პირადი საქმეები). მტკიცებულებათა ხელმისაწვდომობა რეგულირდება განსაზღვრული წესით და უზრუნველყოფს როგორც გამჭვირვალობას, ისე კონფიდენციალობის დაცვას. აღნიშნულ მასალებზე წვდომა აქვთ სკოლის ადმინისტრაციას მონიტორინგის მიზნით, კათედრის ხელმძღვანელებს ვერიფიკაციის პროცესში, ასევე მოსწავლის მშობელს ან კანონიერ წარმომადგენელს — საკუთარი შვილის შეფასების შედეგებთან დაკავშირებით, რაც უზრუნველყოფს ინტერესთა ბალანსს.

მტკიცებულებათა შენახვის პრაქტიკა მიზნობრივად არის დაკავშირებული სასწავლო პროცესის ხარისხის მართვასთან. აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს სადავო საკითხების განხილვის შესაძლებლობას, მათ შორის სემესტრული ან წლიური შეფასების გასაჩივრების შემთხვევაში, ასევე ქმნის საფუძველს მოსწავლეთა პროგრესის გრძელვადიანი ანალიზისა და სასწავლო პროცესის დაგეგმვისთვის. ამასთან, მტკიცებულებათა შენახვა მნიშვნელოვანია ავტორიზაციისა და მონიტორინგის პროცესებისთვის, რადგან უზრუნველყოფს სკოლის შეფასების სისტემის სანდოობის დადასტურებას.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით დგინდება, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში მტკიცებულებათა აღრიცხვისა და შენახვის სისტემა არის გამართული, სისტემური და სრულად შეესაბამება როგორც შიდა რეგულაციებს, ისე მოქმედ მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფს სამართლიანი და გამჭვირვალე საგანმანათლებლო გარემოს შექმნას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურის მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დამატებითი დოკუმენტაცია;
- სამივე საფეხურის, საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმები, შეფასების რუბრიკები.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმში მკაფიოდ არის განსაზღვრული როგორც სავალდებულო ძირითადი რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელოები), ისე მრავალფეროვანი დამხმარე მასალები: დამხმარე ლიტერატურა, ვირტუალური ლაბორატორიები, სიმულაციები, ვიდეოგაკვეთილები და აუდიომასალები. აღნიშნული რესურსების ერთობლიობა ხელს უწყობს სასწავლო შედეგების ეფექტურ მიღწევას და ამაღლებს მოსწავლეთა მოტივაციას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესში გამოიყენება გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო და სკოლაში არსებული ტექნიკური საშუალებები. კათედრის წევრებმა გამოხატეს მზაობა, სამომავლოდ გააძლიერონ სასწავლო რესურსების გამოყენების პრაქტიკა. **რჩევა:** სასურველია სასწავლო პროცესში სახელმძღვანელოსთან ერთად აქტიურად იქნას გამოყენებული მრავალფეროვანი რესურსი — ადგილობრივი გარემოს შესწავლაზე დაფუძნებული გასვლითი ვიზიტები, თემასთან დაკავშირებული ადგილობრივი სტუმრები-პრაქტიკოსები, რაც

	საზოგადოებრივი მეცნიერებების სასწავლო შინაარსს მოსწავლეთათვის უფრო ცხოვრებისეულსა და მნიშვნელოვანს გახდის.
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრა სასწავლო პროცესში ძირითად რესურსად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, რაც უზრუნველყოფს სწავლების სტრუქტურირებულობასა და კურიკულუმთან შესაბამისობას. ამასთანავე, კურიკულუმებში გათვალისწინებულია დამხმარე რესურსები, მათ შორის ვიდეო მასალა, რომელიც მიმართულია მოსწავლეთა ლექსიკურ–ენობრივი უნარების განვითარებაზე. რჩევა: აღნიშნული პრაქტიკის მიუხედავად, მიზანშეწონილია რესურსების გამოყენების შემდგომი გამრავალფეროვნება და ინტერაქტიული კომპონენტის გაძლიერება, მათ შორის ციფრული პლატფორმებისა და ავთენტური მასალების უფრო აქტიური ინტეგრირებით. რესურსების მრავალფეროვანი და მიზნობრივი კომბინაცია ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ჩართულობისა და მოტივაციის ზრდას, ასევე კომუნიკაციური უნარების უფრო ეფექტიან განვითარებას.
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმში ჩაშენებულია სასწავლო რესურსები, როგორც ძირითადი გრიფირებული სახელმძღვანელოს, ასევე დამატებითი მასალების სახით, რაც ზრდის სწავლების ეფექტიანობას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების განახლებულ დოკუმენტებში საჭიროა რესურსების სვეტის განახლება. **რჩევა:**სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების განახლებულ კურიკულუმებში სასურველია რესურსების სვეტი სისტემურად გადაიხედოს და დაკონკრეტდეს, რათა ყველა დავალებასთან მიმართებით მკაფიოდ იყოს ასახული როგორც ძირითადი, ისე დამატებითი სასწავლო მასალა. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადეგნილ მოთხოვნებს**

სახელმწიფო ენა	კურიკულუმში მითითებულ გრიფირებულ სახელმძღვანელოებსა და დამხმარე რესურსების (დამხმარე სახელმძღვანელოებს, ელექტრომულ რესურსებს) სასწავლო პროცესში გამოყენებას უზრუნველყოფს სკოლა. კათედრის წევრებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ელექტრონულ მასალას სასწავლო პროცესში იყენებენ შეუფერხებლად.**ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში მოცემულია სწავლის და სწავლების მიზნის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსები, როგორიცაა გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო, დამხმარე ლიტერატურა, ვიდეოგაკვეთილები და სხვა, რომელთა გამოყენებაც სასწავლო პროცესში დაადასტურეს კიდეც კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს და გამოხატეს მზაობა სასწავლო რესურსები შეარჩევენ მრავალფეროვანს და უფრო აქტიურად გამოიყენებენ მათ სასწავლო პროცესში. **რჩევა: გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოს მითითებასთან ერთად კურიკულუმის შესაბამის კომპონენტში წამოადგინონ სხადასხვა დამხმარე საგანმანათებლო რესურსები შესაბამისი ბმულების მითითებით;**
სპორტი	პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ ისინი სასწავლო პროცესში იყენებენ კურიკულუმით გაწერილ რესურსებს: არსებულ ინფრასტრუქტურას და სპორტულ ინვენტარს, გზამკვლევებს მასწავლებლისათვის, ვიდეორგოლებს ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშებით, პრეზენტაციებს თეორიისათვის. პედაგოგები ცდილობენ არსებული ინფრასტრუქტურის პირობებში, სასწავლო პროცესი მოსწავლეებისათვის იყოს მრავალფეროვანი და ხელი შეუწყოს მათი კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის საფეხურეობრივ შედეგზე გაყვანას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სწავლა-სწავლების პროცესის დროს გამოყენებული აქტივობები, დავალებები და რესურსები მიმართულია მოსწავლეთა შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების განვითარებისკენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია;**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი სახელმძღვანელოები, ისე დამატებითი რესურსები, რასაც იყენებენ სასწავლო პროცესში, ეს კი უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და ცოდნის მიღება/გაღრმავებას. **რჩევა**: სასურველია,სამივე საგნის კურიკულუმის რესურსების გრაფაში მითითებული იყოსროგორც ძირითადი ასევე დამხმარე რესურსები, კონკრეტული ელ.რესურსების ბმულები. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კათედრის მიერ წარმოდგენილი ოქმის მიხედვით, წლის დასაწყისში ხდება ძირითადი (გრიფირებული სახელმძღვანელო) და დამხმარე რესურსების (დამხმარე სახელმძღვანელოები, მათ შორის მასწავლებლის მიერ შექმნილი, ელექტრონული და მატერიალლური რესურსები) შერჩევა.**ინდიკატორი შეეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	გასაუბრებისას კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ ძირითადად სარგებლობენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით, მაგრამ სასწავლო პროცესში იყენებენ სხვადასხვა დამხმარე რესურსებსაც, რომლის ვალიდაციას ახორციელებენ კათედრაზე, რითაც ადგენენ და ამოწმებენ შეესაბამება თუ არა წარმოდგენილი რესურსები საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს და ეხმარება თუ არა მოსწავლეს სტანდარტში წარმოდგენილი მიზნების მიღწევაში. **რჩევა:** სასურველია რესურსების ვალიდაციის პროცესი გახდეს უფრო სისტემური და დოკუმენტირებული, რათა კათედრის ყველა წევრისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი იყოს გადამოწმებული და საგნობრივ სტანდარტთან შესაბამისი მასალების ბაზა.

უცხოური ენები	სკოლაში უზრუნველყოფილია დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის პროცესი, რომელიც სისტემურად და მიზნობრივად ხორციელდება. აღნიშნულ პროცესში აქტიურად არიან ჩართული უცხოური ენების კათედრის წარმომადგენლები, რაც ხელს უწყობს რესურსების შესაბამისობისა და ხარისხის უზრუნველყოფას, მათ შესაბამისობას სასწავლო მიზნებთან და კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგებთან.
ესთეტიკური აღზრდა	ინტერვიუებისა და დოკუმენტაციის ანალიზი ადასტურებს, რომ მასწავლებლები ყურადღებით იკვლევენ დამხმარე სასწავლო მასალებს და არჩევენ მხოლოდ მიზნობრივ და ეფექტურ რესურსებს. ვალიდაციის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რესურსების შესაბამისობას კურიკულუმთან, სასწავლო მიზნებთან და მოსწავლეთა საჭიროებებთან, რაც უზრუნველყოფს მათი გამოყენების მიზანმიმართულობას. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადეგნილ მოთხოვნებს**
სახელმწიფო ენა	დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას უზრუნველყოფს სკოლა. კათედრის პირველი სხდომის ოქმში ერთ საკითხი დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდურობის განხილვაა. ოქმში აღწერილია ის კრიტერიუმები, რომელითაც დამხმარე რესურს არჩევენ. ესენია: სასწავლო რესურსის შინაარსობრივი გამართულობა, საასწავლო რესურსის შესაბამისობა მოსწავლეთა ასაკობრივ თავისუბერებებთან, რესურსის სანდოობა, სასწავლო რესურსის გამოყენებისას უსაფრთხოების ნორმების დაცვა. დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციის საკითხს კათედრის წევრები განიხილავენ კათედრის სხდომაზე და იღებენ გადაწყვეტილებას, შემდეგ უთანხმებენ პედაგოგიურ საბჭოს.**ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	გასაუბრებისას კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ ძირითადად სარგებლობენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით, მაგრამ სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ სხვადასხვა დამხმარე რესურსებს, რომლის ვალიდაციას ახორციელებენ კათედრაზე, რითაც ადგენენ და ამოწმებენ შეესაბამება თუ არა წარმოდგენილი რესურსები მათემატიკის საგნობრივი სტანდარტით განსაზღრულ მოთხოვნებს, ეხმარება თუ არა მოსწავლეს სტანდარტში წარმოდგენილი მიზნების მიღწევაში.

სპორტი	გასაუბრებისას აღმოჩნდა და კათედრის ოქმებიც ადასტურებს, რომ ისინი ახდენენ დამხამრე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. რესურსი ვალიდურია სასწავლო თემებისა და სამიზნე ცნებების მიმართულებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	გადმოგზავნილ ფოტო მასალებში და ინტერვიუს დროს მასწავლებლის თქმით სკოლას გააჩნია საკმარისი კომპიუტერების რაოდენობა სრულად აღჭურვილი რაც ინდივიდუალურად მოსწავლის მუშაობის პროცესს ხელს უწობს, 29 კომპიუტერი მუშაოს 29 მოსწავლეთან; საჭირო დამხმარე რესურსები და მასალები სწავლა-სწავლების პროცესის დროს გამოყენებული აქტივობები, დავალებები და რესურსები მიმართულია მოსწავლეთა შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების განვითარებისკენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	რესურსების ვალიდაცია ხორციელდება ვალიდაციის წესის შესაბამისად. კათედრის მიერ წარმდგენილი სხდომის ოქმით დამტკიცებულია ის ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები, რომლებსაც კათედრა ირჩევს წლის დასაწყისში. წლის განმავლობაში, საჭიროებიდან გამომდინარე, იქმნება შესწავლისთვის აუცილებელი სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსიც სასწავლო თემის და მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, შესაბამისი და ვალიდური. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია.

	საბაზო და საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო საგნების სტანდარტის მიხედვით, კეთებით სწავლება გულისხმობს რეალურ ლაბორატორიულ სამუშაოებს. მხოლოდ ვირტუალური ლაბორატორია და მარტივი სადემონსტრაციო ცდები, სადაც მოსწავლე უშუალოდ ჩართული არ არის პროცესში, ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტების მისაღწევად საკმარისი არ არის. **<u>რეკომენდაცია:</u>** სკოლამ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, 15/01/2027-მდე უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სასწავლო-ლაბორატორიული ინვენტარითა და ტექნიკური საშუალებებით, რათა სრულად იქნას უზრუნველყოფილი საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისთვის საჭირო პრაქტიკული სამუშაოების ჩატარების შესაძლებლობა და დაცული იყოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის შესახებ დადგენილი მოთხოვნები. (იხ.ინდიკატორის აღწერა) **ინდიკატორი 2.2.2.3. მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადეგნილ მოთხოვნებს**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლას აქვს მატერიალური რესურსი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით და უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭირო რესურსებზე წვდომას. სკოლას აქვს შემუშავებული მატერიალური რესურსების სარგებლობის წესი. სკოლაში არის საკმარისი რაოდენობის მაგიდები, სკამები, დაფები, თვალსაჩინოებები და სხვა, რომელთა გამოყენებითაც უზრუნველყოფილია კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა, რაც დაადასტურეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს.
უცხოური ენები	კათედრის წევრებთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებლებს შესაბამისი მატერიალური რესურსებით, რაც ქმნის წინაპირობას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისი სასწავლო გარემოს ჩამოყალიბებისთვის.

ესთეტიკური აღზრდა	დოკუმენტაციისა და ინტერვიუებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში სწავლების ეფექტიანობას მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს შესაბამისი ტექნიკური და მატერიალური ბაზა. სასწავლო პროცესი აღჭურვილია კომპიუტერული ტექნოლოგიებით, რაც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას აქტიურად ჩაერთონ სხვადასხვა სასწავლო აქტივობაში. სკოლას გააჩნია მუსიკალური ინსტრუმენტები და საჭირო სასწავლო ლიტერატურა, რაც ხელს უწყობს როგორც მუსიკის, ისე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნებში პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადეგნილ მოთხოვნებს**
სახელმწიფო ენა	სკოლას აქვს შესაბამიის მატერიალური რესურსი კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. აღნიშნული დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლა აქვს მატერიალური რესურსი, მოსწავლეთა ადგილების ზღრული რაოდენობის გათვალისწინებით და უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭირო რესურსებზე წდომას. სკოლას აქვს შემუშავებული მატერიალური რესურსების სარგებლობის წესი. სკოლაში არის საკმარისი რაოდენობის მაგიდები, სკამები, დაფები, კომპიუტერები, თვალსაჩინოებები, ტაბულები და ა შ, რომელთა გამოყენებითაც უზრუნველყოფილია კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა, რაც დაადასტურეს კიდეც კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს.
სპორტი	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია არსებული მატერიალური რესურსით და ინვენტარით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სრულად აღჭურვილია ყველა საჭირო მატერიალური რესურსით, კომპიუტერებით ელ საშუალებებით; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლს შედეგების მიღწევას. პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ როგორც მატერიალური, ასევე, არამატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში დასაქმებულია კვალიფიციური და კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი პერსონალი, რაც უზრუნველყოფს სასკოლო კურიკულუმის ეფექტიან განხორციელებას. სკოლაში დასაქმებულია როგორც წამყვანი, ისე უფროსი მასწავლებლები.

ადმინისტრაციული მართვა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. დირექტორი, დირექტორის მოადგილე და ადმინისტრაციული თანამშრომლები უზრუნველყოფენ სკოლის მართვის პროცესების ეფექტიან ორგანიზებას, რაც აისახება როგორც საგანმანათლებლო, ისე ადმინისტრაციული საქმიანობის სტაბილურობაზე.

პერსონალის ზოგადი მახასიათებლები ადასტურებს კადრების სტაბილურობასა და სისტემურობას. ყველა დასაქმებული პირი წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეს, ხოლო შემცვლელი ან მოწვეული მასწავლებლების საჭიროება პრაქტიკულად არ ფიქსირდება, რაც მიუთითებს ადამიანური რესურსის მდგრადობაზე. ამასთან, პერსონალის უმრავლესობა არის ადგილობრივი, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოებასთან მჭიდრო კომუნიკაციასა და თანამშრომლობას.

დოკუმენტაციის ანალიზი, მათ შორის მასწავლებელთა პირადი საქმეები, შრომითი ხელშეკრულებები და შესაბამისი ელექტრონული ბაზების მონაცემები, ადასტურებს, რომ პერსონალის კვალიფიკაცია და სტატუსები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

სკოლას ჰყავს კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი, მათ შორის 24 უფროსი მასწავლებელი, 2 წამყვანი მასწავლებელი და 1 პრაქტიკოსი სპეციალური მასწავლებელი, რაც უზრუნველყოფს როგორც საგნობრივი სწავლების, ისე ინკლუზიური განათლების ეფექტიან განხორციელებას.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით დგინდება, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსით, რაც სრულად პასუხობს ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო, კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამის ადამიანურ რესურსს. პედაგოგთა უმრავლესობა აკმაყოფილებს დადგენილ სტანდარტებს, ფლობს შესაბამის განათლებასა და პროფესიულ კვალიფიკაციას, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიან დაგეგმვასა და განხორციელებას.

ამასთან, კათედრაზე ამ ეტაპზე წარმოდგენილია სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების არასერტიფიცირებული პედაგოგი, რომელიც აქტიურად არის მოტივირებული და გეგმავს საგნის სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარებას. სკოლას ასევე გამოცხადებული აქვს ვაკანსია შესაბამის თანამდებობაზე, თუმცა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა შესაბამისი მასწავლებლის მოძიება.

<u>ვიზიტის პერიოდში დაფიქსირდა ხარვეზი: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანში არ იყო სერტიფიცირებული პედაგოგიური კადრი, რადგან, არსებული ვაკანსიის მიუხედავად, ვერ მოხერხდა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლის მოძიება.</u>

სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა მიგნება, დასკვნის პროექტის პასუხად შეიმუშავა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად, 2026 წლის 14 სექტემბრამდე უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის შერჩევისა და დასაქმების პროცესი.

<u>სკოლას მიეცა რეკომენდაცია,</u> შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ვადის ფარგლებში — 2026 წლის 14 სექტემბრამდე — უზრუნველყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის მიღება და სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა მოქმედი მოთხოვნების შესაბამისად. **ინდიკატორი <u>მეტწილად შეესაბამება</u> სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
2. დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურის მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმები;
3. სასკოლო სასწავლო გეგმა;
4. ციფრული განვითარების გეგმა;
5. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2025-2026 წ.წ.;
6. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;
7. სსსმ-მოსწავლეთათვის-საგანმანათლებლო-სერვისების-მიწოდების-რეგულაცია;

8. სამივე საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმები, შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი დავალების ნიმუშები, საბუნებისმეტყველო კათედრის სხდომის ოქმი, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია (დამტკიცებულია სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლის დირექტორის 2025 წლის 15 დეკემბრის N 2-110 ბრძანებით), მონიტორინგსა და შეფასებას განიხილავს როგორც სასწავლო პროცესის ხარისხის მართვისა და უწყვეტი გაუმჯობესების ძირითად მექანიზმს.

მეთოდოლოგია მკაფიოდ მიჯნავს მონიტორინგისა და შეფასების ფუნქციებს. მონიტორინგი განიხილება როგორც მიმდინარე პროცესების დაკვირვება და კონტროლი, რომელიც პასუხობს კითხვას — რამდენად შეესაბამება განხორციელებული აქტივობები დაგეგმილ კურიკულუმს და ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში. შეფასება კი მიმართულია შედეგების ანალიზისკენ და პასუხობს კითხვას — რამდენად უზრუნველყოფს განხორციელებული აქტივობები მოსალოდნელი შედეგების მიღწევას. აღნიშნული განსხვავება მიუთითებს პროცესის გააზრებულ და სისტემურ მართვაზე.

სკოლა მონიტორინგისა და შეფასების პროცესს გეგმავს რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ მიმართულებაში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან მიმართებით, რაც საშუალებას იძლევა დროულად გამოვლინდეს სწავლის პროცესში არსებული ხარვეზები და დაიგეგმოს შესაბამისი ინტერვენციები. ამასთან, შეფასება მოიცავს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების კომპონენტსაც, რაც გულისხმობს პედაგოგიური პრაქტიკის ანალიზს და გამოვლენილი სირთულეების დაძლევას სკოლის შიდა რესურსების გამოყენებით. მნიშვნელოვანი მიმართულებაა ასევე სკოლის ინსტიტუციური განვითარება, რომელიც ორიენტირებულია თანამშრომლობითი კულტურის გაძლიერებასა და კურიკულუმის განვითარების პროცესში კოლეგიური მიდგომების დამკვიდრებაზე.

მონიტორინგისა და შეფასების პროცესში მკაფიოდ არის განსაზღვრული პასუხისმგებლობები. მასწავლებლები უზრუნველყოფენ მოსწავლეთა მიღწევების შესახებ მონაცემების სისტემურ შეგროვებასა და გაზიარებას; კათედრის თავმჯდომარეები ახორციელებენ პროცესის კოორდინაციას, უზრუნველყოფენ შესაბამისი ინსტრუმენტების შერჩევასა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას; ხოლო სკოლის დირექცია, მათ შორის დირექტორის მოადგილე, აერთიანებს მიღებულ მონაცემებს, ახორციელებს მათი ანალიზს და უზრუნველყოფს შედეგების წარმოდგენას სასკოლო საზოგადოების წინაშე.

მიღებული მონაცემები გამოიყენება კურიკულუმის განვითარების ციკლში — ისინი საფუძვლად ედება დოკუმენტის ყოველწლიურ გადასინჯვასა და რევიზიას, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმის შესაბამისობას რეალურ საჭიროებებთან და მის მუდმივ გაუმჯობესებას.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით დგინდება, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების სისტემა არის გააზრებული, სისტემური და შედეგზე ორიენტირებული, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ხარისხის მართვასა და კურიკულუმის უწყვეტ განვითარებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

სასწავლო პროცესის მონიტორინგი ორგანიზებულია მრავალდონიანი მართვის პრინციპით. კურიკულუმის განხორციელების ზედამხედველობა ხორციელდება სკოლის დირექციის მიერ, რომელიც უზრუნველყოფს დაგეგმილი აქტივობების შესრულების კონტროლსა და ადმინისტრაციული პროცესების მართვას. ამასთან, შეფასების ჯგუფი ახორციელებს მასწავლებელთა საქმიანობის მიზნობრივ მონიტორინგს, ხოლო საგნობრივი კათედრები უზრუნველყოფენ შიდა, კოლეგიურ კონტროლს, რაც ქმნის პროცესის სანდოობისა და მრავალმხრივი შეფასების საფუძველს.

მონიტორინგის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს ურთიერთდასწრებისა და პროფესიული უკუკავშირის სისტემა. სასწავლო წლის დასაწყისში განისაზღვრება ურთიერთდასწრების გრაფიკი, რომლის ფარგლებში პედაგოგები ესწრებიან კოლეგების გაკვეთილებს წინასწარ შეთანხმებული ინსტრუმენტების გამოყენებით. აღნიშნული პროცესი უზრუნველყოფს პედაგოგიური პრაქტიკის ანალიზს, გამოცდილების გაზიარებასა და საჭირო რეკომენდაციების გაცემას, რაც ხელს უწყობს სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.

მონიტორინგის ციკლი სრულდება შედეგების ანალიზითა და სამომავლო დაგეგმვით. სასწავლო წლის ბოლოს პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე ხდება მიღწეული შედეგების სიღრმისეული განხილვა, რის საფუძველზეც განისაზღვრება კურიკულუმის გადასინჯვის საჭიროებები და იგეგმება შემდგომი სტრატეგიული ნაბიჯები. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს მონაცემებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს და კურიკულუმის მუდმივ განახლებას.

მონიტორინგისა და შეფასების აღნიშნული მოდელი გავლენას ახდენს სკოლის განვითარების ყველა დონეზე: ხელს უწყობს მოსწავლეთა სწავლის შედეგების გაუმჯობესებას, მასწავლებელთა პროფესიულ ზრდას და სკოლის ინსტიტუციურ განვითარებას თანამშრომლობითი კულტურის გაძლიერების გზით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

სკოლას გააზრებული აქვს, რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესები სკოლის განვითარებაში უკავშირდება სასკოლო საზოგადოების წევრების - მათ შორის მასწავლებლების, მოსწავლეების, ადმინისტრაციისა და მშობლების - მხარდაჭერასა და დახმარებას. სკოლის ადმინისტრაცია ესწრება გაკვეთილებს და პედაგოგისთვის კონსტრუქციული უკუკავშირით გარკვეულწილად ხელს უწყობს მის პროფესიულ ზრდას. ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ თვით პედაგოგებიც ახდენენ გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას და ერთმანეთის შეფასებას. პედაგოგებს ადმინისტრაციის მხრიდან მუდმივად აქვთ ინფორმაციული ტიპის მხარდაჭერა ნებისმიერი აქტივობების შესახებ ,რაც მათ პროფესიულ წინსვლასა და განვითარებას უზრუნველყოფს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრის შეხვედრის ოქმები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

მოსწავლეთა შეფასებისთვის სკოლა აქტიურად იყენებს, როგორც განმავითარებელ, ისე განმსაზღვრელი შეფასების სისტემას. ამას ცხადყოფს, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმა, ასევე კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. მოსწავლეთა მიღწევების შესახებ მონაცემების შესაგროვებლად კი სკოლა იყენებს მრავალგვარ მეთოდს, შემაჯამებელი თუ პროექტული შინაარსის მქონე დავალებები, სასკოლო ოლიმპიადები-სპორტში, შემეცნებითი ექსკურსიები სხვადასხვა საგანში და წრეები, კლუბური მუშაობები. ასევე დაგეგმილია დიაგნოსტიკური წერები. ამ აქტივობებიდან მიღებული მონაცემები საშუალებას იძლევა მრავალმხრივად შეფასდეს და გამოიკვეთოს მოსწავლეთა განვითარების დინამიკა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლის კათედრების მიერ კურიკულუმების შექმნის/რევიზიის პროცესის პარალელურად იქმნება შეფასების რუბრიკები კონკრეტული თემის ფარგლებში და ემყარება გრძელვადიანი მიზნებს, რომელიც დაფუძნებულია ესგ- ის პრინციპებზე. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა შეფასებას ახორციელებს სხვადასხვა კონტექსტით. კერძოდ, კათედრებზე არსებობს ურთიერთდასწრების კულტურა, მასწავლებელები აკვირდებინ პროცესს და გაცემული უკაკავშირის მიხედვთ ახდენენ რეკომედაციების შემუშავებას, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესში შეფასების სხვადასხვა ფორმით დამკვიდრებას. სკოლაში შეფასების პროცესის დაგეგმვა და განხორციელება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით ხდება. როგორც მტკიცებულებების ანალიზით, ასევე ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლა ცდილობს, შეფასება განახორციელოს სხვადასხვა მიმართულებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლაში მოსწავლეთა შეფასებისას გამოიყენება მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. მასწავლებლების მიერ სასწავლო პროცესში გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, შემაჯამებლი ანალიზის ფორმები, სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი, შემოქმედებითი ტიპის დავალებების შეფასებები ,მოსწავლეების მიერ შესრულებული წერილობითი დავალებები, პოსტერები, კედლის გაზეთები. ყოველდღიურ სასწავლო პროცესში მასწავლებლის მიერ აქტიურად ხორციელდება დაკვირვება, საუბრები, უკუკავშირის გაცემა რომელიც აჩვენებს როგორ განუვითარდათ დროთა განმავლობაში მოსწავლეებს სააზროვნო უნარები და საგნობრივი ცოდნა. მონაცემები გამოიყენება როგორც გაკვეთილების, ისე ზოგადი სასწავლო პროცესის ანალიზისთვის, რაც სკოლას აძლევს საშუალებას, შეფასება დაუკავშიროს სწავლების გაუმჯობესებას.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

წარმომადგენელთან შეხვედრებისა და წარმოდგენილი მასალების (მტკიცებულებების) ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ სკოლა შეფასებისას ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორს, მათ შორის მოსწავლის ასაკობრივ თავისებურებებს, ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, სოციო-ემოციურ ფონს და ზოგად უნარებს. მასწავლებლები აფიქსირებენ მზაობას, რომ გააანალიზონ, როგორ მოქმედებს ეს ფაქტორები მოსწავლის შედეგებზე, განსაკუთრებით განმავითარებელი შეფასებისას. სკოლა შეფასების პროცესში დიდ ყურადღებას აქცევს მოსწავლის აკადემიური მოსწრებისათან ერთად ფუნქციურ- კომპეტენტური უნარების განვითარებას, კერძოდ შეფასებისას მასწავლებლები ითვალისწინებენ ნებისმიერ ფაქტორს, რაც გავლენას ახდენს მოსწავლის სწავლის პროცესზე და შედეგზე. კერძოდ, სოციუმი, ოჯახი, ტრადიციები. ასევე მშობლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მათთან კლასის ხელმძღვანელების აქტიური ჩართულობა და თანამშრომლობა, რაც ახდენს თითოეული მოსწავლის საჭიროებების მეტად გამოკვეთასა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას. შესაბამისად, სკოლაში მოსწავლის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმი
- სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

დოკუმენტაციის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში კურიკულუმის რევიზიისა და განვითარების პროცესი წარმოადგენს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ, ციკლურ და სისტემურად ორგანიზებულ მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მუდმივ შესაბამისობას რეალურ საჭიროებებთან.

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, დამტკიცებული დირექტორის 2025 წლის 15 დეკემბრის №2-110 ბრძანებით, განსაზღვრავს კურიკულუმის განახლების ეტაპობრივ პროცესს, რომელიც ეფუძნება მონაცემთა შეგროვებას, ანალიზსა და შედეგებზე ორიენტირებულ გადაწყვეტილებებს. კურიკულუმის რევიზია ხორციელდება მრავალმხრივი ინფორმაციის საფუძველზე, რაც მოიცავს როგორც აკადემიური მიღწევების ანალიზს, ისე სასკოლო საზოგადოების უკუკავშირს.

პროცესში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება საგნობრივ კათედრებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესის სისტემურ ანალიზს, სირთულეების იდენტიფიცირებასა და რეკომენდაციების ფორმირებას. ამასთან, მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა უზრუნველყოფს, რომ კურიკულუმი ასახავდეს მათ ინტერესებსა და მოლოდინებს, ხოლო მოსწავლეთა აკადემიური მონაცემების ანალიზი ქმნის ობიექტურ საფუძველს საჭირო ცვლილებების განსაზღვრისთვის.

კურიკულუმის განვითარება ასევე მოიცავს მხარდაჭერის მექანიზმების ფორმირებას. პედაგოგიური პრაქტიკის რეფლექსია, მათ შორის ურთიერთდასწრების შედეგების გაანალიზება და კოლეგიური რეკომენდაციების გაზიარება, გამოიყენება სწავლა-სწავლების პროცესის

გაუმჯობესებისთვის. ამასთან, კურიკულუმი ხასიათდება მოქნილობით — საჭიროების შემთხვევაში ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, რაც უზრუნველყოფს სწრაფ რეაგირებას მიმდინარე გამოწვევებზე.

კურიკულუმის განახლება ხორციელდება ყოველწლიური ციკლის ფარგლებში. სასწავლო წლის ბოლოს ხდება დაგროვილი მონაცემების სისტემატიზაცია და ანალიზი, რის საფუძველზეც პედაგოგიური საბჭო და კათედრები ახორციელებენ დოკუმენტის რევიზიას. განახლებული კურიკულუმი მტკიცდება ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე, რაც უზრუნველყოფს მის აქტუალურობასა და პრაქტიკულ შესაბამისობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭიკაანის საჯარო სკოლაში კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესი წარმოადგენს მეთოდოლოგიურად გამართულ, ციკლურ და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ სისტემას, რომელიც ორიენტირებულია უწყვეტ განვითარებაზე.

სკოლის დირექტორის 2025 წლის 15 დეკემბრის №2-110 ბრძანებით დამტკიცებული კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია განსაზღვრავს პროცესის ეტაპებსა და პასუხისმგებლობების განაწილებას. დოკუმენტი მკაფიოდ ადგენს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის — დირექციის, კათედრის თავმჯდომარეებისა და მასწავლებლების — ფუნქცია-მოვალეობებს, რაც უზრუნველყოფს პროცესის ორგანიზებულობას, გამჭვირვალობასა და კოორდინაციას.

კურიკულუმის განვითარების პროცესი ორგანიზებულია ოთხფაზიანი ციკლის მიხედვით, რომელიც მოიცავს შემუშავებას, დანერგვას, მონიტორინგსა და რევიზიას. აღნიშნული ციკლი უზრუნველყოფს კურიკულუმის მუდმივ განახლებასა და მის შესაბამისობას სასწავლო პროცესში გამოვლენილ საჭიროებებთან. თითოეული ეტაპი ერთმანეთთან ლოგიკურად არის დაკავშირებული და ქმნის უწყვეტი განვითარების სისტემას.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლა იმყოფება პირველადი ავტორიზაციის რეჟიმში, წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ დაწესებულებას უკვე ჩამოყალიბებული აქვს კურიკულუმის გადახედვისა და გაუმჯობესების მექანიზმები. სკოლა მზადყოფნას გამოხატავს, სასწავლო წლის დასრულებისთანავე გამოიყენოს მონიტორინგისა და შეფასების შედეგად მიღებული მონაცემები კურიკულუმის სრულყოფისთვის, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების ხარისხის ეტაპობრივ გაუმჯობესებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- დირექტორის 2025 წლის 15 დეკემბრის №2-110 ბრძანება
- საგნობრივ კათედრების ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

თარიღი : 18.05.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: